

5 – 6 ოქტომბერი

5 – 6 OCTOBER

# BATUMI

სიმახტვის გამოვლენა  
დიდი ტერორის მასობრივი  
სამახხეები (1937-1938)  
საქართველოში / ქ. ბათუმში

საერთაშორისო  
კონფერენცია

INTERNATIONAL  
CONFERENCE

# BATUMI

*Uncovering the Truth  
Mass Graves of the Great Terror  
(1937–1938) in Batumi/Georgia*

2023

# **საერთაშორისო კონფერენცია**

**სიმართლის გამოვლენა:  
დიდი ტერორის მასობრივი სამარხები (1937-1938)  
საქართველოში, ქ. ბათუმში**

## **INTERNATIONAL CONFERENCE**

**UNCOVERING THE TRUTH:  
MASS GRAVES OF THE GREAT TERROR (1937-1938)  
IN BATUMI, GEORGIA**

კონფერენცია გაიმართა და კრებული გამოქვეყნდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ, იულიუმ მიეროშევსკის დიალოგის ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის - “კონფერენციის, „სიმართლის გამოვლენა: დიდი ტერორის მასობრივი სამარხები (1937-1938) საქართველოში, ქ. ბათუმში“ ორგანიზება”, ფარგლებში. დოკუმენტში გამოთქმული აზრები ეკუთვნით ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს იულიუმ მიეროშევსკის დიალოგის ცენტრის პოზიციას. შესაბამისად, ორგანიზაცია მოხსენების შინაარსზე პასუხისმგებელი არ არის.

The conference was organized and Thesis published by the Institute for Development of Freedom of Information (IDFI) with financial support by the Juliusz Mieroszewski Centre for Dialogue within the framework of the project “Providing the International Conference – “Uncovering the Truth: Mass Graves of the Great Terror (1937-1938) in Batumi, Georgia”. The opinions expressed in this document belong to the authors, and may not reflect the positions of Juliusz Mieroszewski Centre for Dialogue. Therefore, this organization is not responsible for the content of this report.

**რედაქტორები:** ანტონ ვაჭარაძე, ეკა კალანდაძე

**მთარგმნელები:** ნოდარი ქირია, სანდრო როჩიკაშვილი

**დიზაინერი:** მარიამ პატიაშვილი

**Editors:** Anton Vatcharadze, Eka Kalandadze

**Translators:** Nodari Kiria, Sandro Rochikashvili

**Designer:** Mariam Patiashvili

**IDFI**

Institute for Development  
of Freedom of Information



# TABLE OF CONTENTS

წინასიტყვაობა .....	9
Foreword.....	10
თეზისები.....	11
როგორ ვისაუბროთ საბჭოთა რეპრესიებზე? .....	12
იან ხაჩინსკი, “საეხთაშოხისო მემოხიადის” თავმჯდომაჲე	
<b>საქართველოს სსრ-ის შინსახკომის განსაკუთრებული სამეული</b>	
<b>(1937-1938) .....</b>	<b>18</b>
გიოხგი მამუდია, სოციაღუხ მეცნიეჲებათა უმაღღესი კვღევების სკოღა,	
საფხანღეთი	
<b>მიმღებღობასა და რეპრესიას შორის: საბჭოთა აჭარა 1920-1930-იან</b>	
<b>წღებში.....</b>	<b>23</b>
ჰახისონ კინგი, ღოქღოხოობის კანღიღატი (კაღიფოხინიის ბეჲკღის	
უნივეჲსიღეტი)	
<b>პანელი 1:</b> ბათუმის მასობრივი სამარხები: არქეოლოგიური და ანთროპოლოგიური	
კვღევები	
<b>2017-2022 წღებში აჭარაში დიდი ტერორის მასობრივ სამარხებზე</b>	
<b>ჩატარებული სამუშაოები.....</b>	<b>29</b>
მამა იღია ხინიკაძე, ბათუმისა და დაბეთის ეპაჲქია, საქაჲთვეღო	
<b>ბათუმთან ახღოს, მე-6 საერთო სამარხში აღმოჩენილი დიდი ტერორის</b>	
<b>(1937-1938) მსხვერპღთა ნეშტების სასამართლო-სამედიცინო გამოკვღევის</b>	
<b>შეღეგები.....</b>	<b>34</b>
ღუკაშ შღეშკოვსკი, აგაღა ტანჰოიბეჲი - ვხოცღავის სამედიცინო	
უნივეჲსიღეტი, პოღონეთი	
<b>ყოფილი საბჭოთა კავშირის ხეღვაჩაურის მე-3 სამხედრო ბაზიდან მე-6</b>	
<b>სამარხის ექსჰუმაცია ანთროპოლოგიური თვალსაზრისით.....</b>	<b>39</b>
ანჰედიკა სღოღკა, ეხოვნუღი მეხსიეჲების ინსტიღუტი (IPN), პოღონეთი	
<b>არქეოლოგიური მოხსენება 2022 წღის 24 იანვრიდან 8 თებერვღამღე,</b>	
<b>საქართველოში, ბათუმში, ხეღვაჩაურის მე-3 სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე</b>	
<b>ჩატარებული ექსჰუმაციისა და ძიების შესახებ.....</b>	<b>42</b>
გომაშ ბოჲკოვსკი, ეხოვნუღი მეხსიეჲების ინსტიღუტი (IPN), პოღონეთი	

**პანელი 2:** საბჭოთა ტერორის მსხვერპლები - დოკუმენტირების პრობლემები  
**მოგვითხრობს თუ არა სტალინური დოკუმენტები სიმართლეს?**  
**რეპრესიების მსხვერპლთა სახელობითი დოკუმენტირების პრობლემები....45**  
*სეხგეი პხედოვსკი, "საეხთაშოხისო მემოხიადი"*  
**საბჭოთა სახელმწიფო ტერორის მსხვერპლები მოლდოვაში: საარქივო და  
 ზეპირი წყაროები, ინტერპრეტაციები და გამონკვევები.....51**  
*იგოხ კაშუ - ახქივების ეხოვნუდი სააგენტო, მოდლოვის ხესპუბლიკა*  
**„ვუნოდოთ სახელი, რათა ზუსტად დავთვალოთ...“ პოლონეთში საბჭოთა  
 რეპრესიების მსხვერპლთა სახელობითი დოკუმენტირება .....57**  
*მაცეი ვიხვა, მიეხოშევსკის ცენტხი, პოლონეთი*  
**დიდ ტერორზე საარქივო წყაროები აჭარაში: მთლიანი სურათის  
 რეკონსტრუქციის გამონკვევები .....59**  
*ანტონ ვაჭახაძე, ინფოხმაციის თავისუფლების განვითახების ინსტიტუტი  
 (IDFI), საქახთვედო*

**პანელი 3:** მუზეუმების როლი საბჭოთა პოლიტიკური რეპრესიების ხსოვნაში  
**ციმბირის მეხსიერების მუზეუმი – ავთენტური ემოციების  
 ადგილსამყოფელი.....65**  
*ვოიცეხ სდეჟინსკი - ციმბირის მეხსიერების მუზეუმი, პოლონეთი*  
**მოლდოვაში დიდი ტერორის (1937-1938) ისტორიისა და ხსოვნის მუზეუმად  
 გარდაქმნა (“მუზეიფიკაცია”) .....70**  
*დუდმიდა დ. კოჟოკაჟუ - მოდლოვის ისტორიის ეხოვნუდი მუზეუმი,  
 მოდლოვის ხესპუბლიკა*

**პანელი 4:** როგორ წავახალისოთ ცოდნა და როგორ გავიგოთ მეტი საბჭოთა  
 რეპრესიების შესახებ  
**Gulag.cz: ახალი ტექნოლოგიები, როგორც საბჭოთა რეპრესიების შესახებ  
 ცოდნის ამალლების ინსტრუმენტი.....74**  
*შტეფან ჩეხნოუშეკი, ასოციაცია Gulag.cz, “საეხთაშოხისო მემოხიადი”,  
 ჩეხეთი*

<b>როგორ და ვისთან ვისაუბროთ პოლიტიკურ რეპრესიებზე?</b>	
<b>მუზეუმის Perm-36-ის საგანმანათლებლო პრაქტიკა.....</b>	<b>77</b>
<i>იურია ბადაბანოვა, ვიქტორ შმიხოვი, ტატიანა კუხსინა - ვიხტუადუხი მუზეუმი Perm-36, ყაზახეთი</i>	
<b>KARTA-ს მეთოდი, სოციალური მოძრაობა საბჭოთა დანაშაულების დოკუმენტირებისთვის.....</b>	<b>84</b>
<i>იუსტინა ავცი, ცენტი KARTA, პოდონეთი</i>	
<b>დეკომუნიზაცია, დეკოლონიზაცია, დემიპერიალიზაცია და დეიდოლოგიზაცია.</b>	
<b>4D პოლიტიკა: ოკუპირებული ბელარუსის შემთხვევა.....</b>	<b>88</b>
<i>ადინა კოუშიკი, ბედახუსის გაეხთიანებუდი გახდამავადი კაბინეტი, პოდონეთი</i>	
<b>მსხვერპლთა გახსენების გზით საბჭოთა რეპრესიების შესახებ ცოდნის პოპულარიზაცია. გერმანულ პროექტ “უკანასკნელი მისამართის” მაგალითი.....</b>	<b>92</b>
<i>მედანი ჰუსინგეხი, ჰედმუგ შმიდტის უნივერსიტეტი, ჰამბუხგი, გეხმანია</i>	

# TABLE OF CONTENTS

<b>Theses</b> .....	96
<b>How to Talk about Soviet Repressions?</b> .....	97
<i>Yan Rachinsky, Chairman of the International Memorial</i>	
<b>Special Troika of the NKVD of the Georgian SSR (1937-1938)</b> .....	102
<i>Giorgi Mamulia - The School for Advanced Studies in the Social Sciences, France</i>	
<b>Between Toleration and Repression: Soviet Adjara in the 1920s-30s</b> .....	106
<i>Harrison King, Ph.D. Candidate (UC Berkeley)</i>	
<b>Panel 1: Batumi Mass Graves - Archaeological and Anthropological Studies</b>	
<b>The work carried out on the mass graves of the Great Terror in Adjara in 2017-2022</b> .....	112
<i>Father Ilia Khinikadze - Eparchy of Batumi and Lazeti, Georgia</i>	
<b>Results of the Forensic Medical Study of the Remains of Victims of the Great Terror (1937-38) Found in Mass Grave No. 6 near Batumi</b> .....	116
<i>Łukasz Szleszkowski, Agata Thannhäuser - Institute of Forensic Medicine, Wrocław Medical University, Poland</i>	
<b>Exhumation of grave no. 6 from the site of the former Soviet military base No. 3 in Khelvachauri from the anthropological perspective</b> .....	121
<i>Angelika Słodka - Institute of National Remembrance (IPN), Poland</i>	
<b>Archaeological Report on the Exhumation and Search Work Carried Out at the Military Base No. 3 in Batumi, Khelvachauri, Georgia on January 24 - February 8, 2022</b> .....	124
<i>Tomasz Borkowski - Institute of National Remembrance (IPN), Poland</i>	
<b>Panel 2: Victims of Soviet Terror - Documentation Problems</b>	
<b>Do Stalin's Documents Tell the Truth? Problems of Documenting the Names of Victims of Repression</b> .....	127
<i>Sergei Prudovsky - International Memorial</i>	
<b>The Victims of Soviet State Terror in Moldova: Archival and Oral Sources, Interpretations and Challenges</b> .....	133
<i>Igor Casu - National Agency of Archives, Moldova</i>	

<b>“To Count Exactly, Call by the First Name...” – Attempts to Document the Victims of Soviet Repression in Poland by Name.....</b>	<b>138</b>
<i>Maciej Wyrwa - Mieroszewski Centre, Poland</i>	
<b>Archival Sources of the Great Terror in Adjara: Challenges in Reconstructing the Complete Picture.....</b>	<b>140</b>
<i>Anton Vatcharadze, Institute for Development of Freedom of Information (IDFI), Georgia</i>	

**Panel 3: The Role of Museums in Commemorating Soviet Political Repressions**

<b>Sybir Memorial Museum – the Place of Authentic Emotions.....</b>	<b>146</b>
<i>Wojciech Śleszyński, Sybir Memorial Museum, Poland</i>	
<b>Museification of History and Memory of the Great Terror (1937-1938) in the Republic of Moldova.....</b>	<b>151</b>
<i>Ludmila D. Cojocar, National Museum of History of Moldova, Republic of Moldova</i>	

**Panel 4: How to Popularise Knowledge and How to Learn About Soviet Repressions**

<b>Gulag.cz: New Technologies as a Tool for Education and Enlightenment on the Topic of Soviet Repression.....</b>	<b>154</b>
<i>Stepan Cernousek, Gulag.cz Association, International Memorial, Czech Republic</i>	
<b>How and With Whom to Talk About Political Repression? Educational Practices of the Perm-36 Museum.....</b>	<b>157</b>
<i>Yulia Balabanova, Viktor Shmyrov, Tatiana Kursina, Perm-36 Virtual Museum project, Kazakhstan</i>	
<b>The KARTA Method - a Social Movement for Documenting Soviet Crimes.....</b>	<b>163</b>
<i>Justyna Avci, KARTA Centre, Poland</i>	
<b>Decommunization, Decolonisation, Deimperialization, and Deideologization. 4D Politics: the Case of Occupied Belarus.....</b>	<b>167</b>
<i>Alina Koushyk, United Transitional Cabinet of Belarus, Poland</i>	
<b>Popularising Knowledge About Soviet Repressions Through Remembering Their Victims. The Example of the "Last Address" Project in Germany.....</b>	<b>171</b>
<i>Melanie Hussinger, Helmut-Schmidt-Universität Hamburg, Germany</i>	



# წინასიტყვაობა

2023 წლის 5-6 ოქტომბერს, ბათუმში, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI), იულიუმ მიეროშევსკის დიალოგის ცენტრის (Centrum Dialogu im. Juliusza Mieroszewskiego) ფინანსური მხარდაჭერით, გამართა საერთაშორისო კონფერენცია - “სიმართლის გამოვლენა: დიდი ტერორის (1937-1938) მასობრივი სამარხები ბათუმში, საქართველოში”.

კონფერენცია ეხებოდა 2019 წელს ბათუმთან ახლოს, ხელვაჩაურში აღმოჩენილ მასობრივ სამარხებს, რამაც ბათუმი და, ზოგადად, აჭარა, რეპრესირებულთა საკითხის შესწავლის კუთხით საქართველოში უმნიშვნელოვანეს რეგიონად აქცია. 2022 წელს IDFI-ის, პოლონელი ექსპერტებისა და ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის ერთობლივი ძალისხმევით, მე-6 სამარხის ტერიტორიაზე არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარება, ნეშტების ექსპუმაცია და ანთროპოლოგიური კვლევა გახდა შესაძლებელი - ამ პროცესში მონაწილე არქეოლოგებმა და ანთროპოლოგებმა კონფერენციაზე შესაბამისი სამეცნიერო ანგარიშები წარმოადგინეს. ქართულ საზოგადოებაში დღემდე არსებობს იდეოლოგიური დაპირისპირება კომუნისტური წარსულის მიმართ პოზიტიურად განწყობილ ადამიანებსა და იმ მოქალაქეებს შორის, რომლებიც ამ პერიოდს უარყოფითად აღიქვამენ. კონფერენციის ერთ-ერთი მიზანი სწორედ ამ საკითხის განხილვა, ამ კუთხით ცნობიერების ამაღლება და საზოგადოებისათვის კომუნიზმისა და სტალინიზმის რეალური, ტოტალიტარული სახის ჩვენება იყო.

კონფერენციის მონაწილეთა შორის იყვნენ აკადემიური წრის გამორჩეული წევრები და დარგის ექსპერტები საქართველოდან, პოლონეთიდან, მოლდოვიდან, ჩეხეთიდან, ყაზახეთიდან და გერმანიიდან. მონაწილეთა შორის იყო მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის 2022 წლის ლაურეატი ორგანიზაციის, საზოგადოება “საერთაშორისო მემორიალის” თავმჯდომარე, იან რაჩინსკი, რომელმაც საბჭოთა რეპრესიების კვლევის სირთულესა და მნიშვნელობაზე ისაუბრა.

გარდა მასობრივი სამარხების თემისა, კონფერენცია ტოტალიტარული წარსულის მქონე ქვეყნების მეხსიერების პოლიტიკასა და, ამ კუთხით, არქივების მნიშვნელობას შეეხებოდა. ორი დღის განმავლობაში მონაწილეებმა სხვადასხვა ქვეყანაში ამ მიმართულებით არსებულ პრაქტიკებზე, გამოცდილებაზე, პრობლემებსა და გამოწვევებზე ისაუბრეს.

კონფერენციასა და მისი მონაწილეების მიერ განხილული თემების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციის მისაღებად, IDFI აქვეყნებს მომხსენებელთა მიერ მოწოდებული თეზისების კრებულს.

# Foreword

On October 5-6, 2023, in Batumi, the Institute for Development of Freedom of Information (IDFI), with the financial support of the Juliusz Mieroszewski Centre for Dialogue (Centrum Dialogu im. Juliusza Mieroszewskiego), held an international conference "Uncovering the Truth: Mass Graves of the Great Terror (1937-1938) in Batumi, Georgia".

The conference was about the mass graves discovered in Khelvachauri, near Batumi in 2019, which made Batumi and, in general, Adjara, the most important region in Georgia in terms of studying the issue of repressed people. In 2022, with the joint efforts of IDFI, Polish experts and the Eparchy of Batumi and Lazeti, it became possible to conduct excavations in the territory of the 6th grave and discover the remains there - archaeologists and anthropologists participating in this process presented relevant scientific reports at the conference. In Georgian society, there is still an ideological conflict between people who have a positive attitude towards the communist past and those citizens who perceive this period negatively. One of the goals of the conference was to discuss this issue, raise awareness in this regard and show the real, totalitarian face of communism and Stalinism to the public.

Among the participants of the conference were distinguished members of the academic circle and experts in the field from Georgia, Poland, Republic of Moldova, Czech Republic, Kazakhstan and Germany. Among the participants was Yan Rachinsky, the chairman of the 2022 Nobel Peace Prize Laureate society International Memorial, who spoke about the complexity and importance of researching Soviet repressions.

In addition to the topic of mass graves, the conference focused on the politics of memory in countries with a totalitarian past and underscored the importance of archives in this context. Over two days, participants engaged in discussions about the practices, experiences, problems, and challenges related to these themes in various countries.

For more detailed information about the conference and the topics covered by the participants, IDFI publishes a collection of the brief theses submitted by the presenters.

**თავისებობა**

# როგორ ვისაუბროთ საბჭოთა რეპრესიებზე?

იან ხაჩინსკი

“საეხთაშოხისო მემოხიადის” თავმჯდომარე

## (1) ერთი სიტყვით, ეს რთულია. რთულია რამდენიმე მიზეზის გამო.

პირველ რიგში, ეს ყველაფერი დიდი ხნის წინ იყო. სტალინის სიკვდილიდან უკვე 70 წელია გასული - ეს არა მხოლოდ ახალგაზრდა ადამიანების, არამედ მათი მშობლების ცხოვრებისეულ გამოცდილებაააც სცდება. საბჭოთა მმართველობა 30 წლის წინ დასრულდა, რაც ასევე დიდი დროა. ასეთი შორეული მოვლენები საზოგადოების ყურადღების ცენტრში იშვიათად ხვდება. და აი, ყველასათვის გასაოცრად, ორივე, სტალინისტები და ანტისტალინისტები, ერთსა და იმავეს ამბობენ: „რატომ იშვერთ ყველანი თითს სტალინისკენ, უკვე ძალიან დიდი დრო გავიდა, ეძიეთ დამნაშავეები უფრო ახლოს“. ამის შემდეგ შეუსაბამობას ვიღებთ - ზოგი იხსენებს, რომ თითქოს, სტალინის დროს წესრიგი იყო, მეორენი კი, აღშფოთებას გამოხატავენ იმით, რომ ამ გზით რეჟიმის წინააღმდეგ მათი დღევანდელი ბრძოლიდან გადააქვთ ყურადღება. სწორედ ეს არის პირველი პრობლემა - როგორ ავხსნათ, რომ ეს წარსული აქტუალურია, როგორ ჩავრთოთ ხალხი დისკუსიაში?!

მეორე, საბჭოთა 70-წლიანი მმართველობა ძალიან დიდი დროა. ბალტიისპირეთის ქვეყნებსა და დასავლეთ უკრაინას გაუმართლათ - მათთვის ეს უბედურება მხოლოდ 40 წელს გაგრძელდა. ცოტა დრო არც ეს არის, თუმცა გარდაქმნის დაწყებისათვის იქ ჯერ კიდევ აქტიური იყო თაობა, რომელსაც ცხოვრების სხვა წესები, განსხვავებული სოციალური სტრუქტურა ახსოვდა. ძალადობისა და ტოტალური იდეოლოგიური კონტროლის 70-მა წელმა, ყოფილი კავშირის არაერთ ნაწილში, ასეთი სოციალური უნარების, საზოგადოებრივი ურთიერთქმედების საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილების გადაცემა შეუძლებელი გახადა. კომუნისტური მმართველობის მიერ თავსმოხვეულ საზოგადოებრივი ცხოვრების წესებს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ვეღარ აცნობიერებს და მათ განხილვას საჭიროდ არ თვლის.



იან ხაჩინსკი

ეს, ძირითადად, იმიტომ ხდება, რომ კომუნისტური უტოპია მიმზიდველია - მესამე პრობლემაც სწორედ ეს არის. ჯერ კიდევ არც ისე ცოტა ადამიანი თვლის, რომ სტალინმა (და ლენინმაც კი) დაამახინჯა ნათელი იდეალები და მილიონობით მსხვერპლი სწორედ ამის შედეგია. აქ მნიშვნელოვანია, პრობლემა არ გავამარტივოთ. ნაციზმისგან განსხვავებით, კომუნისტური იდეოლოგია, თავისი განცხადებული მიზნებით, არსში დანაშაულებრივი არ არის. ბოლშევიკთა ვულგარულ ინტერპრეტაციაში დანაშაულებრივი ასპექტები იკვეთებოდა - ტერორის აპოლოგია და ადამიანის ცხოვრებისეული ფასეულობების ზიზღი, თუმცა ეს მუდამ მაღალი იდეალების ჩრდილში რჩებოდა. კრიმინალური იყო ბოლშევიკების ფანატიკური მცდელობები, ყოველგვარი ფიქრისა და მეთოდების შერჩევის გარეშე, უტოპია და რეალობა ერთმანეთთან შეერწყათ.

თავისუფლებისაკენ სწრაფვის მოწოდებით, ბოლშევიკებმა ქვეყანა საკონცენტრაციო ბანაკად აქციეს.

რეალობასთან შეჯახებული უტოპია არაკონკურენტუნარიანი, არამყარი აღმოჩნდა და მისი, მასთან ერთად კი ძალაუფლების შენარჩუნებისათვის, ყველა პოლიტიკური ოპონენტის მოშორება, მათთვის გავლენის, დროთა განმავლობაში კი სიცოცხლის მოსპობა გახდა აუცილებელი.

რეალურად, დღეს რუსეთში, და არამხოლოდ რუსეთში, მსგავს სურათს ვხედავთ - იდეოლოგიურად გაკოტრებული ხელისუფლება იდეოლოგიურ მონოპოლიას, ტოტალურ ცენზურას აწესებს. შესაძლოა, ეს არის ის, რაც ადამიანებს დააფიქრებს წარსულზე - იმაზე, რაც ბრუნდება. ტერორის დაწყება თვითმიზანი სულაც არ ყოფილა. ის მმართველობის სათავეში მოსულთა ფანატიზმისა და გადამეტებული თავდაჯერებულობის შედეგი იყო.

წარსულზე საუბარს თან ის პრაქტიკული სირთულეების ახლავს, რომელთა შესახებაც შეკრებილი საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი - საბჭოთა სპეცსამსახურების, ჩეკასა და კგბ-ის არქივებზე ხელმისაწვდომობის დაბალი ხარისხი, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პენიტენციური სისტემის არქივებთან დაკავშირებით არსებული გაურკვეველი სიტუაცია. ზოგადად, რთულია ვითარება დოკუმენტებთან და მატერიალურ მტკიცებულებებთან დაკავშირებით: ძალიან ცოტა დღიური და საოჯახო არქივი არსებობს, ბანაკების ნანგრევები ქრება, დახვრეტილთა და ბანაკებში დაღუპულთა მასობრივი სამარხების მხოლოდ მცირე ნაწილის ადგილსამყოფელია დადგენილი, ხოლო ამ ადგილების შესაბამისი აღწერა-გამოკვლევა კიდევ უფრო იშვიათია - სამაგიეროდ, არც ისე მცირეა მათ მიმართ ბარბაროსული მოპყრობის მაგალითები.

როგორ მოვიქცეთ ასეთ გამოუვალ სიტუაციაში? როგორ მოვყვეთ, როცა ვიაზრებთ, რომ საზოგადოების მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია მაშინვე ხელმისაწვდომი არ იქნება და, შეიძლება, ამან კარგა ხანს გასტანოს?

1980-იანი წლების ბოლოს, როცა “მემორიალი” შეიქმნა, სიტუაცია აბსოლუტურად განსხვავებული იყო. ამ თემებზე საუბარი პირველად გახდა შესაძლებელი. ბევრ ადამიანს სურდა გაეგო, რა შეემთხვათ მათ ახლობლებს. მსმენელების ძიება საჭირო არ იყო, ისინი თავად ეძებდნენ მას, ვისაც პასუხის გაცემა შეეძლო.

მაგალითად, როგორ გახდა შესაძლებელი ქვეყნის მოქალაქეების მასობრივი განადგურება და რა უნდა შეიცვალოს, რომ ეს არ განმეორდეს. მაშინ ადამიანებმა იგრძნეს, რომ რაღაც მათზე იყო დამოკიდებული, მათ შეეძლოთ სახელმწიფოს პოლიტიკაზე, მის ბედზე ზემოქმედება.

მიუხედავად ამისა, საზოგადოების ორგანიზმის, საუკუნეების განმავლობაში დაგროვებული და 70 წელიწადში განადგურებული ამ რთული სტრუქტურის აღდგენას მეტი დრო სჭირდება, ვიდრე სულ რამდენიმე წელი.

სსრკ-ის დანგრევის შემდეგ რწმენა, რომ მიმდინარე მოვლენებზე გავლენა ადამიანებს ჰქონდათ, მალევე გაიფანტა. განსაკუთრებით, 1993 წლის ოქტომბრის შემდეგ, როცა ცხადი გახდა, რომ ხელისუფლება ფსონს უფლებებისა და სამართლიანობის ნაცვლად ძალაზე ჩამოდიოდა.

(2) უბედურების საფუძველი შემდეგია: 1980-იანი წლების ბოლოსა და 1990 წლების დასაწყისში ბევრი რამე ითქვა, თუმცა ყველაფერი ბოლომდე არ თქმულა, ყველაფერს სახელი არ დარქმევია; არ თქმულა, რომ **ეს არ ყოფილა უბრალო რეპრესიები**, ეს იყო სახელმწიფო ტერორი; რომ რეჟიმი კრიმინალური იყო და დანაშაულებს იურიდიული შეფასება, შესაბამისი კვალიფიკაცია არ მისცემია.

არ აღიარებულა, რომ ასეთ დანაშაულებს ხანდაზმულობის ვადა არ აქვს. და, სამწუხაროდ, დიდი ხანია სკოლებში, უნივერსიტეტებსა და მედიასაშუალებებში საბჭოთა ტერორზე საუბარი მხოლოდ ზედაპირზე ტიპივით, ტერმინების განსაზღვრით შემოიფარგლება და არ ჩადის არსის სიღრმეში, კონკრეტულად - იმაში, **თუ რას ნიშნავდა ეს ტერმინები კონკრეტული ადამიანების ბედთან მიმართებით.**

საუბარი მხოლოდ დიდ ტერორს არ ეხება, როცა 15 თვეში 700,000, საშუალოდ, დღეში 1,500 ადამიანი მოკლეს. სტატისტიკა შემზარავია, თუმცა ეს მხოლოდ სტატისტიკაა და ციფრები ცნობიერებაზე აღარ მოქმედებს. თუმცა, ჯერ-ჯერობით ბევრი, მათ შორის ისტორიკოსთა ნაწილი, ვერ ხვდება, რომ ამ ადამიანების უმრავლესობას განაჩენი არაკანონიერმა, არასასამართლო ორგანოებმა გამოუტანა და მათ თავდაცვის საშუალებაც კი არ მისცემიათ. ამაში არ იგულისხმება მხოლოდ ადვოკატის არყოლა - მათ იმის უფლებაც კი არ მისცეს, რომ რამე თავად ეთქვათ ან სცოდნოდათ, რომ მათი ბედი წყდებოდა.



იან ჩაჩინსკი

არ შეიძლება დავივიწყოთ „ხალხის მტრების“ ასობით ათასი ცოლი და შვილი, რომლებიც ბანაკებსა და ბავშვთა სახლებში ყოველგვარი ბრალდების გარეშე, მხოლოდ დაბადების „უიღბლო“ დროისა და ადგილის გამო მოხვდნენ.

არ შეიძლება დავივიწყოთ კულაკიზაცია, როცა მილიონობით გლეხი საკუთრების გარეშე დარჩა და უკაცრიელ ადგილებში გაიგზავნა მხოლოდ იმის გამო, რომ სახელმწიფოს მათ ქონებაზე ეჭირა თვალი.

საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი უამრავი ერია, რომელიც სახელმწიფომ არასანდოდ ჩათვალა და ყოველგვარი გამორჩევის გარეშე დასაჯა - ეს დანაშაულია, რომელიც გენოციდს უტოლდება. ეს მილიონობით ადამიანია, რომელსაც არჩევანის თავისუფლება ჩამოერთვა და რეპრესიებში მოყვა „არასწორი“ წარმოშობის - მეფის რუსეთის დიდებულების, მეომრების, სასულიერო პირების, ვაჭრებისა და ჩინოვნიკების ოჯახში დაბადების გამო.

ვსაუბრობთ მილიონობით ადამიანის შიმშილით სიკვდილზე, იმაზე, რაც ბოლშევიკების მოსვლამდე არასდროს მომხდარა. ჩემი აზრით, ამ შიმშილობაში კონკრეტული ხალხისა და ერების წინააღმდეგ არსებული ჩანაფიქრის ძიება არასწორია - ურალსა და ვოლგის რეგიონში მცხოვრები რუსებიც ისევე იხოცებოდნენ, როგორც სხვები. საქმე უარესადაა - ხელისუფლება, უბრალოდ, გულგრილად უყურებდა ადამიანების სიკვდილს, რაც საბჭოთა მმართველობის არაადამიანურობას ყველაზე ნათლად აჩვენებს.

არავის და არსად მსოფლიოში არ ჩაუდენია ასეთი დანაშაული, არ მოუწყვია ასეთი ტერორი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ. ასე ოკუპანტებიც კი იშვიათად ეპყრობიან მშვიდობიან მოსახლეობას.

ტერორის მთავარი ორგანიზატორებიდან არცერთი დასახელებულა ოფიციალურად კრიმინალად. შედარებით დაბალ საფეხურზე მდგომი ორგანიზატორებისა და აღმასრულებლების დიდი ნაწილიც გაექცა სიკვდილის შემდგომ პასუხისმგებლობასაც კი.

ერთი სახასიათო მაგალითი: 1941 წლის სექტემბერში სტალინმა ხელი მოაწერა განკარგულებას ორლოვსკის ციხის 170 პატიმრის დახვრეტის შესახებ. ამ გადაწყვეტილების შესაბამისად, სსრკ-ის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ „განაჩენი“ მაშინვე გამოაცხადა, არამხოლოდ დაუსწრებლად, არამედ ბრალდების მტკიცებულებების გარეშეც. 1989 წელს, დახვრეტილთა რეაბილიტაციის პროცესში ასეთი „მართლმსაჯულების“ აღმასრულებლების პასუხისმგებლობის საკითხი დაისვა. 1990 წლის აპრილში კი ეს საკითხი „დიალექტიკურად“ გადაწყდა.



ერთი მხრივ, „დადგინდა, რომ სსრკ-ის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის (თავმჯდომარე ულრიხი, კოლეგიის წევრები კანდიბინი და ბუკანოვი) 1941 წლის 8 სექტემბრის განაჩენი 161 პატიმართან დაკავშირებით იყო უკანონო და დაუსაბუთებელი“. მეორე მხრივ - „ვინაიდან მოცემული სასამართლო გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მომენტში სახელმწიფო ძალაუფლების უმაღლესი ორგანოს, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილების საფუძველზე, ულრიხის, კანდიბინისა და ბუკანოვის მოქმედებები დანაშაულის ნიშნებს არ შეიცავს“.

სინამდვილეში, ეს არის მთავარი, რისი დავიწყებაც არ შეიძლება საბჭოთა ტერორზე საუბრისას - არა მხოლოდ ფაქტები, არამედ ორგანიზატორებისა და აღმასრულებლების მსოფლმხედველობაც. მისი არსი პუტინის მიერ ცოტა ხნის წინ თქმული სიტყვებითაც შეიძლება გამოიხატოს: „სახელმწიფოს ინტერესები პირველ ადგილზე“. ეს მსოფლმხედველობა არსად წასულა. სწორედ ამიტომ, სახელმწიფო მკვლელი, პაველ სუდოპლატოვი არამხოლოდ რეაბილიტირდა 1992 წელს, არამედ მის სახელს უკრაინის წინააღმდეგ მებრძოლი ბატალიონიც კი ატარებს.

იქამდე, სანამ „სახელმწიფო ინტერესებით“ ჩადენილი დანაშაულები გამართლდება, დემოკრატიაზე ოცნება უაზროა.

ვფიქრობ, ამის ხსოვნა და გახსენება ნებისმიერ საქმეში აუცილებელია.

## საქართველოს სსრ-ის შინსახკომის განსაკუთრებული სამუშაო (1937-1938)

*გიორგი მამუდია*

*სოციალური მეცნიერებათა უმაღლესი კვლევების სკოლა, საფხანგეთი*

საქართველოში დიდი ტერორის საწყის წერტილად, შეიძლება, ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1937 წლის თებერვალი-მარტის ცნობილი ყრილობა მივიჩნიოთ. რეპრესიების დაწყების ნიშანი სტალინის მიერ 3 მარტს ნათქვამი სიტყვები გახდა. თავმჯდომარის თქმით, ტროცკისტი დივერსანტებისა და ჯაშუშების ქმედებებმა გავლენა იქონია არამხოლოდ ზოგიერთ, არამედ თითქმის ყველა, როგორც ეკონომიკურ, ისე ადმინისტრაციულ და პარტიულ ორგანიზაციაზე. უცხო ქვეყნის აგენტებმა, მათ შორის ტროცკისტებმა, არამხოლოდ დაბალი რანგის ორგანიზაციებში, არამედ მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო პოზიციებზეც გაიდგეს ფესვები.

მოსალოდნელი ფართომასშტაბიანი რეპრესიების გასამართლებლად, სტალინი კიროვის მკვლელობას ახსენებდა და ამბობდა, რომ ხალხის მტრები ორმაგ თამაშს თამაშობდნენ, თავს ბოლშევიკებად, პარტიის წევრებად აჩვენებდნენ, რათა პარტიულ ორგანიზაციებში შეეღწიათ. სხვა სიტყვებით, თანამდებობა და სამსახური ვერ იქნებოდა გარანტია, რომ პიროვნება ჯაშუში, დივერსანტი ან ორმაგი აგენტი არ იყო.



*ნანა ჯანელიძე, გიორგი მამუდია*

საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის, სერგო გოგლიძის, მიერ 1937 წლის 14 მაისს ბერიასათვის მიწერილი წერილით ვიგებთ „გამოძიების“ მიმდინარეობის შესახებ საქართველოში რეპრესიების საწყის ეტაპზე. ამ დოკუმენტის მიხედვით, შინსახკომის გამომძიებლებმა, წამების უკიდურესი მეთოდების გამოყენებით, ბუდუ მდივანის აღიარება მოიპოვეს. ამ აღიარების მიხედვით, ის მითური „ღრმად კონსპირაციული კონტრრევოლუციური ტერორისტულ-დივერსიული მემარჯვენე ორგანიზაციის“ წევრი იყო, რომელიც, თითქოს, საქართველოში არსებობდა. „ორგანიზაციის“ წევრთა შორის იყვნენ თანამდებობის პირები, ის პოლიტიკოსები, რომლებმაც შეინარჩუნეს ურთიერთობა პარტიის სტალინის მიერ მოძულეებულ წევრებთან. მდივანის „აღიარების“ შედეგად, გიორგი ყურულოვი, ადგილობრივი მრეწველობის კომისარი, ასევე, სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე, შალვა მათიკაშვილი და ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი, თენგიზ ჟღენტი დააკავეს.

დაპატიმრებულთა დაკითხვის მეთოდებისა და მათგან მოპოვებული ჩვენებების ბუნებას მეტ-ნაკლებად ვიგებთ 1955 წელს, დიდი ტერორის პერიოდში უკანონოდ რეპრესირებული ადამიანების რეაბილიტაციის კამპანიის პროცესში მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

მაგალითად, ჟღენტის დანაშაული იყო მისი ახლო ურთიერთობა მალაქია ტოროშელიძესთან და სამსონ მამულიასთან, ასევე ძველ ბოლშევიკ ფილიპე მახარაძესთან. ჟღენტის წინააღმდეგ წამოწყებული პარტიული გამოძიების ფორმალური წინაპირობა იყო ბრალდება, რომლის მიხედვითაც, ის ცდილობდა კორუფციაში ბრალდებული თავისი თანამშრომლის დაცვას.

ჟღენტის დაპატიმრებისთვის, სამხილთა უქონლობის გათვალისწინებით, პარტიული გამოძიება მის საქმეზე 1936 წლის ნოემბრიდან 1937 წლის მაისამდე გაგრძელდა. 1937 წლის ადრე გაზაფხულისთვის, ჟღენტი დაკითხვაზე იმყოფებოდა „კონტრრევოლუციურ აქტივობებთან“ და ბერიას წინააღმდეგ ტერაქტის დაგეგმვასთან დაკავშირებით.

ამავდროულად, ჟღენტისა და სხვა ბრალდებულების დევნა რესპუბლიკაში აქტიურად მიმდინარეობდა. მაგალითისთვის, 15 მაისს, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიმდინარეობისას, ბერიამ გამოაცხადა, რომ ყურულოვი, ჟღენტი და მათიკაშვილი „ახლოს იმყოფებოდნენ“ მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრებთან და იყვნენ მათი თანამზრახველები. იცოდა რა იმის შესახებ, რომ სამხილები სხვა დაკავებული ინდივიდებისგან იძულებით იქნა მოპოვებული, ჟღენტმა თვითმკვლელობამდე წერილი დაუტოვა ბერიას. წერილში ის სთხოვდა ბერიას, მიეხედა მისი ოჯახისთვის. საინტერესოა, რომ ჟღენტის თვითმკვლელობის შემდეგ, შინსახკომის ოფიცრებს

არ დავინწყებიათ მისი “ოჯახისთვის მიხედვა”. კერძოდ, მისი მეუღლე და შვილები დააკავეს.

უკვე 31 მაისისთვის, სტალინს გაეგზავნა პირველი სია, რომელიც 139 სიკვდილმისჯილისა (პირველი კატეგორია) და 35 პატიმრობამისჯილის (მეორე კატეგორია) სახელს მოიცავდა. როგორც ჩანს, სტალინი უკმაყოფილო იყო რეპრესიებისა და შეთქმულების გამომჟღავნების ნელი ტემპებით.



ნანა ჯანელიძე, გიორგი მამუღია, ჰაჩისონ კინგი

გოგლიძის მიხედვით, 1937 წლის გაზაფხულზე, ბერია მოსკოვში დაიბარეს. დაბრუნების შემდგომ, მან გოგლიძეს დაავალა რაიონისა და შინსახკომის საქალაქო დეპარტამენტის ყველა უფროსი, ამასთანავე, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკები) ცენტრალური კომიტეტის ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისრები მოეწვია შეხვედრაზე. მას შემდეგ, რაც ყველა გამოცხადდა, ბერიამ ისინი ცენტრალური კომიტეტის შენობაში შეკრიბა და მათ წარუდგინა ანგარიში. თავის ანგარიშში, ბერიამ ხაზი გაუსვა იმას, რომ საქართველოს შინსახკომი მტრებს არაადეკვატურ წინააღმდეგობას უწევდა, გამოძიებებს ნელი ტემპით აწარმოებდა და საშუალებას აძლევდა ხალხის მტრებს, თავისუფლად ევლოთ ქუჩებში.

ეჭვგარეშეა, რომ საქართველოში სიკვდილით დასჯილი ინდივიდების რაოდენობის ზრდა სტალინის მხრიდან წამოსულ წნეხს უკავშირდებოდა.

თუ ბერიას მიერ სტალინისთვის 31 მაისს წარდგენილი სიკვდილმისჯილთა პირველი სია 139 ადამიანს მოიცავდა, უკვე 20 ივლისს ბერიას მიერ სტალინისთვის გაგზავნილ სპეციალურ ნოტაში იკითხება ცნობები საქართველოში რეპრესიათა პროგრესზე. წერილში ბერია ხაზს უსვამს შემდეგს: “ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციური ელემენტები, საქართველოს მასშტაბით, ზედმინვენით იქნებიან თავიდან მოშორებული. 200-მდე ადამიანი უკვე დაისაჯა სიკვდილით. ცოტა ხნის წინ, საქართველოს შინსახკომიდან 350 ადამიანის სიკვდილით დასჯასთან დაკავშირებული ცნობები გაიგზავნა ეჟოვთან დასადასტურებლად. იგეგმება, დაახლოებით, 1,000 ადამიანის სიკვდილით დასჯა, რომლებშიც შედიან კონტრრევოლუციონერი მემარჯვენეები, ტროცკისტები, ჯაშუშები, დივერსანტები და სხვები. ეს რიცხვი არ მოიცავს გულაგგამოვლილებსა და კრიმინალებს, რომლებიც გადასახლებიდან დაბრუნდნენ და რომლებსაც ადმინისტრაციული წესით ელით დახვრეტა შინსახკომის ტროიკის საშუალებით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე”.

რაც შეეხება ტროიკას, რომელიც უკვე დაარსებული იყო ეჟოვის 1937 წლის 30 ივლისის №00447 ბრძანებით, მისი მთავარი მანდატი იყო, გულაგიდან დაბრუნებული, წარსულში ანტიბოლშევიკური პარტიების წევრებისა და კრიმინალების საქმეებზე მუშაობა. შედეგების მისაღწევად, 5 აგვისტოდან, ოთხი თვის განმავლობაში, სსრკ-ის ყველა რესპუბლიკაში, ტერიტორიასა და რეგიონში, შინსახკომის წევრებს ევალებოდათ დაკავების ოპერაციების ჩატარება. სამეულების ფუნქცია იყო ამ დაკავებულებისათვის სასჯელის შეფარდება. დაკავებულები ორ კატეგორიად იყოფოდნენ. პირველი კატეგორია, რომელსაც სიკვდილით დასჯა ელოდა, მოიცავდა “ყველა ჩამოთვლილ მტრულად განწყობილ ელემენტს”. მეორე კატეგორია მოიცავდა “ყველა ნაკლებად აქტიურ, თუმცა კვლავ მტრულად განწყობილ ელემენტს”, რომელსაც გრძელვადიანი პატიმრობა ელოდა ბანაკებში 8-10 წლის განმავლობაში. ასევე სიზუსტით განისაზღვრა დასახოცი ადამიანების კვოტაც. მაგალითისთვის, საქართველოს სსრ-ში, 2,000 ადამიანი განესდა პირველ კატეგორიაში, ხოლო 3,000-მეორეში.

1937 წლის ოქტომბრის ბოლომდე, საქართველოს შინსახკომის განსაკუთრებული სამეული ძირითადად დაკავებული იყო ბრძანება №00447-ით განსაზღვრული ჯგუფების რეპრესიებით. ამ დროისთვის, ტროიკამ სასჯელი შეუფარდა 5,236 ადამიანს.

ძველი ბოლშევიკების შემთხვევაში, სასჯელი სსრკ-ის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გასვლითი სესიებით გამოჰქონდათ. შესაბამისად, ოქტომბრის ბოლოსთვის, უმაღლეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიას სასჯელი გამოტანილი ჰქონდა 910 ადამიანისთვის.

რეპრესიების განსაკუთრებით მაღალ რიცხვზე პასუხისმგებლობა 1937-1938 წლების საქართველოში, უდავოდ, არა ბერიას, არამედ სტალინს ეკისრება. სტალინი ყურადღებით აკვირდებოდა რესპუბლიკაში მიმდინარე საზარელ მოვლენებს. სავარაუდოდ, სწორედ სტალინის პირდაპირი ინსტრუქციით იქნა კონკრეტული კვოტები შედგენილი.

“რევიზიონისტული” სკოლის წარმომადგენლების აზრების საპირისპიროდ, საქართველოს მაგალითი ხაზს უსვამს მასიური რეპრესიების ტალღის მასშტაბურობას, რომელიც პირდაპირ ცენტრიდან მოდიოდა. საქართველოში მიმდინარე დიდი ტერორის სპეციფიკა განისაზღვრება ამიერკავკასიის რესპუბლიკისადმი სტალინის თავისებური დამოკიდებულებით.

## მიმღებლობასა და რეპრესიას შორის: საბჭოთა აჭარა 1920-1930-იან წლებში

ჰაჩისონ კინგი

დოქტორობის კანდიდატი, კადიფოხნიის ბუჩკდის უნივერსიტეტი

1920-1930-იან წლებში, ალბათ, საქართველოს არცერთ ნაწილში არ იყო საბჭოთა პოლიტიკის დრამატული ცვლილებები ისეთი შესამჩნევი, როგორც აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. კულტურულ-რელიგიური ავტონომიის ახალმა ექსპერიმენტმა გზა გაუხსნა სახელმწიფოს მიერ წარმოებულ ძალადობას, რომელმაც სწორედ ამ ავტონომიის ბირთვი გაანადგურა. კომუნისტური პარტიისა და კვბ-ის არქივები თბილისში, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის არქივი ბათუმში აჩვენებს, რომ საბჭოთა ხელისუფლება მერყეობდა თავშეკავებასა და იძულებას, ჩაურევლობასა და პირდაპირ რეპრესიებს შორის.



ქართველი მუსლიმების საკითხის მიმართ ფრთხილი და სენსიტიური მიდგომის მხარდაჭერის პარალელურად, კომუნისტური პარტია კრიტიკულ მომენტებში სასურველი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ძალადობაზე უარს არ ამბობდა. 1920-იანი წლების მცირე მასშტაბის, შერჩევითი გადასახლებები და დახვრეტები დიდი ტერორის (1937-1938) პერიოდში საგრძნობლად გახშირდა. მასობრივ რეპრესიებს 1944-1951 წლებში საზღვრისპირა მოსახლეობის მასობრივი გადასახლებები მოჰყვა. აჭარის ავტონომიური სტატუსი რეგიონის მუსლიმ მოსახლეობას, თავდაპირველად, ანტირელიგიური პოლიტიკისგან იცავდა, თუმცა მზარდმა შიშებმა საზღვრის უსაფრთხოების, ანტისაბჭოთა საბოტაჟისა და თურქეთის გავლენის მიმართ, საბჭოთა ხელისუფლების მიერ 1930-იან წლებში აჭარის მოსახლეობის წინააღმდეგ მკაცრი ზომების მიღება განაპირობა.

თავდაპირველად, კომუნისტური პარტია ისლამის მიმართ ტოლერანტულ მიდგომას იყენებდა და აჭარაში პოლიტიკური ლეგიტიმაციის მოსაპოვებლად არაერთ სტრატეგიულ დათმობაზეც წავიდა. 1921 წლის 18 მარტს, როცა ბათუმზე კონტროლი დაამყარეს, ბოლშევიკები აჭარაში მცხოვრებ ქართველ მუსლიმებს ფართო ავტონომიას შეჰპირდნენ - ეს თანხვედრაში მოდიოდა მოსკოვის (1921 წლის 16 მარტი), მოგვიანებით კი ყარსის (1921 წლის 13 ოქტომბერი) ხელშეკრულებებთან, რომელთაც ომთაშორის პერიოდში თურქეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობებს ჩაუყარეს საფუძველი. ბათუმის რევოლუციური კომიტეტი (რევკომი) არწმუნებდა ადგილობრივ მუსლიმებს, რომ შეეძლოთ არ ენერვიულათ, რადგან მათი რწმენა და რელიგიური ინსტიტუციები ხელშეუხებელი იქნებოდა. <sup>(1)</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკები ისლამს „ჩამორჩენილობის“ ნიშნად განიხილავდნენ და მას სოციალიზმის განვითარების წინააღმდეგ მიიჩნევდნენ, თავდაპირველ ეტაპზე აგრესიული ანტირელიგიური აგიტაციისაგან თავს იკავებდნენ. საპირისპიროდ, პარტია მაქსიმალურად იკავებდა თავს მუსლიმთა საქმეებში ჩარევისგან და მეტიც, ბავშვებს ისლამურ სკოლებში (მედრესე) სიარულის უფლებაზე აძლევდა - ასეთი გამონაკლისი საბჭოთა კავშირის ძალიან მცირე რეგიონში იყო დაშვებული. <sup>(2)</sup> ბათუმის გამოჩენილი სტუმრები, როგორებიც მწერალი ისააკ ბაბელი და გავლენიანი სოციალისტი კლარა ცეტკინი იყვნენ, 1920-იანი წლების დასაწყისში აქებდნენ ბოლშევიკთა საგანმანათლებლო პოლიტიკასა და აჭარელ ქალებთან მიმართებით მათ მუშაობას, დარწმუნებულები იყვნენ იმაში, რომ შავი ზღვის სანაპიროზე სოციალიზმი გაიმარჯვებდა. თავად ბათუმის გადმოსახედიდან, აჭარა უნდა ყოფილიყო რევოლუციური პლაცდარმი, სოციალიზმის ბასტიონი, რომელიც იმპერიალიზმთან და კოლონიალიზმთან ბრძოლაში საბჭოთა კავშირთან ერთად ჩართულ აღმოსავლეთის სხვა ჩაგრულ ხალხებს მაგალითს მისცემდა.


მიუხედავად ქართველი მუსლიმების მიმართ დამთმობი მიდგომისა, პოლიტიკური ძალადობა კომუნისტური პარტიის მოქმედების მექანიზმის მნიშვნელოვანი ნაწილი მუდმივად იყო. 1920-იანი წლებიდან მოყოლებული, ბოლშევიკები ებრძოდნენ ე.წ. კლასობრივ მტრებს (მათ „ბეიდ“ და „აღად“ მოიხსენიებდნენ), მენშევიკთა მხარდამჭერებსა და ანტისაბჭოთა შეხედულებების ნებისმიერ ინდივიდს.

<sup>1</sup> "No. 89: Obrashchenie vremennogo voenno-revoliutsionnogo komiteta gor. Batumi i Batumskoi oblasti k musul'manskomu naseleniiu Adzharii," in I.D. Akhalaia, *Revoliutsionnyye komitety Gruzii v bor'be za ustanovlenie i uprochenie sovetskoi vlasti (fevral' 1921 – mart 1922 g.)*: Sbornik dokumentov i materialov (Sukhum: Abgosizdat, 1963), 84. Available here: <http://docs.historyrussia.org/ru/nodes/134410>.

<sup>2</sup> იხ. "No. 311: Proekt postanovleniia Politbiuro po voprosu o prepodavanii musul'manskogo veroucheniia v shkolakh," in A.K. Sorokin, ed., *Konfessional'naia politika sovetskogo gosudarstva, 1917-1991 g.g.*: Dokumenty i materialy, tom 1. 1917-1924 g.g. (Moskva: Politicheskaiia entsiklopediia, 2018), 502.



აჭარაში საბჭოთა მაღალჩინოსნები უყოყმანოდ ანადგურებდნენ რეალურსა და გამოგონილ პოლიტიკურ ოპონენტებს. მაგალითად, 1923 წელს აჭარის ჩეკამ დააკავა და გადაასახლა 25 აჭარელი „ბეი“, მათ შორის გამოჩენილი ქართველი მუსლიმი მოაზროვნე და მწერალი, მემედ აბაშიძე, რომელსაც „ქართველოფილური“ და „თურქოფილური“ აგიტაციის გარდა აჭარელი გლეხობის ექსპლუატაციაც დაჰბრალდა. (3) აბაშიძის შემთხვევაში, საბჭოთა პერიოდამდე აჭარის საბჭოს, მეჭლისის ლიდერობა მის პოლიტიკურ ერთგულებას აყენებდა ეჭვქვეშ, მიუხედავად ბათუმის რევკომში მისი საქმიანობისა. ერთ წელიწადში, საქართველოში უშედეგო აჯანყების შემდეგ, აჭარის ჩეკამ განაცხადა, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატების საიდუმლო ქსელი გაშიფრა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამხობას გეგმავდა. მიუხედავად ჯგუფის ლიდერის, მიხეილ საბაშვილის, თხოვნისა, რომ უარი ეთქვათ შეიარაღებულ ბრძოლაზე, ორგანიზაციის ყველა 23-ვე წევრი დახვრიტეს. (4) 1923-1924 წლების ეს ორი სადამსჯელო ოპერაცია ცხადყოფს, რომ საბჭოთა სახელმწიფო ძალაუფლების გასამყარებლად პოლიტიკური ოპონენტების ფიზიკურ განადგურებას არ ერიდებოდა.



## Ajara as the Soviet Union's “Achilles’ Heel” (1922)

“If the Great Soviet Federation, by its power and might, can be compared to Achilles, then Ajara will be that Achilles’ heel, which under the right circumstances, can cause major trouble for the federation. For, at the first mention of Ajara, one’s thoughts are automatically drawn to the cunning and greedy neighbor of Ajara, Kemalist Turkey, which keeps a vigilant eye over Ajara and uses every mistake of the Soviet authorities to strengthen its position in Soviet Ajara.”

Source: SŠSSA (II), f. 13, op. 1, d. 105, l. 49.

<sup>3</sup> sshssa (I), f. 6, d. 23300, ll. 353-355, 497-499.

<sup>4</sup> sshssa (I), f. 6, d. 24245, ll. 49, 66-67.

საბოლოოდ, შემდეგმა წლებმა აჩვენა, რომ სოციალიზმის მშენებლობის პროცესში კომუნისტურ პარტიას მუსლიმ გლეხობასთან იძულების გზით დაპირისპირება არ სურდა. აჭარის სტრატეგიული და მონყვლადი მდებარეობის გათვალისწინებით, რასაც მისი თურქეთთან მოსაზღვრეობა განაპირობებდა, პარტიამ ტოტალურ თავდასხმაზე უარი თქვა სახელმწიფო უსაფრთხოებისა და მშვიდობიანი, მოდერნიზებული ქვეყნის იმიჯის შენარჩუნების ინტერესებით. თურქეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის რიტორიკის მიღმა მუდმივად არსებობდა ეჭვები, რომ თურქები არასანდო მოკავშირეები იყვნენ, რომლებიც საბჭოთა ძალაუფლებას ძირს უთხრიდნენ და სახალხო უკმაყოფილებას ინვევდნენ. საბჭოთა ხელისუფლება თვლიდა, რომ გლეხთა მასების რელიგიური ფანატიზმი და სანახევროდ ფეოდალური მდგომარეობა აჭარის სოფლებში პროთურქული პროპაგანდისათვის ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენდა. შესაბამისად, ისინი მუდმივად ფრთხილად მოქმედებდნენ. 1928-29 წლებში კოლექტივიზაციამდე, პარტიამ აჭარაში ისეთი რეტროგრადული პრაქტიკების წინააღმდეგ გაილაშქრა, როგორებიც სისხლის აღება, ჩადრის სავალდებულო ტარება და არასრულწლოვანთა ქორწინება იყო, თუმცა „ფეოდალიზმის ამ გამოვლინებების“ წინააღმდეგ გადამწყვეტი ზომები ფართო მასშტაბით არ მიუღიათ. ბათუმის მიღმა ამ იდეების გავრცელება განათლებული, აჭარის თავისებურებებში ჩახედული აგიტატორების დეფიციტმა შეუძლებელი გახადა. 1924 წელს ერთ-ერთი თვითმხილველი შენიშნავდა, რომ ზემო აჭარის სოფლები და ბათუმი განსხვავებული სამყაროები იყო: „ქალაქში საბჭოთა მართლმსაჯულება მმართველობს; სოფლებში - სისხლის აღება. [...] ერთ მხარეს ევროპაა, მეორე მხარეს - პრიმიტიული აზია“. (5) კულტურული უფსკრულის ამოვსება ქალაქსა და სოფელს შორის მარტივი მისია არ იყო.

გვიან 1920-იან წლებში პარტიის მოთმინების ფიალა თანდათან აივსო, რადგან საშინაო და საგარეო საშიშროებები თანდათან გაიზარდა. 1927 წლის ნოემბერში მამედ გოგიბერიძემ, აჭარის სახალხო კომისართა საბჭოს (სოვნარკომი) თავმჯდომარემ შეატყობინა ცენტრს, რომ მენშევიკები და თურქეთის აგენტები აჭარის გლეხობაში მღელვარებას თესავდნენ და თურქეთში ემიგრაციის იდეას ავრცელებდნენ. (6)

<sup>5</sup> sshssa (II), f. 13, op. 2, d. 53, l. 5 (6 მაიგი, 1924)

<sup>6</sup> sshssa (II), f. 14, op. 3, d. 381, ll. 82-86 (11 ნოემბერი, 1927)

მაღევე საქართველოს შინსახკომის სახელმწიფო-პოლიტიკურმა სამმართველომ განაცხადა, რომ ჩაშალა ხიმშიაშვილების შეთქმულება, რომლის მიზანიც ანტისაბჭოთა აგიტაცია და ხულოში აჯანყების მოწყობა იყო. „ბეიებს“ კავშირი ჰქონდათ თურქეთთანაც. (7) ამ შემაშფოთებელი ცნობების კვალდაკვალ, პარტიამ, ზემო აჭარაში, მუსლიმ ქალთა ემანსიპაციის მიზნით, „კულტურული რევოლუციის“ გატარება გადაწყვიტა. ის, რაც დაიწყო „ნარსულის გადმონაშთის“, ჩადრის წინააღმდეგ აგიტაციით, კატასტროფით დასრულდა. 1929 წელს აგრესიულმა ანტირელიგიურმა კამპანიამ ხულოში შეიარაღებული აჯანყება გამოიწვია. (8) მიუხედავად იმისა, რომ აჯანყება რამდენიმე კვირაში ჩაახშეს, საბჭოთა პრესტიჟსა და უსაფრთხოებას მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა, რამაც აიძულა სტალინი, გაეკიცხა თავისი დაქვემდებარებულები „რელიგიური ცრურწმენების“ წინააღმდეგ ბრძოლაში ადმინისტრაციული ზეწოლის გამოყენებისათვის. (9) აჯანყების კვალდაკვალ, პარტია მუსლიმი გლეხების წინაშე არაერთ დათმობაზე წავიდა და შეეშვა „სოციალისტურ თავდასხმას“, რათა ზემო აჭარაში გავლენა შეენარჩუნებინა. ამრიგად, ამ მნიშვნელოვან სასაზღვრო რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნება კოლექტივიზაციასა და კულტურულ-საგანმანათლებლო შრომაზე პრიორიტეტულ საკითხად იქცა, რათა თავიდან აერიდებინათ პოტენციურად უკმაყოფილების გამონვევა.

მოგვიანებით, 1937 წელს, აჭარაში რამდენიმეწლიანი წელი ტემპით პროგრესის შემდეგ, საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ და შინსახკომმა რეგიონში ავტორიტეტი უპრეცედენტო ძალადობით აღიდგინა. ამ წელს აჭარასა და მთელ სსრკ-ში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა მასობრივი რეპრესიების პოლიტიკურ იარაღად გამოყენების მიმართულებით. სასაზღვრო უსაფრთხოების განსამტკიცებლად, ლავრენტი ბერიამ საქართველო-თურქეთის საზღვარზე სპეციალური საპასპორტო სისტემა შემოიღო და ნარსულში ერთხელ უკვე გადასახლებული ანტისაბჭოთა 198 ინდივიდისა და მათი ოჯახების სასაზღვრო რეგიონებიდან კიდევ ერთხელ გადასახლების ბრძანება გასცა. (10) თუმცა საბჭოთა ხელისუფლების პერსპექტივიდან, უბრალოდ მტრულად განწყობილი გლეხების მოშორება საქართველოს საზღვარზე არსებულ უსაფრთხოების პრობლემას ვერ მოხსნიდა.

<sup>7</sup> sshsa (I), f. 6, d. 27943, ll. 236-258.

<sup>8</sup> აჯანყების საფუძვლებისა და შედეგების ეტიმოლოგიური მიმოხილვისათვის, იხ. Timothy K. Blauvelt, "The Muslim uprising in Adjara and the Stalinist revolution in the periphery," *Nationalities Papers* 44, no. 3 (2016), 359-379.

<sup>9</sup> RGASPI f. 558, op. 11, d. 63, ll. 46ob. (March 19, 1929). Available through Yale University's Stalin Digital Archive.

<sup>10</sup> sshsa (II), f. 14, op. 11, d. 152, ll. 28-29, 144-145.

შესაბამისად, დაიწყო ბევრად მკაცრი ზომების მიღება ანტისაბჭოთა ჯაშუშების გამოსავლენად. შიდა მტრების დასჯის მოტივით შინსახკომმა აჭარის გლეხობაში, მუსლიმ სასულიერო პირებსა და მმართველ ელიტაში ბევრი „დამნაშავე“ გამოავლინა. დაპატიმრებებისა და დახვრეტების ტალღა აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის, ზაქარია ლორთქიფანიძის საჩვენებელი გასამართლებით დაიწყო, რომელსაც ლავრენტი ბერია კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელობასა და თურქეთის სასარგებლოდ აჭარაში შეიარაღებული აჯანყების ორგანიზებაში ადანაშაულებდა. (11) წარსული მოქმედებები: თურქეთში ემიგრაცია, საზღვრის უკანონო კვეთა და 1929 წლის ხულოს აჯანყებაში მონაწილეობა ახლა დანაშაულის დამამტკიცებელ საბუთებად და დახვრეტისათვის საკმარის მიზეზებად იქცა. შესაბამისად, შინსახკომის სამულის 1937 წლის გადაწყვეტილებების უმრავლესობა აჭარლებს ისეთ კონტრრევოლუციურ აქტივობებში ადანაშაულებდა, როგორც სკოლებში ანტისაბჭოთა აგიტაცია, თურქეთის სასარგებლოდ ჯაშუშობა და საქართველოდან აჭარის გამოყოფის მცდელობა იყო. (12) რა თქმა უნდა, ამ ბრალდებების უმრავლესობა გაბუქებული ან უბრალოდ მოგონილი იყო, თუმცა ისინი თურქეთის აქტიურობითა და აჭარის მოსახლეობის ერთგულებაში ეჭვებით განპირობებულ პარტიის შეშფოთებას ეყრდნობოდა. ამ პერიოდის დამახინჯებულ პოლიტიკურ წარმოსახვაში ღრმად იყო გამჭდარი ლალატისა და აჯანყების შიშები, რამაც არაერთი გამოჩენილი აჭარელი მოაზროვნის, მათ შორის მემედ აბაშიძის სიცოცხლე შეინირა. რეპრესიებს შეენირა არაერთი პოლიტიკოსიც, მათ შორის ისეთი გავლენიანი ფიგურა, როგორც აფხაზეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ნესტორ ლაკობა იყო. (13)

---

<sup>11</sup> ლორთქიფანიძის შესახებ ბეჩიას სტაინისადმი მიწერილი წერილის გასაცნობად, იხ. "No. 137: Shifrtelogramma L.P. Beria I.V. Stalinu o sanktsionirovanii aresta Z. Lordkipanidze (17 iulia 1937 g.)," in V.N. Khaustov et al., eds., *Lubianka: Stalin i glavnoe upravlenie gosbezopasnosti NKVD, 1937-1938* (Moscow: Mezhdunarodnyi fond "Demokratiia," 2004), 250. ხელნაწერი: <http://docs.historyrussia.org/ru/nodes/376545>. სტაინისადმი მიწერილი მომდევნო წერილი, რომელიც ბეჩია აღნიშნავს, რომ აჭარელებსა და თურქეთის წახმომადგენლებს შორის მიმდინარეობდა მოლაპახაკები ახთვინისა და ახდალანის აჭახასთან მიერთებისა და ავტონომიური ერთეულის თურქეთის მმართველობის ქვეშ მოქცევათან დაკავშირებით, იხ. "No. 142: Zapiska L.P. Beria I.V. Stalinu o "kontrevoliutsionnykh" gruppakh v Gruzii (20 iulia 1937 g.)," in *Ibid.*, 254.

<sup>12</sup> sshsa (I), f. 8, nos. 3, 12, 17, 25.

<sup>13</sup> ისევე როგორც ლორთქიფანიძეს, ლაკობას ბიძა დასდევს საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფისა და მისი თურქეთის პროტექტორატში მოქცევის მცდელობაში. ლაკობას დამსჯისა და მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებების განსახილველად, იხ. Timothy K. Blauvelt, *Clientelism and Nationality in an Early Soviet Fiefdom: The Trials of Nestor Lakoba* (Abingdon and New York: Routledge, 2021), 203-217.

## **კანელი 1:**

# **ბათუმის მასობრივი სამარხები: არქეოლოგიური და ანთროპოლოგიური კვლევები**

## **2017-2022 წლებში აჭარაში დიდი ტერორის მასობრივ სამარხებზე ჩატარებული სამუშაოები**

*მამა ილია ხინიკაძე*

*ბათუმისა და დაბეთის ეპაჩქია, საქაჩთველო*

მოგესალმებით კონფერენციის მონაწილეებს. მსურს, გადმოგცეთ ბათუმისა და დაბეთის მიტროპოლიტი დიმიტრის გულითადი დალოცვა.

ჩვენი შეკრების მიზები ტოტალიტარული რეჟიმის დროს დახვრეტილთა სამარხების საკითხი გახლავთ.

ამ პერიოდში საქართველოში უამრავი ადამიანი დახვრეტეს და გადაასახლეს. მარტო აჭარაში 1,050-ზე მეტ ადამიანს გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი, რომელთა შორისაც იყვნენ ქალები და სასულიერო პირებიც კი.

თავდაპირველად, ბათუმში დახვრეტილთა სია გამოქვეყნებული ჰქონდა ისტორიკოს რამაზ (ბერი ანდრია) სურმანიძეს, წიგნში „ტრაგედია ბათუმში“.

მოგვიანებით სრული სია მოგვანოდა IDFI-მ.

IDFI-მ დახვრეტილთა მოძიების პროცესში დახმარებისთვის მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივს და აღმოაჩინა, რომ 621 ადამიანი კი არა, აჭარაში 1,050-ზე მეტი ადამიანია დახვრეტილი.

ჩვენი ქვეყანა არაერთხელ დაიპყრო და გაანადგურა სხვადასხვა მტრულად განწყობილმა სახელმწიფომ ან მოთარეშე ბრბომ. მრავალი შევიწროების მიუხედავად, სულიერად მტკიცე ქართველი კაცი უფლის მეოხებითა და შემწეობით ახერხებდა დაცემული ქვეყანა ისევ თვითმყოფად, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ექცია. ქრისტიანობა და მით უფრო ქრისტიანული ცხოვრების წესი არაერთგზის გამხდარა თავდასხმის მიზეზი მტრულად განწყობილ სახელმწიფოთათვის. ქართველი კაცის ხასიათში გადაიზარდა ქრისტიანობა, ქართველობას მართლმადიდებლობასთან, ქრისტიანულ სარწმუნოებასთან აიგივებდნენ.

ჩვენი ისტორია გვაგონებს გოლგოთას, ქართველმა ხალხმა იცოდა რომ ჯვარცმას აღდგომა და ამაღლება მოჰყვებოდა და მართლაც, ისტორია იცნობს სულიერი და ხორციელი ზეობის ხანას საქართველოში.

მრავალი შემოსევის მიუხედავად, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის ფაქტი, ის მძიმე შედეგი, რომელიც დაუდგა საქართველოს რუსეთის იმპერიის მიერ. სულიერი და ხორციელი განადგურება ჩვენი ქვეყნის ერთმორწმუნეობის სახელით. 1801 წელს სამეფოს და 1811 წელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება. მოტყუებით გადასახლებული ჩვენი მეფენი და კათოლიკოსნი, დახვრეტილი სასულიერო და საერო პირები, დევნილი კათოლიკოს-პატრიარქნი და მძიმე ტოტალიტარული რეჟიმი, რომელიც შეეცადა საბოლოოდ დაესაჯა საბჭოთა ოკუპირებული რესპუბლიკები.

მასობრივი, ფართომასშტაბიანი პირველი ტალღა, ადამიანთა დასჯა-განადგურება 1936 წლის აგვისტოში მოსკოვიდან დაიწყო, როცა ტერორისტული ცენტრის ლიდერებად გ. ზინოვიევი, ი. კამენევი, გ. ევდოკიმოვი, აგრეთვე სარდლები მ. ტუხაჩევსკი, ი. იაკირი, ი. უბორევიცი და სხვები გამოაცხადეს, 1937 წელს მათ დაემატათ გ. პიატაკოვი, ი. სერებრიაკოვი და სხვა. ხოლო 1938 წლის მარტში მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკი ნ. ბუხარინით, ა. რიკოვით, ნ. კრესტინკით, ხ. რაკოვსკით და სხვებით შეავსეს. დაპატიმრებებმა საქართველოში მასობრივი ხასიათი მიიღო 1937 წელს, მოსკოვში ბუდუ მდივანისა და პიატაკოვ-სერებრიაკოვის დაპირისპირებისა და მათ მიერ მიცემული ჩვენებების დადასტურების შემდეგ. ლიდერთა შეპყრობას მთელ საბჭოთა იმპერიაში მოჰყვა მასობრივი დაპატიმრებები. 1937-1938 წლებში მთლიანად რეპრესირებული იყო 3,4 მილიონი ადამიანი, რომელთაგან 800,000, ე.ი. 23% დახვრიტეს. 1939 წლის იანვრის მდგომარეობით, გულაგის ბანაკებში 1,317,195 პატიმარი დარჩა. რუსეთში გამოგონილ ბრალდებებს საქართველოში დაემატა ანექსიისა და დამოუკიდებლობის წართმევით გამოწვეული რეალური უკმაყოფილება, 1927 წლის აჯანყების შედეგები, რამაც საქართველო საბჭოთა რეპრესიების განსაკუთრებულ პოლიგონად გადააქცია. სხვადასხვა კვლევის მიხედვით, 1937-38 წლებში საქართველოში დააპატიმრეს 30,000-ზე მეტი ადამიანი, რომელთაგანაც თითქმის ნახევარი დახვრიტეს. მათი უმრავლესობა ეროვნებით ქართველი, ძირითადად, ქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენელი და სოფლის მოწინავე, დიდი ავტორიტეტის მქონე პიროვნება იყო. როგორც ცნობილია, თბილისში გასამართლებულ და სასიკვდილოდ განწირულებს ხვრეტდნენ დედაქალაქიდან 18 კილომეტრში.

საინტერესოა, ის ფაქტი რომ დახვრეტილი ადამიანების ოჯახის წევრებს წინასწარ ჰქონდათ ინფორმაცია მიღებული, რომ ისინი რეჟიმმა გადაასახლა. სინამდვილეში კი, საარქივო მასალებმა და საფლავთა გახსნამ ცხადყო რეალობა, ისინი დახვრიტეს...

სხვა რესპუბლიკებთან ერთად საბჭოთა ტერორი საქართველოშიც სასტიკად განხორციელდა და შედეგად ქვეყანამ მრავალი მნიშვნელოვანი პიროვნება დაკარგა.

იმდროინდელი საბჭოთა პროპაგანდისტული მედია მუდმივად ცდილობდა დახვრეტილთა შთამომავლობისათვის დამნაშავის იარლიყის მინებებას. ტოტალიტარული რეჟიმის დროს, საბჭოთა ხელისუფლებასთან დაპირისპირების სახელით, სიცოცხლეს გამოასალმეს ჩვენი დიადი მამულიშვილები, სასულიერო და საერო მოღვაწეები. აღსანიშნავია, მიტროპოლიტ ნაზარისა და სხვა სასულიერო პირთა დახვრეტის საკითხი. მსგავსი მოტივით, ჯერ ციმბირში გადაასახლეს და შემდეგ დახვრეტეს ქობულეთში მოღვაწე მამა ბენიამინ ლლონტი და მისი ოჯახი (მამა და ძმა, სასულიერო პირნი). ტოტალიტარულ რეჟიმს შეწირული ყველა მოქალაქე ამ მოტივით გაასამართლეს.

იმ პერიოდისათვის სიკვდილმისჯილებს ხვრეტდნენ 4 დიდი ქალაქის მიმდებარე ტერიტორიებზე კერძოდ: თბილისის, სოხუმის, ქუთაისისა და ბათუმის.

ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტი დიმიტრის ლოცვა-კურთხევით და იღუმენია სიდონიას (დარჩია) ჩართულობით, დაიწყო მსგავსი სამარხების ძიება.



*მამა იღია ხინიკაძე*

რამდენიმე წლის განმავლობაში ცდილობდნენ აღმოეჩინათ დახვრეტილთა სამარხები.

2017 წელს, ერთ-ერთი მოქალაქის მიერ იყო მითითებული კონკრეტული ადგილი, სადაც შესაძლოა ყოფილიყო სამარხები. ეს ადგილი იყო ყოფილი რუსული სამხედრო ბაზის ტერიტორია. თავდაპირველად გაითხარა 4 სამარხი, საიდანაც 150-მდე ნეშტი ამოასვენეს. ყველა მათგანს ნატყვიარი ჰქონდა. აღმოჩენილია მათი პირადი ნივთებიც.

ყველა ამოსვენებული ნეშტი სრულფასოვნად გაიწმინდა და მოთავსდა შესაბამის ქურჭელში.

მოგვიანებით, მიტროპოლიტი დიმიტრის ლოცვა-კურთხევით ამ პროცესში ჩაერთო ანთროპოლოგი მერი გონაშვილი, რომელმაც ამერიკიდან მოიწვია შესაბამისი დარგის სპეციალისტები მეხუთე საფლავის შესასწავლად და ნეშტების ამოსასვენებლად. სწორედ ამ სამარხიდან ამოსვენებულთა შორის მოხდა 3 ადამიანის იდენტიფიცირება, რამაც გააქარწყლა ეჭვი და გაამყარა მტკიცებულება, რომ სამარხები ეკუთვნოდათ 1937-38 წლებში დახვრეტილ ადამიანებს.

შეიქმნა სახელმწიფო კომისია. სხდომებზე განიხილავდნენ და გეგმავდნენ შემდგომ სამუშაოებს. მეექვსე სამარხი მოძიებული და დასამუშავებლად გამზადებული იყო ეკლესიის ჯგუფის მიერ.

ასევე ჩაერთო IDFI, კერძოდ, მისი წარმომადგენლები ანტონ ვაჭარაძე და გიორგი კლდიაშვილი, რომლებმაც მოიწვიეს პოლონელი ექსპერტების ჯგუფი მიტროპოლიტი დიმიტრის წერილობითი თხოვნის საფუძველზე. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აჭარაში დახვრეტილთა შორის იყო 30 პოლონელი.

IDFI-ის დახმარებით, რომელიც ასევე მუშაობდა სიების შესწავლის კუთხით, 2022 წლის თებერვალში აღმოაჩინეს 29 ახალი ნეშტი, რომელიც ემთხვევა მათ მიერ მოძიებულ ერთ-ერთ სიას.

ეს საკითხი საკმაოდ სენსიტიურია და მტკივნეული, რადგანაც ეხება იმ ყოფასა და გარემოს, სადაც ადამიანის უფლებები შელახული იყო ან საერთოდ არ არსებობდა. საკითხის შესწავლამ, ტკივილთან ერთად, დადებითი ემოციებიც შეიძინა, რადგან ოჯახებს მიეცათ შესაძლებლობა, რომ მათ წინაპრებს სათანადო პატივი მიაგონ.

ამ ეტაპზე ყველა ნეშტი დანომრილია და შესაძლებელია პატივით დამარხვა. დნმ-ის ნიმუშები შენახულია.

აუცილებლად მათ პატივით მივაბარებთ მიწას. საძმო სასაფლაოზე იგეგმება მუზეუმის მოწყობა, გამოიფინება სამარხში ნაპოვნი ნივთები, დახვრეტილთა ფოტოსურათები და მოეწყობა მცირე კინოთეატრი, სადაც შესაძლებლობა ექნებათ დოკუმენტური ფილმით გაეცნონ ამ პერიოდის ისტორიას.



ეს კიდევ ერთხელ შეახსენებს მომავალ თაობებს, თუ რა გზა გაიარა საქართველომ.

საქართველოს ეკლესიის, კერძოდ, მიტროპოლიტი დიმიტრის დიდი ღვაწლია ამ სამარხების მოძიება. ასევე ფასდაუდებელია ილუმენია სიდონიას, მონაზონ დინარასა და ეთერ მახარაძის მონაწილეობა ამ საქმეში, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს ქართული ეკლესიის როლს ქვეყნის სულიერი და კულტურული განვითარების საქმეში. არსებობს სხვა ტერიტორიებიც სადაც, სავარაუდოდ, ხვრეტდნენ ადამიანებს და, იმედია, მომავალში იქნება შესაძლებელი სხვა სამარხების გახსნა და დახვრეტილთა ნეშტების ამოსვენება.

მადლობა ყველას, ვინც ამ მნიშვნელოვან და, ვიტყვოდი, საღვთო საქმეშია ჩართული. საკმაოდ მძიმე სამუშაოები შესრულდა, ამ საქმეში დახმარება გასწია თავდაცვის სამინისტრომ და ბათუმის მერიამ, რისთვისაც მათ მადლობას მოვახსენებთ.

მადლობა ანთროპოლოგ მერი გონაშვილს და ამერიკელ სპეციალისტებს, ასევე IDFI-ს, კერძოდ, გიორგი კლდიაშვილსა და ანტონ ვაჭარაძეს და პოლონელ სპეციალისტებს. მადლობა ყველას, ვისაც წვლილი შეაქვს ამ მნიშვნელოვან საქმეში.

# **ბათუმთან ახლოს, მე-6 საართო სამარხში აღმოჩენილი დიდი ტარორის (1937-1938) მსხვერპლთა ნეშტების სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევის შედეგები**

*ლუკაშ შლეშკოვსკი, აგატა ტანჰოიზეჩი  
ვხოცდავის სამედიცინო უნივერსიტეტი, პოდონეთი*

2022 წლის გაზაფხულზე, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) ბათუმის მახლობლად, №6 მასობრივ სამარხში აღმოჩენილი და ექსპუმირებული ნეშტების გამოსაკვლევად ვროცდავის სამედიცინო უნივერსიტეტის სპეციალისტები, ლუკაშ შლეშკოვსკი (სასამართლო მედიცინის ექსპერტი) და აგატა ტანჰოიზერი (სასამართლო ანთროპოლოგი) მოიწვია.



*ლუკაშ შლეშკოვსკი და აგატა ტანჰოიზეჩი კვლევის პიოცესში, 2022 წელი*

ნეშტების კვლევა ვროცლავის სასამართლო მედიცინის ინსტიტუტში მიღებული პროცედურების შესაბამისად განხორციელდა. დაკვირვება ორ, ანთროპოლოგიურ და სასამართლო-სამედიცინო ნაწილად დაიყო. ყველა ძვალი გულდასმით გაიწმინდა და სპეციალურად ამ საქმისთვის განკუთვნილ მაგიდებზე ანატომიური მიმდევრობით განლაგდა. ნებისმიერი ანთროპოლოგიური დაკვირვების მიზანი სქესის, ასაკის, სიმაღლისა და სხვა იმ ნიშნების დადგენაა, რაც პიროვნების იდენტიფიცირებისთვისაა აუცილებელი (მათ შორის, სტომატოლოგიური ფორმულაც). ნეშტების სქესი თავის ქალისა და მენჯის სტრუქტურით დგინდება. ასაკი, ძირითადად, ბოქვენის სიმფიზის სტრუქტურით, ნეკნების დაბოლოებებითა და კრანიალური ნაკერების ობლიტერაციით. ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ ასაკის დადგენა მხოლოდ მიახლოებითაა შესაძლებელი. ამ შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ სიცოცხლის რომელიმე პერიოდზე შეგვიძლია საუბარი - რაც უფრო ახალგაზრდა იყო სიკვდილის მომენტში პიროვნება, ამ გზით მისი ასაკის უფრო ზუსტად დადგენაა შესაძლებელი. რაც შეეხება სიმაღლეს, ის, ძირითადად, ქვედა კიდურების ძვლების სიგრძის სპეციალურ ცხრილთან შესაბამისობით დგინდება. სასამართლო-სამედიცინო დაკვირვების მიზანი ის არის, რომ ყურადღებით აღინეროს ყველა დაზიანება, განისაზღვროს ტრავმის მიღების მექანიზმი და დადგინდეს სიკვდილის ყველაზე მეტად სარწმუნო მიზეზი. ყველა მოცემული ინდიკატორი ნეშტების დაკვირვების ოქმებში დაფიქსირებულია, შეიქმნა ფოტოგრაფიული დოკუმენტაციაც. დაკვირვების შედეგები აისახა ვროცლავის სამედიცინო უნივერსიტეტის სასამართლო მედიცინის ექსპერტის დასკვნაში. (1)

N<sup>26</sup> მასობრივ სამარხში აღმოჩნდა 29 ნეშტი და თითოეული მათგანი პოლონელმა ექსპერტებმა შეისწავლეს. მათი შემონახულობის ხარისხი საკმაოდ მაღალი იყო. დროისა და გარემო პირობების გამანადგურებელი ზემოქმედების შესამჩნევი შედეგები მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში დაფიქსირდა. 29 ჩონჩხიდან მხოლოდ ერთს (ნეშტი N<sup>29</sup>) აღენიშნებოდა მდებარეობითი სქესის ნიშნები. უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში დნმ კვლევის შედეგები საკვანძო და გადამწყვეტი იქნება, თუმცა, სამწუხაროდ, ეს ნეშტი ყველაზე ცუდად იყო შემონახული. სხვა შემთხვევებში საქმე მამაკაცების ნეშტებთან გვაქვს. დახვრეტილთა მიახლოებითი ასაკი 25-დან 50 წლამდე მერყეობს. (2)

<sup>1</sup> ექსპედიციის დასკვნა Op.akt 153/22, 20 დეკემბერი 2022 წ.

<sup>2</sup> ძვლოვან ნაშთებზე დაკვირვებით 50 წელს გადაცილებული ადამიანის ზუსტი ასაკის განსაზღვრა ძალიან ხთვლია.

საშუალო სიმაღლე 160-178სმ-ია. შემთხვევათა 40%-ში აღმოჩენილია სტომატოლოგიური ჩარევა ოქროს კბილებისა და ხიდების სახით. მსგავსი რაოდენობა შესაძლოა აიხსნას კულტურული გავლენით, ან იმით, რომ მსხვერპლები ქართული საზოგადოების ელიტური, მდიდარი ფენებიდან იყვნენ. დნმ-ის ნიმუშები თითოეული ნეშტიდან აღებულია (კბილები და ბარძაყის ძვლის ცენტრალური ნაწილი).



კბილის გვიჩვივნები

თავის ქალის ცეცხლნასროლი დაზიანება 29-დან 21 შემთხვევაში შეინიშნება. დანარჩენ 8 შემთხვევაში შეინიშნება თავის ქალის ძვლების მრავლობითი მოტეხილობა. მსგავსი შედეგები ტიპურია იმ ნეშტების კვლევისათვის, რომელთაც მიწის ქვეშ რამდენიმე ათეული წელი გაატარა. ძვლების ნაწილი ეროზიის შედეგად ნადგურდება. შესაბამისად, სავარაუდოდ, თითოეული ამ პიროვნების სიკვდილის მიზეზი თავის არეში ნასროლი ტყვია გახდა. ხსენებულ 21 შემთხვევაში, ცეცხლნასროლი ჭრილობა კეფის არეში დაფიქსირდა. 16 შემთხვევაში ჭრილობა მხოლოდ 1 იყო (იხ. სურათი #1), 4 შემთხვევაში - 2. გამონაკლისი მხოლოდ ნეშტი N25 იყო, რომელსაც თავის ქალის მარჯვენა და უკანა ნაწილებში 6 ნატყვიარი აღენიშნება (იხ. სურათი #2).

4 ნატყვიარი გვერდიგვერდ იყო ისე, რომ ციფრ 8-ს მოგვაგონებდა. ეს შეიძლება მიჯრით სროლის, ან პისტოლეტის გამშვები მექანიზმის გაუმართაობის შემთხვევაში მოხდეს. ასევე, ერთ-ერთ შემთხვევაში შევამჩნიეთ ირიბი ნატყვიარიც. ნატყვიარების დიამეტრი შემთხვევათა უდიდეს ნაწილში (2/3) 0.75-დან 0.83 სმ-მდე მერყეობს. ეს ნიშნავს, რომ დახვრეტისათვის გამოყენებული იყო დაახლოებით 7,0-8,0 მმ კალიბრის იარაღი, მაგალითად: 7.62x25 მმ (ტოკარევის პისტოლეთი), 7.62x38P მმ (ნაგანის სისტემის რევოლვერი), ან გერმანული წარმოების 7.65x17 მმ (ბრაუნინგი). ერთ-ერთ ნეშტს, გარდა ცეცხლნასროლი ჭრილობებისა, აღენიშნებოდა კიდურების მოტეხილობებიც. **რომ შევაჯამოთ სასამართლო-სამედიცინო დაკვირვების შედეგები, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დახვრეტა, ძირითადად, ხორციელდებოდა მოკლელულიანი იარაღიდან კეფის არეში ერთი გასროლით.** ამ ანგარიშის ავტორებმა გამოიკვლიეს პოლონეთში ომისშემდგომი, 1940-1950-იანი წლების კომუნისტური ტერორის მსხვერპლთა, დაახლოებით, 1,000 ნეშტი. (3) ამ პერიოდში, პოლიტიკური ნიშნით პოლონელმა მოსამართლეებმა სასიკვდილო განაჩენი ათასობით თანამოქალაქეს გამოუტანეს. განაჩენის აღსრულების მეთოდი ამ შემთხვევაშიც ანალოგიური იყო - ერთი ტყვია კეფაში. ხაზს ვუსვამთ იმას, რომ სწორედ ასე ხდებოდა ე.წ „კატინის დახვრეტების“ პერიოდშიც. მაშინ, 1940 წელს, სტალინის გადაწყვეტილებით, სსრკ-ის შინსახკომის თანამშრომლებმა პოლონეთის 20,000-მდე მოქალაქე მოკლეს. (4)

ბათუმში აღმოჩენილ დიდი ტერორის მსხვერპლთა ნეშტების კვლევა ვროცლაველი ექსპერტებისათვის ძალიან მნიშვნელოვანი სამეცნიერო გამოცდილებაა. ეს პროცესი წარმატებით აგრძელებს ვროცლავის სასამართლო მედიცინის ინსტიტუტსა და ქართულ ორგანიზაციებს შორის 2014 წელს დაწყებულ თანამშრომლობას. (5)

3

Ł. Szleszkowski, A. Thannhäuser, K. Szwagrzyk, P. Konczewski, J. Kawecki, B. Świątek, Exhumation research concerning the victims of political repressions in 1945–1956 in Poland: a new direction in forensic medicine. *Forensic Sci Int* 2014; 235: 103.e1–6. / Ł. Szleszkowski, A. Thannhäuser, J. Kawecki, K. Szwagrzyk, T. Jurek. Gunshot wounds (resulting from execution) of exhumed victims of the communist regime in Poland. *Legal Med* 2014; 16: 201–207. / Ł. Szleszkowski, A. Thannhäuser, K. Szwagrzyk, T. Jurek, The possibility of establishing causes of death on the basis of the exhumed remains of prisoners executed during the communist regime in Poland: the exhumations at Powązki Military Cemetery in Warsaw. *Int J Legal Med* 2014; 129(4) 10.1007/s00414-014-1084-z.

4


Raszeja S, Chrosielewski E (1994) *Medicolegal reconstruction of the Katyn forest massacre. Forensic Sci Int* 68(1):1–6

5

Ł. Szleszkowski. Report A scientific meeting concerning the exhumations of repression victims from the years 1944–1956 conducted in Poland – a visit of representatives of the Institute of National Remembrance and the Polish Society of Forensic Medicine and Criminology to Tbilisi. January 2014 *Archives of Forensic Medicine and Criminology* 3(3):195-197./Ł. Szleszkowski. Exhumations of the remains of the victims of post-war repressions in Poland. 20th Century Mass Graves: proceedings of the International Conference. Tbilisi, Georgia, 15 to 17 Oct 2015; eds. Matthias Klingenberg, Arne Segelke; Bonn: DVV International, 2016; pp.73-81./ K.Szwagrzyk, Ł. Szleszkowski, A.Thannhäuser. პოლონური გამოცდილება კომუნისტების მსხვერპლთა საფლავების მოძიების საქმეში *Arch.Bull.-Saarkivo Moambe* 2016 no.16; pp 160-169.



**სუხათი N1:** შემაჯადი ცეცხლნასხორი დაზიანება კეფის ძვარზე (ნეშტი №20)



**სუხათი N2:** თავის ქაღის მრავლობითი ცეცხლნასხორი დაზიანებები (ნეშტი №5)



# **ყოფილი საბჭოთა კავშირის ხელვაჩაურის მე-3 სამხედრო ბაზიდან მე-6 სამარხის ექსკუმაცია ანთროპოლოგიური თვალსაზრისით**

**ანჟეიკა სლოცა**

*ეროვნული მუხსიერების ინსტიტუტი (IPN), პოდონეთი*

ვისაუბრებ ხელვაჩაურში მდებარე მე-6 სამარხის ექსკუმაციაზე, თუმცა განსხვავებული პერსპექტივიდან. პრეზენტაცია არ იქნება მხოლოდ შედეგებზე - მე ყურადღებას უშუალოდ 2022 წელს მიმდინარე მუშაობის პროცესზე გავამახვილებ, თუ რა და რისთვის გავაკეთეთ.

ყველაფერი მარტივად დაიწყო. IPN-ის (ეროვნული მუხსიერების ინსტიტუტი) ძიებისა და იდენტიფიკაციის სამსახურმა ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის სასულიერო პირებისგან და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისგან (IDFI) 1937-1938 წლების დიდი ტერორის მასობრივი სამარხის გათხრებზე მოწვევა მიიღო. საქმე სასწრაფო იყო, რადგან სამარხი უკვე ნაპოვნი იყო. რატომ გაითვალისწინეს ამ შემთხვევაში პოლონური სამთავრობო ინსტიტუცია ქართველებმა? IDFI-ის საარქივო კვლევის შედეგად დადგინდა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სტალინურ რეპრესიებს 1,050-მდე ადამიანი შეეწირა. მათ შორის იყო 27 პოლონელიც, რომელიც „პოლონური ოპერაციის“ ნაწილს წარმოადგენდა. არსებობდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ მე-6 სამარხში ორი მათგანის ნეშტი იყო წარმოდგენილი.

ქართული მხარის დასკვნის გაცნობის შემდეგ, IPN-მა საარქივო კვლევა გააგრძელა. პროფ. ევა კოვალსკას შრომის შედეგად, ქართული სიიდან 12 პოლონელის შემთხვევაში დადასტურდა, რომ დახვრიტეს და, შესაძლოა, ხელვაჩაურის ტერიტორიაზე დამარხეს. მათ შორის 2 ქალიც იყო. მხოლოდ ეს ქმედებებიც კი აჩვენებს ქართულ და პოლონურ მხარეებს შორის კოოპერაციის მნიშვნელობას. განსაკუთრებით მაშინ, როცა ვხედავთ, რომ ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტები ერთმანეთს მხოლოდ ნაწილობრივ ემთხვევა.

ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ეროვნული მუხსიერების ინსტიტუტი მონაწილეობას სიამოვნებით დასთანხმდა. გათხრებზე 4 არქეოლოგისა და 2 ანთროპოლოგისგან შემდგარი ჯგუფი გაიგზავნა, თუმცა ადგილზე მეტი ადამიანი მუშაობდა. გვეხმარებოდნენ ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიისა და IDFI-ის წარმომადგენლები, აქვე იმყოფებოდნენ ქართული არმიის წევრებიც.



*IDFI-ის, IPN-ისა და ბათუმისა და ღაზეთის ეპარქიის წახმომადგენლები  
N6 სამახხის გეზიგოხიაზე, 2022 წელი*

ძალიან ცუდი ამინდის პირობებში, ქართველები ნეშტების დაზიანებისაგან დაცვას ძალიან სერიოზულად მიუდგნენ. მათვე იზრუნეს სულიერ მხარეზეც და სამარხთან ახლოს მცირე სალოცავი მოაწყვეს.

ჩვენი არქეოლოგების მთავარი მისია ნეშტების ექსპუმაცია და მომავალი კვლევებისათვის ინფორმაციის შეგროვება იყო. როგორც კი ნეშტები ტოვებს სამარხის ტერიტორიას, ე.წ „ადგილობრივი“ ინფორმაცია დაკარგულია, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საველე მუშაობის პროცესში რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია შეგროვდეს. ამის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია მივუბრუნდეთ ძვლებსა და არტეფაქტებს, თუმცა კონტექსტთან ვეღარ დავბრუნდებით, ის მხოლოდ შესაბამის დოკუმენტაციაში იარსებებს. არქეოლოგიური სამუშაო მარტივი არ იყო: პირველ რიგში, იმიტომ, რომ საქმე მასობრივ სამარხთან გვექონდა. მეორე, მსხვერპლები მიმდევრობის გარეშე იყო ჩაყრილი, რასაც ყველა მასობრივ სამარხში არ ვხვდებით. მასობრივ სამარხში 30 ადამიანი ერთმანეთის გვერდიგვერდ, ერთ ხაზზე წევს. ხელვაჩაურში ასე არ ყოფილა. აქ იყვნენ ადამიანები, რომლებიც ზურგზე იწვნენ, ან პირიქით, არაბუნებრივ პოზიციაში, მოხრილი ფეხებით. ყველა მათგანს ზედა კიდურები ზურგს უკან ჰქონდა, რაც გვაპარაუდებინებს, რომ მათ ხელები შეუკრეს. დაახლოებით კვირა-ნახევარი დაგვჭირდა იმისათვის, რომ ყველა ნეშტი ხილული გაგვეხადა, რადგან გვსურდა, რომ ყველანაირი შეცდომა გამოგვერიცხა. სწორედ ამიტომ შედგებოდა ჩვენი დელეგაცია ორი ანთროპოლოგისგან - სპეციალისტები,





*N6 სამახხზე მუშაობის პირობები, 2022 წელი*

რომლებიც ადამიანის ანატომიას სრულად იცნობენ, გვეხმარებოდნენ, გაგვეჩინა ადამიანის ძვლები და ყველა პიროვნება ცალ-ცალკე ამოგვესვენებინა. შედეგად, სამარხში 29 ნეშტი აღმოვაჩინეთ. ეს რიცხვი განსხვავდებოდა თავდაპირველი ვარაუდისგან, რომელიც 30 ადამიანზე მეტს, მათ შორის კი 2 პოლონელს მოიცავდა.

ამავდროულად, ჩვენ უნდა შეგვესწავლა მოპოვებული მონაცემები და საარქივო კვლევა გაგვეგრძელებინა. სამწუხაროდ, საქართველოში ჩვენი ყოფნის ვადა დასასრულს მიუახლოვდა და სრული ძვლოვანი გამოკვლევისათვის დრო აღარ დაგვრჩა. დელეგაციის წევრმა ანთროპოლოგებმა გადაწყვიტეს გაეკეთებინათ შემოკლებული ანალიზი მხოლოდ თავის ქალებსა და მენჯებზე დაყრდნობით, რათა გაეგოთ მსხვერპლთა სქესი და ასაკი სიკვდილის მომენტში. ცხადია, ეს ვერ ჩაანაცვლებს სრულ გამოკვლევას და იდეალური არ არის, თუმცა იმედი გვქონდა, რომ ეს სამომავლო საარქივო კვლევებს გაამარტივებდა. ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში ჩვენ გავასუფთავეთ ძვლები, რათა თითოეული მათგანი მომავალში არ დაზიანებულიყო და კარგად შემონახულიყო.

ექსპუმაციის შედეგებზე დაყრდნობით, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) არქივებში გამოიკვლია აღსრულების აქტები და დაადგინა, რომ მე-6 სამარხში აღმოჩენილი ნეშტების რაოდენობა 1938 წლის 15 მარტის ოქმს შეესაბამება.

ამის პარალელურად კი, ვროცლავის სამედიცინო უნივერსიტეტის პოლონელმა სპეციალისტებმა ექსპუმაციიდან ორი თვის განმავლობაში ნეშტების სრული ძვლოვანი ანალიზი მოამზადეს.

# არქეოლოგიური მოხსენება 2022 წლის 24 იანვრიდან 8 თებერვლამდე, საქართველოში, ბათუმში, ხელვაჩაურის მე-3 სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე ჩატარებული ექსპუმაციისა და ძიების შესახებ

გომაშ ბოჩკოვსკი  
ეხოვნუდი მეხსიეხების ინსტიტუტი (IPN), პოდონეთი

ქართულ-პოდონური არქეოლოგიური კვლევა 2022 წლის იანვრის ბოლოსა და თებერვლის პირველ ნახევარში აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ხელვაჩაურში, ყოფილი საბჭოთა მე-3 ბაზის ტერიტორიაზე ჩატარდა. ქართულ მხარესთან ერთად გამოკვლევულ იქნა კომუნისტური ტერორის მსხვერპლთა გასაიდუმლოებული სამარხები. კვლევის მიზანი ღია არქეოლოგიური გათხრების პარალელურად, მე-6 სამარხიდან ნეშტების ექსპუმაცია და ძიების გაგრძელება იყო.



გომაშ ბოჩკოვსკი IPN-ის ექსპედიტებთან ეხოთად

აქამდე ქართველების ძალისხმევითა და რესურსებით 4 სამარხი იყო აღმოჩენილი და გათხრილი, საიდანაც 150-მდე ადამიანის ნეშტი იქნა ექსპუმირებული. 2021 წლის აგვისტოში, ორი ამერიკული უნივერსიტეტის (ტეხასისა და მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტები) ერთობლივმა კვლევამ მე-5 სამარხის ექსპუმაცია გახადა შესაძლებელი, სადაც დამატებით 28 მსხვერპლი იქნა აღმოჩენილი.

2022 წელს აღმოჩენილ ყველა ნეშტს საერთო მახასიათებლები აღენიშნებოდა. მსხვერპლებს ხელები ზურგს უკან ჰქონდათ შეკრული, თავის ქალა ყველა მათგანს დაზიანებული ჰქონდა და ასევე სამარხში 9მმ-იანი ვაზნა აღმოვაჩინეთ, რაც მიუთითებს, რომ დახვრეტას კეფაში გასროლით აღასრულებდნენ. ზოგ თავის ქალას რამდენიმე ნატყვიარიც ჰქონდა. საეჭვოა, რომ დახვრეტები უშუალოდ სამარხის კიდეზე განხორციელდა, რაც სხეულების ორმოში თავისუფალ ვარდნას და მათ არეულ განლაგებას გამოიწვევდა. ნეშტების განლაგება მოწმობს, რომ დახვრეტები სამარხის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდა და დახვრეტილები ორმოში თანმიმდევრულად გაანაწილეს.



*N6 სამარხის გეოგრაფიაზე მიმდინახე სამუშაოები, 2022 წელი*



მიუხედავად ამისა, ტყვიებისა და მასრების სამარხში არსებობა ამ ჰიპოთეზას ეწინააღმდეგება. სავარაუდო ახსნა ამასაც მოეძებნება - შესაძლოა, ზოგი დახვრეტა უშუალოდ ორმოში განხორციელდა, ან ტყვია დახვრეტილის სხეულში ჩარჩა და ქსოვილების გახრწნის შემდეგ ორმოში აღმოჩნდა. ნეშტების მიმდებარედ აღმოჩენილი არტეფაქტები მოწმობს იმასაც, რომ დახვრეტის მომენტში ამ ადამიანებს ტანსაცმელი ეცვათ. ნივთების, მაგალითად, ფეხსაცმელების მიმოფანტულობა შეიძლება მიუთითებდეს, რომ დახვრეტის შემდეგ ცხედრები გაჩხრიკეს. მთელი სამარხის ზედაპირზე შეინიშნებოდა აგლომერირებული კირიც, რომელიც სხეულებს, სავარაუდოდ, ანტისეპტიკური თვისებების გამო მოაყარეს. ნეშტებს შორის კირის ფენოვანი განლაგება შესაძლოა მათი ეტაპობრივი დამარხვის ნიშანი იყოს.

გათხრების პროცესში წინასწარი გეგმა წარმატებით განხორციელდა. წარმატებით გაითხარა მე-6 სამარხი #1 თხრილში და ჩატარდა ღია გათხრები #2 თხრილში, შედეგად 29 პიროვნების ნეშტი იქნა აღმოჩენილი, გამოკვლეული და დოკუმენტირებული. ასევე, ნაპოვნია 139 არტეფაქტიც, რომელიც მოიცავს ფეხსაცმლის ძირებს, ღილებს, პროთეზებს, მონეტებს, ბალთებს, ტყვიებს, მასრებს, სავარცხლებსა და ა.შ.

## **კანალი 2:**

### **საბჭოთა ტერორის მსხვერპლები - დოკუმენტირების პრობლემები**

#### **მოგვითხრობს თუ არა სტალინური დოკუმენტები სიმართლეს? რეპრესიების მსხვერპლთა სახელობითი დოკუმენტირების პრობლემები**

*სეიგი პხელოვსკი  
“საეხთაშოხისო მემოხიადი”*

მადლობას ვუხდით ორგანიზატორებს ასეთ მნიშვნელოვან კონფერენციაზე გამოსვლის შესაძლებლობისთვის.

რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის (ФСБ) ცენტრალურ არქივში ინახება დოკუმენტები ეროვნული ოპერაციების ფარგლებში განხილული საქმეების რაოდენობის შესახებ: 1937 წლის 15 აგვისტოდან - 1938 წლის 15 ნოემბრამდე. ეს დღემდე შემორჩენილი ერთადერთი ხელმისაწვდომი მასალაა, რომელშიც ეროვნულ ოპერაციებში რეპრესირებულების ზუსტი რაოდენობაა მოცემული.

როგორც ცნობილია, ეროვნული ოპერაციები ორ „ეტაპად“ განხორციელდა. პირველ ეტაპზე, 1937 წლის 15 აგვისტოდან 1938 წლის 10 სექტემბრამდე დაპატიმრებულთა საქმეებს განიხილავდა ორგანო, რომლის არსებობასაც სსრკ-ის კონსტიტუცია არ ითვალისწინებდა - შინსახკომის კომისია და სსრკ-ის პროკურორი.

კომისიის ყველა ოქმი ომსკის ოლქის УФСБ-ის ცენტრალურ არქივში ინახება და მკვლევართათვის ხელმისაწვდომია. სამწუხაროდ, მათი ასლის მიღება ან დასურათება შესაძლებელი არ არის - ნებადართული მხოლოდ ჩანაწერების გაკეთებაა.

2017-2019 წლებში კომისიის ოქმებიდან მნიშვნელოვანი ინფორმაცია ამოიწერა და კატალოგი შეიქმნა, რომელშიც ყველა, 3,5 ათასი ოქმიდან შევიდა ცნობები.



ლუკაშ ადამსკი, სეჩგეი პელოვსკი

შინსახკომის დოკუმენტებისა და ოქმებიდან მოპოვებული ცნობების შედარება აჩვენებს, რომ შინსახკომის ცნობაში მონაცემები 13,645 გადანყვეტილებითაა გადაჭარბებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დოკუმენტში მოხსენიებულია ხარბინის ოპერაციის ფარგლებში იაკუტიის ასსრ-ის შინსახკომის 811 გადანყვეტილება. კომისიის შესაბამისი ოქმები არ იძებნება. არის მხოლოდ შინსახკომის სპეციალური სხდომის ოქმი, რომლითაც ადამიანებს სხვადასხვა ვადით პატიმრობა მიესაჯათ. ანალოგიური სურათი გვაქვს ირანული ოპერაციის ფარგლებში სსრკ-ის საზღვრებს გარეთ გადასახლების 8,164 გადანყვეტილებასთან დაკავშირებითაც (აზერბაიჯანის სსრ-ის შინსახკომის მიხედვით).

უნდა განვმარტოთ, რომ ეს საგანგებო სხდომაა, რომელიც ეროვნული ოპერაციების არცერთ ბრძანებაში არ არის მოხსენიებული. კომისია იღებდა გადანყვეტილებას დახვრეტაზე, საქმეების შემდგომ გამოძიებასა და მათი სსრკ-ის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიისთვის ან სამხედრო ტრიბუნალისთვის გაგზავნასთან დაკავშირებით. ასევე, რა თქმა უნდა, ის განსაზღვრავდა პატიმრობისა და გადასახლების ვადებს. ფაქტობრივად, ვერცერთ

საარქივო სისხლის სამართლის საქმეში ვერ იპოვიტ დოკუმენტს, რომელიც მოწმობს, რომ ადამიანს პატიმრობა ან გადასახლება შინსახკომის კომისიამ და სსრკ-ის პროკურორმა მიუსაჯეს. როგორც წესი, საქმეები შეიცავს „ამონაწერს საგანგებო სხდომის ოქმიდან“. ასე პატიმარი იგებდა, თუ ვინ გამოუტანა განაჩენი და გათავისუფლების შემდეგ (თუკი გაუმართლებდა) ამის მოყოლა შეეძლო. აქედან გამომდინარე, როგორც არსენი როგინსკიმ აღნიშნა, არავის, მათ შორის მსჯავრდადებულსაც კი არ უნდა სცოდნოდა შინსახკომის კომისიისა და სსრკ-ის პროკურორის არსებობის შესახებ.

ეროვნული ოპერაციების მეორე ეტაპი სსრკ-ის შინსახკომის 17 სექტემბრის №00606 ბრძანებას, „განსაკუთრებული სამეულების შექმნის თაობაზე“ ეყრდნობოდა და 1938 წლის 15 ნოემბრამდე გაგრძელდა.

„განსაკუთრებული სამეულები“, ასევე არაკონსტიტუციური ორგანოები, იქმნებოდა სსრკ-ის რესპუბლიკებისა და ავტონომიური რესპუბლიკების შინსახკომებთან. „განსაკუთრებული სამეულების“ ოქმები რუსეთში ინახება უშიშროების ფედერალური სამსახურის რეგიონულ სამმართველოებში და ამ ეტაპზე მკვლევართათვის ხელმისაწვდომი არ არის.

ФЦБ-ის რამდენიმე სამმართველოდან შევძელით, მოგვეპოვებინა ცნობები „განსაკუთრებული სამეულების“ ოქმებში მოხსენიებული ადამიანების რაოდენობის შესახებ, რამაც მონაცემთა შედარების საშუალება მოგვცა.

მხოლოდ რუსეთის 13 რეგიონის შესახებ ცნობაში არსებული მონაცემები 4,662 ადამიანით შემცირებული აღმოჩნდა. შინსახკომის ლენინგრადის ოლქის სამმართველოს სამეულის ოქმების მონაცემების ეროვნული ოპერაციების ცნობასთან შედარება აჩვენებს, რომ მასში მონაცემები 1,767 ადამიანითაა შემცირებული.


საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში საქართველოს სსრ-ის შინსახკომის განსაკუთრებული სამეულის ყველა, 52-ვე ოქმის ასლის მოპოვება გახდა შესაძლებელი. ამ უკანასკნელში, რეპრესირებულთა რიცხვი 38 ადამიანითაა შემცირებული. გარდა ამისა, პირველი განსაკუთრებული ქვედანაყოფის (Спецотдел) ცნობაში არ არის ინფორმაცია ივანოვოსა და ტულის ოლქების შინსახკომის სამეულების საქმიანობის შესახებ, რომლებშიც, როგორც გაირკვა, შესაბამისად, 51 და 8 ოქმი იყო გაფორმებული, თუმცა ვერ მოხერხდა რეპრესირებულთა რაოდენობისა და, მით უმეტეს, გვარების გარკვევა - ამ ოლქებში ჩეკისტების შთამომავლებმა სამეულების ოქმები გამოაჩინეს, თუმცა მათი კვლევა შეზღუდეს. მიზეზი - ოქმებში მოცემულმა ინფორმაციამ შესაძლოა ეროვნული, რასობრივი და რელიგიური მტრობა გააღვივოს. ამ განსაზღვრებას რუსეთის ფედერაციის ყველა ინსტანციის სასამართლო დაეთანხმა.

**ამრიგად, შესაძლებელია ვამტკიცოთ, რომ შინსახკომის დოკუმენტები გვანვდის არასანდო ინფორმაციას ეროვნული ოპერაციების შედეგად რეპრესირებულთა რაოდენობის შესახებ. ეს დოკუმენტები მცდარია...**

ეს კი რეპრესიების მსხვერპლთა სახელობითი დოკუმენტირების პრობლემათა შორის მხოლოდ ერთ-ერთია. რეპრესიების მსხვერპლთა სრულფასოვანი ბაზის შექმნის მთავარი წინააღობა რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებში ამ პრობლემის მოგვარების ნების არარსებობაა.

ამ ადამიანების ხსოვნის შემოსანახად მხოლოდ საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ცალკეული ენთუზიასტები მუშაობენ.

დღესდღეობით, სსრკ-ში რეპრესირებულთა სახელობითი ინფორმაცია ინახება მონაცემთა ბაზაში „პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლები სსრკ-ში“, რომელსაც, მიუხედავად რუსეთის მთავრობის მიერ ლიკვიდაციისა, „საერთაშორისო მემორიალი“ მაინც ამუშავებს. ამ ბაზაზე არსებულ ინფორმაციას ეყრდნობა კიდევ ორი ბაზა: „ღია სია“ და „უკვდავი ბარაკი“. მემორიალის ბაზა დაფუძნებულია სსრკ-ის ყოფილ რესპუბლიკებსა და რუსეთის რეგიონებში გამოცემულ ხსოვნის წიგნებზე, რომლებიც შედგენილი იყო სისხლის სამართლის საარქივო საქმეებით. ბაზა შეიცავს 3 მილიონზე მეტ ჩანაწერს, რაც, მემორიალის შეფასებით, რეპრესირებულთა საერთო რაოდენობის მხოლოდ მეოთხედია... ბაზაში, ძირითადად, შესულია ინფორმაცია იმ ადამიანების შესახებ, რომლებსაც დახვრეტა მიესაჯათ, თუმცა ეს სიაც არ არის სრული. პრაქტიკულად არ არსებობს ინფორმაცია იმ პირთა შესახებ, რომელთაც რეპრესიები „ადმინისტრაციული“ წესით შეეხოთ - გააკულაკეს ან გადაასახლეს.



სსრკ-ში რეპრესირებულთა სახელობითი ინფორმაციის მონაცემთა ბაზები



სხვადასხვა დროს მოპოვებულია ან გადაიწერა შინსახკომის კომისიისა და სსრკ-ის პროკურორის არაერთი ოქმი. მათმა დამუშავებამ შემდეგი შედეგი აჩვენა:

- ხარბინის ოპერაციის შესახებ კომისიის 570 ოქმიდან დამუშავდა 156. 3,227 გასამართლებულიდან ბაზაში არის მხოლოდ 1,406. არ გვაქვს ინფორმაცია რეპრესირებულთა 56.4%-ის შესახებ;
- ლენინგრადის ოლქის შინსახკომის განსაკუთრებული სამეულის 122 ოქმიდან დამუშავდა 96. ბაზაში არარსებულთა პროპორცია ამ შემთხვევაში 41.4%-ია;
- დამუშავდა საქართველოს სსრ-ის შინსახკომის განსაკუთრებული სამეულისა და კომისიის ყველა ოქმი. ამ ოქმებიდან ბაზაში მონაცემი არ არის, შესაბამისად, 90.1%-ისა და 67%-ის შესახებ.

მოყვანილი მაგალითები მონშობს, რომ არსებულ ბაზებში არ არის ეროვნული ოპერაციების მსხვერპლთა ნახევარზე მეტი.

ვინაიდან რუსეთის პრეზიდენტის ბრძანება კგბ-ის არქივების სახელმწიფო არქივებისათვის მუდმივად შესანახად გადაცემისა და რეპრესიის დოკუმენტებისათვის შემზღუდავი გრიფის მოხსნის შესახებ, ფაქტობრივად, არ სრულდება, სისხლის სამართლის საქმეები, შესაძლოა, უშიშროების ფედერალური სამსახურის, ან სახელმწიფო არქივებში იყოს. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ სად რა ინახება, მომხმარებლისათვის მიუწვდომელია.

რა პრობლემებთან შეჭიდება გვიხდება სისხლის სამართლის საქმეებთან და რეპრესიების სხვა დოკუმენტებთან გაცნობისას?

**ა)** უშიშროების ფედერალური სამსახურის არქივებში - ცენტრალურსა და რეგიონულ სამმართველოებში:

- არ არსებობს საარქივო სისხლის სამართლის საქმეების რეესტრი;
- არ არის ცნობილი, თუ რა რაოდენობის რეპრესირებულთა საქმეები ინახება;
- განსაიდუმლოების პროცედურა ყველა საქმეს არ გაუვლია;
- განსაიდუმლოებულ საქმეებში გვერდების დიდი ნაწილი რჩება კვლავ დახურულად;
- მკვლევრებს არ ეძლევათ დოკუმენტების ასლები და აკრძალულია ფოტოგადაღებაც.

ბ) სახელმწიფო არქივებში, რომელთათვისაც სისხლის სამართლის საარქივო საქმეების ნაწილი გადაცემულია:

- იშვიათი გამონაკლისების გარდა, დაცული საქმეების რეესტრი ინტერნეტში ღია დაშვებით ხელმისაწვდომი არ არის;
- არაერთ სახელმწიფო არქივში სისხლის სამართლის საარქივო საქმეები კლასიფიცირებულია, როგორც შეზღუდული გამოყენების საქმეები;
- მომხმარებლისათვის საქმის გადაცემამდე, მას უშიშროების წარმომადგენელი ამონმებს და ამ შემონმებაზე დაყრდნობით შეუძლია საქმის ნაწილზე წვდომა შეზღუდოს;
- სისხლის სამართლის საარქივო საქმეები არ არის გაციფრულებული, შესაბამისად, დისტანციურად წვდომის მოპოვება შეუძლებელია.

გ) განცალკევებულ თემად რჩება შსს-ისა (МВД) და ფედერალური პენიტენციური სამსახურის (ФСИН) არქივები, რომლებშიც პატიმრების აღრიცხვის ბარათები (ფორმა 2) და პირადი საქმეები ინახება. არცერთი მათგანი არ არის ხელმისაწვდომი, ხოლო ბარათები, ინსტრუქციის მიხედვით, შექმნიდან 80 წელიწადში ნადგურდება...

1940 წელს ანა ახმატოვა წერდა: „**მინდა ყველა მათგანის სახელი ვთქვა, თუმცა სია წაგვართვეს და ვერსად გავიგებთ**“... მას შემდეგ 80 წელზე მეტი გავიდა, ჩვენ კი ჯერ ისევ არ შეგვიძლია ამის გაკეთება, რადგან ყველა სია ხელმისაწვდომი არ არის.

დარწმუნებული ვარ, რომ მოვა დრო, როცა ВЧК-ის, ОГПУ-ის, НКВД-ის, МГБ-ისა და КГБ-ის არქივები სრულად ხელმისაწვდომი გახდება და სახელმწიფო რეპრესიების მსხვერპლთა სრული ბაზა შეიქმნება.

# **საბჭოთა სახელმწიფო ტერორის მსხვერპლები მოლდოვაში: საარქივო და ზეპირი წყაროები, ინტერპრეტაციები და გამოწვევები**

**იგოხ კაშუ**

*ახქივების ეხოვნული სააგენტო, მოლდოვის რესპუბლიკა*

მოლდოვის რესპუბლიკის დღევანდელი ტერიტორია (1941-1991 წლებში მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა), დაახლოებით, 4,000 კვ.კმ-ს მოიცავს და მდინარე დნესტრის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს. თუ სიზუსტეს დავიცავთ, ეს პირველი გასაბჭოებული ტერიტორია იყო 1917-1918 წლების შემდეგ. 1924 წლიდან, მარცხენა სანაპირო მოლდავეთის ასსრ-ის შემადგენლობაში შევიდა, რომელიც, თავის მხრივ, საბჭოთა უკრაინის ნაწილი იყო. სწორედ ამიტომ, მარცხენა სანაპიროს დამსახურებით, მოლდოვის არქივები შეიცავს ინფორმაციას საბჭოთა სახელმწიფო ტერორისა და პოლიტიკური რეპრესიების თითოეულ კამპანიაზე, 1917 წლიდან 1991 წლამდე.

რუსეთის სამოქალაქო ომის პერიოდში გაჩაღებული თეთრი და წითელი ტერორის მსხვერპლი, მათ შორის მომავალ მოლდავეთის ასსრ-ში, საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელი გახდა. ჯერ-ჯერობით ჩატარებულ კვლევებზე დაყრდნობით, 1917-1921 წლებში წითელი ტერორის მსხვერპლი სულ მცირე 3,000-4,000 ადამიანი გახდა, განსაკუთრებით ადგილობრივ გლეხობაში, რომელიც ჯერ მარცვლეულის რეკვიზიციის კამპანიებით დაისაჯა, შემდეგ კი ადგილობრივი აჯანყებებისთვის ბოლშევიკთა და თეთრთა მიერ. 1921-1929 წლებში, ახალი ეკონომიკური პოლიტიკის (НЭП) პირობებში, სახელმწიფო ტერორი ჩაცხრა.



დუკაშ ადამსკი, სეხგეი პხუდოვსკი, იგოი კაშუ

მიუხედავად ამისა, სტალინის „დიდი გარდატეხის“ პოლიტიკის ფარგლებში, სამოქალაქო ომის მსგავსი ტერორის მეთოდები და მასშტაბები დაბრუნდა, მიზანი კი სრული კოლექტივიზაცია და სწრაფი ინდუსტრიალიზაცია იყო (1929-1933). მოლდავეთის ასსრ-ის დაახლოებით 12,000 გლეხი გამოცხადდა კულაკად და საზოგადოებისათვის მტრულ ელემენტად და იძულებით გადასახლდა რუსულ ტუნდრასა და ტაიგაში. საბჭოთა რეჟიმის მსხვერპლთა შორის ამ პერიოდში ხვდებიან ისინიც, ვინც 1932-33 წლების “დიდ შიმშილობას” შეეწირა, რომელსაც უკრაინაში ჰოლოდომორის სახელით იცნობენ. მოლდავეთის ასსრ-ში სიკვდილიანობის მაჩვენებელი, რომელიც პირდაპირ კავშირშია სტალინის პოლიტიკასა და მარცვლელის იძულებით რეკვიზიციასთან, 40,000 ადამიანს უტოლდება. ამ საკითხებზე: კოლექტივიზაციაზე, ჰოლოდომორზე, 1930-იანი წლების პირველი ნახევრის გადასახლებებსა და NEP-ის პერიოდზე ინფორმაციას იხილავთ ორ მთავარ ფონდში:

- [ფონდი #52, მოლდოვის რეგიონული კონტროლის კომისია მოლდავეთის ასსრ-დან](#)
- [ფონდი #49, “უკრაინის მოლდოვის სამხარეო კომიტეტი”](#)

ამავდროულად, 1937-1938 წლების დიდი ტერორი მოლდავეთის ასსრ-ში, დაახლოებით, 9,000 ადამიანს შეეხო, რომელთა ნახევარსაც დახვრეტა მიესაჯა. მათ შორის იყვნენ მოლდავეთის შინსახკომის წევრებიც. ამ სადამსჯელო ოპერაციას მოგვიანებით „ტერორის შემოქმედთა ტერორი“ ეწოდა. ფართომასშტაბიანი ოპერაციების ოფიციალურად დასრულება 1938 წლის ნოემბერში გამოცხადდა. არქივების ეროვნულმა სააგენტომ გააციფრულა მოლდავეთის ასსრ-ში მცხოვრები, დიდი ტერორის ფარგლებში გასამართლებული ადამიანების სია. ყველა დაინტერესებულ მკვლევარს შეუძლია მიიღოს წვდომა ამ სიებზე მოცემული [ბმულით](#).

როგორც უკვე ვახსენე, ბესარაბია ომთაშორის პერიოდში თანამედროვე რუმინეთის ნაწილი გახდა. მიუხედავად ამისა, ბოლშევიკურმა რუსეთმა არ აღიარა 1918 წლის გაერთიანება და ამტკიცებდა, რომ რუმინულმა არმიამ პროვინციაში საბჭოთა ძალები გაანადგურა 1918 წლის იანვარში. საბჭოთა დიპლომატებმა რუმინელ კოლეგებს განუცხადეს, რომ მოსკოვს ბესარაბია ოდესისათვის ბუფერულ ზონად სჭირდებოდა, რაც მისცემდა წვდომას სტრატეგიულად მნიშვნელოვან დუნაის დელტაზე.

მოგვიანებით, როცა ნაცისტურ გერმანიასთან განიხილავდა აღმოსავლეთ ევროპაში გავლენის სფეროების დანაწილების საკითხს, სსრკ სხვა რეგიონებთან ერთად ბესარაბიასაც ითხოვდა. ბალტიისპირეთის სახელმწიფოებისგან განსხვავებით, რომლებიც საბჭოთა კავშირმა ეტაპობრივად დაიკავა, ბესარაბია და ჩრდილოეთ ბუკოვინა წითელი არმიის მიერ იძულებით იქნა დაპყრობილი, პირდაპირი სამხედრო თავდასხმის გზით 1940 წლის 28 ივნისს.

ბესარაბიასა და ჩრდილოეთ ბუკოვინაში საბჭოთა რეპრესიებმა პიკს 1941 წლის ივნისის შუაში მიაღწია, როცა 32,000 პიროვნება ციმბირსა და ყაზახეთში გადაასახლეს. ომისშემდგომი გადასახლებებისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში ოჯახებს, ცოლებსა და შვილებს მამაკაცები დააშორეს. ეს უკანასკნელნი გაგზავნეს გულაგებში, ციხის მსგავს ბანაკებში, რომლებიც შალამოვის მემუარებში დახასიათებულ კოლიმას ჰგავს. ოჯახის სხვა წევრები კი სპეციალურ დასახლებებში გაანაწილეს, რომელთაც ნაკლებად მკაცრი რეჟიმი მართავდა, თუმცა ამ ადამიანებს არანაკლები ტკივილი მიაყენა. 1941 წლის გადასახლებების შესახებ ინფორმაციის გასაცნობად, იხილეთ [ბმული](#).

1940-41 წლების მსხვერპლთა მეორე კატეგორიას წარმოადგენენ ადამიანები, რომლებიც დახვრიტეს. კიშინიოვის კგბ-ის არქივები მოიცავს 136 ადამიანის დოკუმენტს. მათი ნაწილი რუმინეთის პოლიტიკური პოლიციის (სიგურანტა) ყოფილი შიდა აგენტები იყვნენ, სხვები კი სადაზვერვო მისიებისათვის სსრკ-ში შეგზავნილი დაქირავებული ჯაშუშები.

მესამე ჯგუფი კი შედგებოდა ადამიანებისგან, რომლებიც სსრკ-დან რუმინეთში სხვადასხვა ტერორის პერიოდში გაიქცნენ და პროცესში მდინარე დნესტრი უკანონოდ გადაკვეთეს.

საბჭოთა კავშირი 1944 წელს დაბრუნდა ბესარაბიაში და მასობრივი რეპრესიების კამპანიები, ხელახლა გასაბჭოების პროცესის ფარგლებში და იმ ადამიანების დასასჯელად, რომლებიც გერმანელებთან და რუმინელებთან თანამშრომლობდნენ, განახლებული ენერჯითა და ძალისხმევით წამოიწყო. ცალკეულ პირთა და მცირე ჯგუფთა გადასახლებები, ფაქტობრივად, მაშინვე დაიწყო და 1953 წელს სტალინის სიკვდილამდე გაგრძელდა. მასობრივი ოპერაციები 1949 და 1951 წლებში მოეწყო.

ყველაზე მასშტაბური გადასახლება 1949 წლის ივლისში მოხდა და ის, მხოლოდ ბესარაბიაში, 34,000 ადამიანს შეეხო. 1949 წლის მასობრივი გადასახლებების მთავარი სამიზნე ე.წ. კულაკები იყვნენ, რომლებიც სოციალისტური საზოგადოების აღდგენის, კერძოდ, მასობრივი კოლექტივიზაციის მტრებად მიიჩნეოდნენ. არქივების ეროვნულმა სააგენტომ ამ ადამიანების სრული სია გამოაქვეყნა, რომლის ხილვაც შეგიძლიათ მოცემულ [ბმულზე](#).

1951 წლის აპრილში კიდევ ერთი მასობრივი გადასახლება დაიწყო, თუმცა შედარებით ნაკლები მასშტაბი მიიღო (2480 ადამიანი). გადასახლება მიმართული იყო კონკრეტული რელიგიური უმცირესობის, იეჰოვას მოწმეების მიმართ. ისინი კომუნისტური იდეოლოგიის მიმართ განსაკუთრებით მტრულ პიროვნებად მიიჩნეოდნენ და მათვე აბრალებდნენ უცხოეთის ძალების გავლენის აგენტობას სსრკ-ში, ვინაიდან მათი სათავო ოფისი ბრუკლინში, ნიუ-იორკში მდებარეობდა. სხვა მიმდევრები იძულებით გადასახლეს მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის შედეგად მიღებული ტერიტორიებიდანაც. საბოლოოდ, ამ გადასახლებებმა პირიქით იმუშავა: იელოვას მოწმეებმა თავიანთი რელიგია სხვა საბჭოთა ტერიტორიებზეც გაავრცელეს. ჩრდილოეთის ოპერაციის შესახებ საარქივო წყაროები იხილეთ [ბმულზე](#).

ასევე საბჭოთა მოლდავეთში გვიანი სტალინიზმის მსხვერპლებად უნდა ჩავთვალოთ ის ადამიანებიც, რომლებიც 1946-47 წლების “დიდ შიმშილობას” შეეწირნენ. შიმშილობა მთელ საბჭოთა კავშირში მძვინვარებდა, მათ შორის რუსეთსა და უკრაინაშიც, თუმცა მოლდავეთის სსრ-ს განსაკუთრებით მძიმედ შეეხო - 12,3000 ადამიანი, მოსახლეობის, დაახლოებით, 5%, დაიღუპა. რიცხვებით თუ შევაფასებთ, ყველაზე მეტი რუსი (500,000, მოსახლეობის 0.6%) და უკრაინელი (300,000, მოსახლეობის 1%) დაიღუპა. შიმშილს მრავალი მიზეზი ჰქონდა, მათ შორის ძლიერი გვალვა და ომის შედეგები, თუმცა მსხვერპლის მაღალ მაჩვენებელზე პასუხისმგებელი იყო სწრაფი აღდგენის პოლიტიკაც, რომელიც სტალინმა

1946 წელს წამოიწყო. ამ მიდგომამ რესურსების უმრავლესობა ინდუსტრიული და სამხედრო საჭიროებებისკენ მიმართა.

მოლდავეთში, 1946-47 წლებში მნიშვნელოვანი რესურსები მოხმარდა ვენახების გაფართოებას, რომელიც პირველი ომის შემდგომი ხუთწლედის მთავარი პრიორიტეტი იყო. მასობრივი რეპრესიები დასრულდა 1953 წელს, როგორც საბჭოთა მოლდავეთში, ისე სხვა რესპუბლიკებშიც. სტალინის სახელმწიფო ტერორი დაგმო მისმა მემკვიდრემ, ნიკიტა ხრუშჩოვმა 1956 წელს, სსრკ-ის კომუნისტური პარტიის მე-20 ყრილობაზე. თუმცა, „პიროვნების კულტის“ დაგმობა არ იყო სრულყოფილი და მთელი გულით მიღებული გადაწყვეტილება.

„საიდუმლო მოხსენება“ არ შეიცავდა მიმართვას კოლექტივიზაციისა და 1932-33 წლების მსხვერპლთა მიმართ (სულ მცირე, 5.5 მლნ ადამიანი დაიღუპა) და იხსენიებდა მხოლოდ არმიისა და პარტიის წევრებს, რომლებიც დიდ ტერორს ემსხვერპლნენ (დაახლოებით, 680,000 ადამიანი). 1960 წლისათვის, გადასახლებულ პირთა, დაახლოებით, 80% (95,000 ადამიანი) სახლში დაბრუნდა, თუმცა ამ ადამიანებმა თავიანთი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სტატუსის დაბრუნება ვერ შეძლეს. ხშირად, მათ იმის საშუალებაც კი არ ჰქონდათ, რომ საკუთარ სახლში დაბინავებულიყვნენ.



იგოხ კაშუ

სტალინის დაგმობის პარალელურად, 1953 წლის შემდგომი საბჭოთა რეჟიმი აგრძელებდა რეპრესიულ პოლიტიკას, თუმცა შედარებით მცირე მასშტაბებით და ბევრად განვითარებული მეთოდებით. რეპრესიები შეეხო მხოლოდ მცირე ჯგუფებს ან პიროვნებებს, თუმცა პოლიტიკური დანაშაულების განსაზღვრება კვლავ ფუნდამენტურად სტალინისტურად დარჩა. საბჭოთა მოლდავეთში 1953 წლის მარტის შემდგომი რეჟიმის პოლიტიკური რეპრესიების პირველ მსხვერპლებად იქცნენ ისინი, ვინც სტალინის სიკვდილით ბედნიერება გამოხატა.

რეპრესიულ პოლიტიკაში ახალი გარდატეხა 1956 წლის ნოემბრის უნგრეთის რევოლუციის დამარცხებით დაიწყო. ერთ-ერთ წყაროზე დაყრდნობით, რამდენიმე ასეული ადამიანი დააკავეს და გულაგებში გადაასახლეს. სტალინის შემდგომი რეპრესიების კიდევ ერთი განმასხვავებელი ნიშანი ფსიქიატრიის პოლიტიკური გამოყენება იყო დისიდენტებისა და არასასურველი პიროვნებების მიმართ. ამ კატეგორიის სასჯელის ყველაზე გახმაურებული შემთხვევები საბჭოთა მოლდავეთში იყო ივან სევასტიანოვისა (რუსი, მოსამსახურე, 1958) და გეორგე მურუზიუკისა (მოლდაველი/რუმინელი, მოსამსახურე, 1966) და გეორგე დავიდის (მოლდაველი/რუმინელი, ინჟინერი, 1986) საქმეები.

ისინი, ვინც 1953 წლის შემდეგ მოლდავეთის სსრ-ში საბჭოთა რეჟიმს უპირისპირდებოდნენ, შეგვიძლია ორ კატეგორიად დავყოთ: დაუმორჩილებლები (ზახარია დონცევი, ლილია ნეაგუ, ასეა ანდრუ, გეორგე მურუზიუკი) და დისიდენტები (მახაი მოროშანუ, ნიკოლა დრაგოში და მისი ჯგუფი, გეორგე დავიდი, ალექსანდრუ უსატიუკი, გეორგე გიმპუ და მისი ჯგუფი). პირველი ჯგუფის წარმომადგენლები სახელმწიფოს სპონტანურად გმობდნენ, როცა დისიდენტები თავიანთ პროტესტს უფრო განვითარებული და თანმიმდევრული მეთოდებით გამოხატავდნენ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ისინი, ვინც ბესარაბიის რუმინეთთან გაერთიანებას უჭერდა მხარს, ისევე მკაცრად ისჯებოდა, როგორც სტალინისტურ პერიოდში. ერთ-ერთი ასეთი მაგალითია ეროვნული პატრიოტული ფრონტი 1970-იანი წლების პირველ ნახევარში. მის ლიდერებს გულაგში 7 წლის გატარება და 5-წლიანი გადასახლება (ალექსანდრუ უსატიუკი), ასევე, 6 წლიანი პატიმრობა შრომა-გასწორებით ბანაკში (გეორგე გიმპუ) მიესაჯათ. ამ საკითხზე დამატებითი ინფორმაცია იხილეთ კვბ-ის დოკუმენტებზე დაფუძნებულ [სტატიაში](#).



# **„ვუნოდოთ სახელი, რათა ზუსტად დავთვალეთ...“ პოლონეთში საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლთა სახელობითი დოკუმენტირება**

**მაცეი ვიხვა**  
მიეხოშევსკის ცენტრი, პოლონეთი

საბჭოთა რეპრესიების თითოეული მსხვერპლის დასახელება ძალიან რთული გამოწვევაა. დიდი ტერორის დროს საბჭოთა კავშირში მცხოვრები, სულ მცირე, 200,000 პოლონელი სტალინურ დანაშაულებს ემსხვერპლა. მეორე მხრივ, 1939-1956 წლების შუალედში რეპრესიები პოლონეთის, დაახლოებით, 580,000 მოქალაქეს შეეხო. ეს ძალიან დიდი რიცხვებია, რომელთა უკანაც კონკრეტული პიროვნებებისა და მათთვის ძვირფასი ადამიანების ტრაგედია დგას.



მაცეი ვიხვა

[„რეპრესირებულია ინდექსი“](#) უდიდესი პროექტია პოლონეთში, რომელიც, თავდაპირველად, ცენტრმა KARTA-მ დაიწყო, შემდეგ კი ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტმა (IPN) გააგრძელა. პროექტის მიზანი 1939 წლიდან 1956 წლამდე საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლთა სახელობითი დოკუმენტირებაა. დღემდე, მსხვერპლთა ბიოგრაფიების 21 კრებულია გამოცემული, ხოლო ციფრული მონაცემთა ბაზა 316,000 რეპრესირებულის ისტორიას შეიცავს.

სტალინური რეპრესიების მსხვერპლთა შესახებ ინფორმაციას მიეროშევსკის ცენტრი აგროვებს ციფრულ [მონაცემთა ბაზაზე](#) სახელწოდებით „ანტიპოლონური ტერორის მსხვერპლები საბჭოთა კავშირში 1934-1938 წლებში“. რუსულ „მემორიალთან“ და უკრაინის უშიშროების სამსახურის არქივთან თანამშრომლობის დამსახურებით, 84,000-ზე მეტი მსხვერპლის ბიოგრაფიის მოპოვება და მათი ხელმისაწვდომად ქცევა გახდა შესაძლებელი, მათ შორის არის უკრაინაში შინსახკომის „პოლონური ოპერაციის“ თითქმის ყველა რეპრესირებულის ბიოგრაფიაც.

# **დიდი ტერორზე საარქივო წყაროები აჭარაში: მთლიანი სურათის რეკონსტრუქციის გამოწვევა**

**ანგონ ვაჭაიძე**

*ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, საქართველო*

*„1937-1938 წლებში ე.წ. დიდი წმენდის დროს, გეოგრაფიული მახასიათებლები გახდა უიციურობის მწველი, მხატვრული და მეცნიერული, მასწავლებელთა თითქმის მთელი კოორპორაცია და მხავარი სტუდენტი. ეხი თავმოკვეთილი იყო. საქართველო მეოთხედი საუკუნის განმავლობაში, 1928-53 წლებში უფრო საფუძვლიანად გახდაიქმნა, ვიდრე 3 ათასწლეული ისტორიის ნებისმიერ სხვა ანალოგიურ პერიოდში“ - წეხს ხონად გიგოგი სუნი თავის ნაშრომში „ქართველი ეხის შექმნა“ (The making of the Georgian nation).*

## **„დიდი ტერორი“ აჭარაში**

აჭარაში ოსმალთა სამასწლიანი ბატონობა, საზღვრისპირა მდებარეობა, განსხვავებული რელიგია, საზღვარს იქით დარჩენილი ეკონომიკური და ნათესაური კავშირები საბჭოთა ხელისუფლებას ამ რეგიონის მოსახლეობის მიმართ უნდობლობით განაწყობდა.

პროცენტული მაჩვენებლით, რეპრესიების მასშტაბები აჭარაში უფრო მაღალი იყო, მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან შედარებით, თუმცა, მაგალითად, სტალინური სიებით დაიხვრიტა ჯამურად გასამართლებულების 14,3%, რაც საქართველოს ჯამურ მაჩვენებელს (21%) ჩამოუვარდება.

1937 წლის 20 აგვისტოდან - 1938 წლის 26 ნოემბრამდე პერიოდში, სულ აჭარაში სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა მიესაჯა 1,050 ადამიანს. მათ შორის იყო 11 ქალი; 10 სასულიერო პირი, მათ შორის მაღალი რანგის იერარქები: არქიმანდრიტი ზურაბ დარჩია და ხოჯა ახმედ ნაკაიძე. აჭარაში ძირითად ბრალდებებს შორის ფიგურირებდა „ტროცკიზმი“, ჯაშუშობა, კონტრრევოლუციური საქმიანობა, ძირგამომთხრელი საქმიანობა და ა.შ.

## აჭარის ასრ შინსახკომის უფროსის მოადგილე, ს. ი. კუგელი საქართველოს სსრ შინსახკომის უფროსის მოადგილეს, ა.ნ. რაფავას, 13.08.1937:

„რადგან ადამიანები და მათი პირადი საქმეები გამზადებულია, გადავწყვიტეთ მათი გამოგზავნა დღეს, თადარიგის დასაჭერად.

დაახლოებით, 700 საგამოძიებო საქმე გვაქვს და ვგეგმავთ, 200-ზე მეტი ადამიანის აყვანას, იმათ გარდა, ვისაც სამეულის სპეციალური სიით დააპატიმრებენ.

თქვენთვის გამოგზავნილი 315 საქმიდან:

- 105-110 აჭარის მეამბოხური ორგანიზაციის მონაწილე
- 95 - ტროცკისტი
- 60-65 მენშევიკი და სოც. ფედერალისტი
- 40-50 ფაშისტი და დივერსანტი

შესაძლებელია, ზოგიერთი ჯგუფური საქმე უფრო მიესადაგება სამხედრო კოლეგიას, მაგრამ ჩვენი მდგომარეობის მხედველობაში მიღებით, აუცილებელი განტვირთვის თვალსაზრისით, კარგი იქნება თუ შესაძლებლად ჩათვლით მათ სამეულზე გატარებას.“ (1)

### ბათუმთან ახლოს სამარხების აღმოჩენა და ინფორმაციის გავრცელება

2019 წელს, ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიამ გაავრცელა ინფორმაცია, აჭარაში წინა წლებში აღმოჩენილი მასობრივი სამარხებიდან ამოსვენებული 150 ნეშტის დაკრძალვის თაობაზე. ნეშტებთან ერთად, სამარხში აღმოაჩინეს იმ ეპოქის ტყვიები, 1935–1936 წლებით დათარიღებული მონეტები, რამაც გააადვილა სამარხის დათარიღება. მოგვიანებით, დნმ კვლევების შედეგად დამტკიცდა, რომ სამარხებში ნამდვილად „დიდი ტერორის“ დროს რეპრესირებული ადამიანების ნეშტები იყო აღმოჩენილი.

<sup>1</sup>

კუგელი ამ შემთხვევაში გულისხმობს, რომ უმჯობესია ახ დაედორონ სსიკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის საქართველოში ჩამოსვლას და სასამართლო შინსახკომის განსაკუთრებულმა სამუდმა გამაიხთოს. წყაიხო: ბოლშევიკუხი წესიიგი საქაიხთველოში, თბილისი, 2015, ტომი 2, გვ. 65.

ეპარქიის მიერ გამოქვეყნებული სია 623 ადამიანს მოიცავდა, IDFI-ის მუშაობით დადგინდა 1,050 ადამიანის სახელი და მონაცემი. ასევე 3 პირი არის „გაურკვეველ“ სიაში. კიდევ რამდენიმე ადამიანზე ასევე საჭიროა დამატებითი მასალა (ისინი, ვინც, მაგალითად, ერთ-ერთი დახვრეტის ოქმში არ არიან მონიშნულები).



ანგონ ვაჭახაძე

## ხსოვნის წიგნი

2024 წელს IDFI-ისა და პოლონეთის იულიუმ მიეროშევსკის დიალოგის ცენტრის მიერ დაგეგმილია ერთობლივი გამოცემა - პირველი „ხსოვნის წიგნი“ აჭარაში განხორციელებულ რეპრესიებზე.

მემორიალური წიგნში შევა სტატიები, 1,050 ადამიანის მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები. გარდა სახელებისა, კვლევით ჯგუფს სურს პასუხები მიიღოს შემდეგ კითხვებზე:

- გამოარჩევდა თუ არა აჭარას დანარჩენი საქართველოსგან რეპრესიების კონტექსტში? როგორი იყო ტენდენცია აჭარაში?
- შედარებითი ანალიზი რომელიმე სხვა რეგიონთან და საკითხის კონცეპტუალიზაცია;
- შედარებითი ანალიზი სსრკ-ის რომელიმე სხვა, არაქართულ რეგიონთან;
- ყველა არსებული კვლევის შეგროვება და კონცეპტუალიზაცია;
- ლაზების საკითხი: 4 დასახლებული სოფელი აჭარაში (სარფი, თხილნარი, მახო, სიმონეთი).

### **აჭარაში რეპრესირებულთა შესახებ გამოცემული ნაშრომები**

ყველაზე ადრეული სტატია, რომელიც აჭარაში მიმდინარე რეპრესიებს შეეხება გამოქვეყნდა 1959 წელს: Hadjibeyli P. The 1937 Trials of Ajarian Leaders/Caucasian Review, 1959 N8 P.21-26. ოსიკო გვარიშვილმა 1937 წელს დახვრეტილი მამის ხსოვნის უკვდავსაყოფად წიგნი გამოსცა: ო. მ. გვარიშვილი, სტალინი და ავბედითი 1937 წელი, ბათუმი, 2000. ავთანდილ ქურხულმა წიგნი - „... და გვახსოვდეს“, თბილისი, 2004. შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის პროექტის - „ალადგინე ისტორია არქივთან ერთად“ (თუშურაშვილი, 2017) ფარგლებში გამოიცა წიგნი - „არქივის კვალდაკვალ - ბათუმი“. სხვა გამოცემებს შორის აღსანიშნია: რამაზ სურმანიძე „ტრაგედია ბათუმში, 1937-38 წლები“ (სურმანიძე, 2014). ოთარ თურმანიძე „საბჭოთა რეჟიმი და მასობრივი რეპრესიები აჭარაში“, (თურმანიძე, 2019). „სამეურნეო-საწარმოო კადრების, კულაკების და სხვა არასასურველი ადამიანების რეპრესიები“, (თურმანიძე, 2017) იბეჭდებოდა 2017 წელს გაზეთ „აჭარაში“.

### **შეზღუდვები კვლევის პროცესში**

ყოფილი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (КГБ) არქივის დიდი ნაწილი თბილისში 1991 წლის სამოქალაქო ომის დროს განადგურდა. საუბარია შინსახკომის (НКВД) ორგანოების დოკუმენტებისა და საბჭოთა პერიოდში გასამართლებული და შემდგომში რეაბილიტირებულთა საგამოძიებო საქმეები - მთლიანად დაიწვა. იგივე ბედი ეწია მილიციის არქივს, რის შედეგადაც სამუდამოდ დაიკარგა უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია იმ სოციალურ-პოლიტიკური ამოცანების რეალიზაციის მეთოდებისა და მექანიზმების შესახებ საქართველოში, რომლებიც დასახული იყო პარტიული ხელმძღვანელობის მიერ საქართველოში 1930-იან წლებში.

ეროვნულ არქივში 1953 წლის შემდგომ რეაბილიტირებულთა საქმეები და სიებიც კი არაა ხელმისაწვდომი: 75 წლიანი „პერსონალური მონაცემების დაცვის“ მოტივით“.

2022 წლიდან გახშირდა საარქივო არქივების დროებით დახურვისა და მკვლევრების ფონდებთან არდაშვების პრაქტიკაც. ხანდახან ამის მიზეზად სახელდება ფონდების რევიზია, კომპიუტერული სისტემისა და ბაზის გაუმართაობა და ა.შ. ეს ფაქტორი ხელს უშლის მკვლევრებს პროექტები დათქმულ ვადაში შეასრულონ.

### გასათვალისწინებელი დეტალები

ეროვნულობის საკითხი: რუსეთის იმპერია სხვადასხვა ქართული რეგიონის მაცხოვრებლებს აღწერდა როგორც საკუთრივ „ქართველებს“, „მეგრელებს“, „იმერლებს“ და ა.შ. სამეულის სხდომის ოქმებში აჭარაში დაბადებულ ქართველ მუსლიმებს აღრიცხავდნენ როგორც ქართველი (აჭარელი), ხოლო სხვა რეგიონებში დაბადებულებს და ბათუმში მაცხოვრებლებს როგორც - ქართველი. იდენტური გვარის ორი პიროვნებიდან ერთი იდენტიფიცირებულია როგორც ქართველი (აჭარელი), მეორე კი ქართველი. ეს რელიგიური ნიშნით განსხვავებასაც ასახავს. ხუსეინ ისმაილის ძე ზოიძეს უწერია ქართველი (აჭარელი), ხოლო კონსტანტინე ივანეს ძე ზოიძეს - ქართველი.

დაბადების თარიღი	1900	1899
აროშაბა	ქართული (აჭარელი)	ქართული
დაბადების ადგილი	საქართველო ქ. ბათუმი არბა სოფ	საქართველო ჩიხატურ სოფ.
სამსოვნარბაი ადგილი	აჭარის უსრა ქ. ბათუმი	ანაპის ქ. # 16 ქ. თბილისი
ბანათება	-	დაბალი ბანათებით
სოფ. წარმოშობა	-	-
ოჯახური მემორიალი	-	-
პარტიულობა	საქ. სსრ კვ(ბ) წევრი	უპარტიო საბნაერი

[www.stalin.historyproject.ge](http://www.stalin.historyproject.ge)

თუმცა, არის მრავალი შემთხვევა, როდესაც კვლევაში ეს ლოგიკა ირღვევა. მაგალითად: ყედირ თეარის ძე დუმბაძე, ქედის რ-ნი, ეროვნებით ქართველი, თურქეთის არმიის განყოფილების უფროსი. ამ შემთხვევაში ცხადია, რომ ყედირ თეარის ძე დუმბაძე ქართველი მუსლიმია, თუმცა მისი ეროვნულობის გრაფაში სიტყვა აჭარელი არ ფიგურირებს.

ცდომილება დაბადების თარიღებში: ვალერიანე იესეს ძე თავართქილაძის სამეულის სხდომის ოქმში დაფიქსირებულია დაბადების თარიღი - 1895. ეროვნულ არქივში დაცულ დაბადების სააქტო ჩანაწერში - 1893. ასეთი შემთხვევების თავიდან არიდება შეუძლებელი იქნება, ვინაიდან 1,050-ზე ადამიანის დაბადების სააქტო ჩანაწერების ეროვნულ არქივში გადამოწმება შესაბამისი ელექტრონული მონაცემთა ბაზის არარსებობის შემთხვევაში - შეუძლებელია.

IDFI-ის მთავარ მიზნებს წარმოადგენს აჭარაში აღმოჩენილი მასობრივი სამარხების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება, რეპრესირებულთა ისტორიების კვლევა და სახელმწიფოს მეტი ინტერესის გამოჩენა აჭარაში აღმოჩენილი სამარხების საკითხის მიმართ, რათა დროულად გადაიდგას ნაბიჯები სამარხების შესწავლისა და რეპრესირების მსხვერპლთათვის სათანადო პატივის მიცემის კუთხით.



### **კანალი 3: მუზეუმების როლი საბჭოთა პოლიტიკური რეპრესიების ხსოვნაში**

## **ციმბირის მუზეუმების მუზეუმი - ავტენტური ემოციების ადგილსამყოფელი**

**ვოიცეხ სდუჟინსკი**  
*ციმბირის მუზეუმების მუზეუმი, პოლონეთი*

ძვირფასო მეგობრებო,

მე წარმოგიდგენთ ციმბირის მემორიალურ მუზეუმს (Sybir Memorial Museum).

ამჟამად, ეს პოლონეთის აღმოსავლეთ ნაწილში უდიდესი მუზეუმია და ძალიან მნიშვნელოვანია არა მარტო ჩვენთვის, ბიალისტოკის მოსახლეობისთვის, არამედ ევროპის ამ ნაწილში მცხოვრები უამრავი ადამიანისთვისაც.

1939 წლის სექტემბერში ნაცისტურმა გერმანიამ და საბჭოთა რუსეთმა არა მხოლოდ პოლონეთის მეორე რესპუბლიკა, არამედ მთელი აღმოსავლეთ ევროპა გაიყვეს. ბალტიისპირეთის ქვეყნები და აღმოსავლეთ პოლონეთი, მათ შორის ბიალისტოკი, საბჭოთა მმართველობაში აღმოჩნდა.



*ვოიცეხ სდუჟინსკი*

როგორც წესი, მეორე მსოფლიო ომის პერიოდის გერმანული ბანაკები კარგად არის ცნობილი, თუმცა ძალიან ცოტა ვიცით რუსულ ბანაკზე - გულაგზე. ციმბირის მემორიალური მუზეუმი სწორედ იმ ადამიანების შესახებ მოგვითხრობს, რომლებიც შორეულ აღმოსავლეთში, ციმბირში, იტანჯებოდნენ.

ბიალისტოკი ქალაქია, რომელმაც საბჭოთა ოკუპაციის წლებში (1939-1941) საშინელი ტანჯვა გამოიარა - თითქმის ყოველი მეხუთე მოქალაქე ციმბირში გადაასახლეს. შესაბამისად, ბიალისტოკი ჩვენი ათასობით მოქალაქის ტანჯვის ხსოვნის უკვდავსაყოფად შესაფერისი ადგილია.

მუზეუმი ვეგლოვას ქუჩაზე, რკინიგზის სადგურ Bialystok Fabryczny-სთან ახლოს მდებარეობს. სწორედ ამ სადგურიდან იგზავნებოდა პოლონეთის მოქალაქეებით სავსე მატარებლები ციმბირისკენ. რაც შეეხება თავად მუზეუმის შენობას, აქ მრავალ სიმბოლურ ნივთს ვხვდებით. აქ არის პოლონელი დედის მონუმენტი, რომელიც ციმბირში შვილებთან ერთად იტანჯება. შესასვლელს სიმბოლურად ისტორიული რკინიგზისა და პლატფორმის ფორმა აქვს, რუსული ტაიგის სიმბოლოდ კი ფოლადის ხეებია წარმოდგენილი.



*ციმბირის მემორიალური მუზეუმი*

თუმცა, რასაკვირველია, ჩვენი მუზეუმის უმთავრესი ნაწილი მისი გამოფენაა. ეს ახალი ტიპის, ნარატიული მუზეუმია. გამოფენაზე შეხვდებით ტექსტებს, კადრებსა და სხვა ექსპონატებს, რომლებიც ყველა შეგრძნებაზე ზემოქმედებს.

მაგალითად, პირველ სართულზე ჩასვლისას ტემპერატურა იკლებს, რაც პოლონეთის დატოვებისა და ცივ ციმბირში გადასახლების ნიშანია.

ჩვენ წარმოგიდგენთ მინიმალიზმისა და ემოციური ექსპონატების სინთეზს. მაგალითად, აქ შეგიძლიათ მოისმინოთ ავთენტური ხმოვანი ჩანაწერები, ისტორიები იმ ადამიანებისა, რომლებიც ციმბირში გადაასახლეს. მათი ხმის გაგონება ატმოსფეროში უფრო ჩართულს გვხდის. ატმოსფეროში, რომელიც სავსეა დანაშაულით, ტკივილითა და გადასახლებულების ტრაგიკული ბედისწერით - ეს კი გვაგრძნობინებს, რომ ჩვენც მათი მოგზაურობის ნაწილი ვართ.

ყველა ეს ასპექტი ქმნის ნარატიულ მუზეუმს, რომლის მიზანიც ემოციების აღწერა და გაზიარებაა.

მთელი გამოფენა ორ სექციადაა დაყოფილი: პირველ სართულზე აღწერილია ცხოვრება ომამდე, ომისა და გადასახლებების დასაწყისი და საბჭოთა სისტემა. მეორე სექცია, რომელიც მეორე სართულზე მდებარეობს, პოლონეთის დატოვებასა და ციმბირში გადასახლებას აღწერს.

პირველი სივრცე პირველ სართულზე არის ადგილი, სადაც ვხსნით განსხვავებას პოლონურ ენაში სიტყვა Siberia-სა და Sybir-ს შორის. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან პოლონურ ენაში ამ ორ სიტყვას აბსოლუტურად განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. Siberia - ეს მხოლოდ გეოგრაფიულ ტერმინია, ხოლო Sybir აღწერს უშუალოდ იმ ადგილებს, სადაც ჩვენი წინაპრები გადაასახლეს. შესაბამისად, ეს ტერმინი მოიცავს ციმბირს, ყაზახეთს, უზბეკეთსა და რუსეთის ევროპული ნაწილის ჩრდილოეთს. ჩვენთვის, მათთვის ვინც ევროპის ამ ნაწილში ცხოვრობს, ციმბირი არ არის უბრალოდ ადგილი შორეულ აღმოსავლეთში, ის ამავედროულად ტანჯვის ტერიტორიაა.

მეორე სივრცე ეძღვნება დამოუკიდებელ პოლონეთს და წარმოგიდგენს პირველ მსოფლიო ომსა და ქვეყანას, რომელმაც 123-წლიანი უცხოური ოკუპაციის შემდეგ დამოუკიდებლობა მოიპოვა. აქ პოლონეთი წარმოდგენილია მულტინაციონალურ და მულტიკულტურულ სივრცედ, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთში, პოლონეთის ყოფილ ტერიტორიებზე, აღმოსავლეთ საზღვრებთან (კრესი).

ამ სივრცის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი რამდენიმე სტელაა, რომელიც ციმბირში გადასახლებულთა სიმბოლოა. ცარიელი სტელა დაკარგულ, უსახელო ადამიანებს სიმბოლიზირებს; სხვებზე ვხვდებით ფოტოებსა და სახელებს. ზოგ მათგანზე კი ხმოვანი ჩანაწერებიც გვხვდება, რომელთა საშუალებითაც ამ ადამიანების ისტორიებს ვიგებთ.

შემდეგი სივრცე - „ომი“, წარმოადგენს საბჭოთა კავშირსა და ნაცისტურ გერმანიას შორის დადებული საიდუმლო პაქტით პოლონეთის რეკონსტრუქციის დასასრულს. ორმა აგრესორმა პოლონური ტერიტორიები გაიყო.

მეოთხე სივრცის დასახელებაა „კრიმინალური სისტემა“. აქ შეგვიძლია ვნახოთ, თუ როგორ დაიწყო კომუნისტური რევოლუცია რუსეთში. ლენინის სიკვდილის შემდეგ, ძალაუფლება იოსებ სტალინმა გადაიბარა და ძალადობითა და ტერორით მილიონობით ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

პირველ სართულზე უკანასკნელი სივრცე „გადასახლებებია“. აქ ოთხი ფართომასშტაბიანი გადასახლებაა წარმოდგენილი. ასობით ადამიანი ციმბირში, ყაზახეთსა და რუსეთის ჩრდილოეთში გაიგზავნა. პოლონელებთან ერთად აქ ებრაელები, ბელარუსები, უკრაინელები და სხვა არაერთი უმცირესობის წარმომადგენელი მოხვდნენ.

მეორე სართულიც, პირველის მსგავსად, შედგება განსხვავებული სივრცეებისგან, რომლებიც პოლონეთის დატოვებასა და ციმბირში წასვლას აღწერს. აქ ტემპერატურა იკლებს და ექსპოზიციაში თეთრი ფერი იმატებს, რაც ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ციმბირში ვართ.

სივრცეში, სახელწოდებით „ცარების ციმბირი“ ჩვენ ვცდილობთ ვაჩვენოთ, რომ საბჭოთა გადასახლებები ჩვენს ისტორიაში პირველი არ ყოფილა - მსგავსი რამ ძალიან დიდი ხნის განმავლობაში, მე-18 და მე-19 საუკუნეებშიც ხდებოდა. შემდეგ სივრცეში, სახელწოდებით „საბჭოთა ჯოჯოხეთში“, შეგვიძლია ვნახოთ, როგორი რთული იყო ცხოვრება ციმბირსა და ყაზახეთში. ხანგრძლივი მგზავრობა, რთული კლიმატი, დაავადებები, შიმშილი და მძიმე შრომა - ეს ყველაფერი



ციმბირის მემორიალური მუზეუმი

ციმბირის ყოველდღიურ რეალობას ქმნიდა.

შემდეგ სივრცეში, სახელწოდებით „საბჭოთა ჯოჯოხეთში“, შეგვიძლია ვნახოთ, როგორი რთული იყო ცხოვრება ციმბირსა და ყაზახეთში. ხანგრძლივი მგზავრობა, რთული კლიმატი, დაავადებები, შიმშილი და მძიმე შრომა - ეს ყველაფერი ციმბირის ყოველდღიურ რეალობას ქმნიდა.

ყველა ეს გამოცდილება და ემოცია გამოფენის ცენტრში მდებარე სკულპტურით, „ყინულის ხალხით“ არის გამოხატული. ის 15 ქანდაკებისგან შედგება და გაციმბირებული პოლონელების ხსოვნას ასახავს.

სივრცე „გულაგის სისტემა“ აჩვენებს, რომ გადასახლება რეპრესიის ერთადერთი ფორმა არ იყო და ადამიანები გულაგებშიც იგზავნებოდნენ. ომის ტყვეებსა და ანტისაბჭოთა საქმიანობაში დადანაშაულებულ ადამიანებს მთელ საკუთრებას ართმევდნენ, აშორებდნენ ოჯახს და გულაგში მონურად ამუშავებდნენ.

სივრცეში, სახელწოდებით „გამოსავალი არ არსებობს“, წარმოდგენილია ციმბირისათვის თავის დაღწევის ერთადერთი გზა - საბჭოთა კავშირში შექმნილი ორი პოლონური არმიისაგან ერთ-ერთში განწევრიანება. პირველი იყო მართლაც დამოუკიდებელი პოლონური არმია გენერალი ანდერსის მეთაურობით, მეორე კი, პოლონეთის კომუნისტური არმია, რომელსაც სათავეში გენერალი ბერლინგი ედგა.

ომის დამთავრების შემდეგ, გადასახლებულებს არჩევანი უნდა გაეკეთებინათ - დაბრუნებულიყვნენ სახლში, რომელიც უკვე საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მდებარეობდა, ან წასულიყვნენ პოლონეთში, რომელსაც კომუნისტები მართავდნენ და იქ ახალი ცხოვრება დაეწყათ.

სანამ გამოფენას დავტოვებთ, კიდევ ერთ ინსტალაციას ვხვდებით. აქ რამდენიმე დიდ ეკრანზე ციმბირში გადასახლებულებისა და მათი ოჯახის წევრების სახეებს ვხედავთ, რითაც ვიზიტი სრულდება.

## **მოლდოვაში დიდი ტერორის (1937-1938) ისტორიისა და ხსოვნის მუზეუმად გარდაქმნა (“მუზეიფიკაცია”)**

**დუდმიდა დ. კოჟოკაიუ**

*მოლდოვის ისტორიის ეხოვნური მუზეუმი, მოლდოვის ხესპუბლიკა*

მსურს, თქვენი ყურადღება მივაპყრო პოსტსაბჭოთა საზოგადოებისათვის ჯერ ისევ რთულ საკითხს: მოლდოვის რესპუბლიკაში დასახულ კურსს მე-20 საუკუნის ტრავმული ისტორიისა და მეხსიერებისათვის ფარდის ახდის მიმართულებით.

1991 წლის შემდეგ, სამუზეუმო ინსტიტუცია ფართოდ ჩაერთო მარგინალიზებულთა, საბჭოთა ისტორიოგრაფიისა და სამუზეუმო დისკურსისგან დაგმობილთა ინტერესების დაცვის, მათი წარმოდგენის საქმეში. მოლდოვური საზოგადოება დიდ ძალისხმევას იჩენს 1939 წლის 23 აგვისტოს შემდეგ მოლდოვის ასრ-ში მიმდინარე საბჭოთა ოკუპაციის (გადასახლებების, შიმშილობის, დაპატიმრებების, დახვრეტების) გასაანალიზებლად და კრიტიკული დასკვნების გამოსატანად. მიუხედავად ამისა, მოლდოვის რესპუბლიკის მუზეუმების ფონდებში უფრო ადრინდელი, მოლდავეთის ასრ-ში მიმდინარე დიდი ტერორის (1937-1938) ამსახველი არტეფაქტების მკვეთრი დეფიციტია. 1991 წლის შემდეგ, ამ ისტორიულ პერიოდს მხოლოდ კომუნისტური პროპაგანდის არტეფაქტები ფარავს, რომლებსაც მოლდავეთის ასრ-ში დიდი ტერორის დანაშაულების ამსახველი კვალი არ აქვს.



*დუდმიდა დ. კოჟოკაიუ*



მას შემდეგ, რაც მთავრობის გადაწყვეტილებით, 6 ივლისი მოლდოვაში **სტალინიზმის მსხვერპლთა ხსოვნის დღედ** გამოცხადდა და კიშინიოვში, მოლდოვის ისტორიის ეროვნული მუზეუმის ერთ-ერთ განშტოებად **გადასახლებებისა და პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა მუზეუმი** გაიხსნა, მისი პირველივე მუდმივი გამოფენა „საბჭოთა მოლდოვა: მითებსა და გულაგს შორის“ (კურატორი პროფ. ელენა პოსტიკე) ამ პერიოდს ასახავდა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ აქ შინსახკომის დოკუმენტებიდან მოპოვებულ ფოტოებსა და შინსახკომის ოფიცრის კაბინეტის რეკონსტრუქციის ნახვა შეგვეძლო, არ იყო წარმოდგენილი დიდი ტერორის პერიოდში ჩადენილი დანაშაულების, ტირასპოლის მასობრივი დახვრეტების ამსახველი არტეფაქტები. ამ კონტექსტში უნდა აღინიშნოს, რომ მოლდოვის რესპუბლიკის არცერთ სხვა მუზეუმს არ წარმოუდგენია დიდი ტერორისა (1937-1938) და გადასახლებების (1930-1931) ამსახველი ავთენტური ნიმუშები, ყველა მათგანი იმ პერიოდის საბჭოთა სტრუქტურების არქივებიდან მოპოვებული ინფორმაციით შემოიფარგლა.

კიშინიოვში გადასახლებებისა და პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა მუზეუმის გახსნა იყო პირველი ნაბიჯი, რომელმაც განსაზღვრა მუზეოლოგების, მეცნიერებისა და სპეციალისტების ჩართვა მოლდოვის სსრ-ში ტოტალიტარული რეჟიმის მსხვერპლთა ისტორიის აღდგენის, დოკუმენტაციისა და მუზეოგრაფიული ღირებულების ზრდის პროცესში. ამ დიდ პროცესს მხარს მხარს უჭერდნენ ლიეტუვის რესპუბლიკა და რუმინეთიც. რაც შეეხება ანალოგიურ პროცესს მოლდავეთის ასსრ-ის შემთხვევაში, სამეცნიერო დოკუმენტაციისა და საველე მუშაობის პროცესი ჩვენი კვლევითი ჯგუფებისგან მეტ ძალისხმევას მოითხოვდა, რადგან დნესტრის მარცხენა სანაპიროს ტირასპოლის სეპარატისტული ადმინისტრაცია აკონტროლებს. ამ შემთხვევაში, პირველი ნაბიჯი 2015 წელს, პირადი კავშირებით გადაიდგა, რის შედეგადაც კავშირი დავამყარეთ ტირასპოლის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ასოციაციასთან. შესაბამისად, 2016 წელს მოგვეცა საველე სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობა დიდი ტერორის მსხვერპლებთან და პროცესის თვითმხილველებთან ამ რეგიონიდან. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა, რომელიც მოლდოვის ისტორიის ეროვნული მუზეუმის მემკვიდრეობაში შევიდა, ანტონ ლაშევიჩის ოჯახს ეხება, რომელსაც 1938 წლის 3 ოქტომბერს მოლდავეთის ასსრ-ის №11 სამეულის გადაწყვეტილებით, დახვრეტა მიესაჯა. შეგროვებული არტეფაქტები (ზეპირი მონათხრობი, პირადი ნივთები, ოჯახის ფოტოები და დოკუმენტები) მოძრავი გამოფენის „მტკიცებულებები გულაგიდან“ (კურატორები: პროფ. ვირგილიუ ბირლადიანუ, პროფ. ლუდმილა დ. კოჟოკარუ, პროფ. ელენა პოსტიკე) ფარგლებში გამოიფინა. ანტონ ლაშევიჩის შვილის, ლარისა ლაშევიჩის მონათხრობი კი გამოქვეყნდა წიგნში

„მეხსიერების არქივები“ (რედაქტორები: პროფ. ლუდმილა დ. კოჭოკარუ; პროფ. ელენა პოსტიკე, პროფ. ლიდია პედურიაკი).

მოლდავეთის ასსრ-ში დიდი ტერორის ამსახველი არტეფაქტების მოპოვებისთვის გადადგმული მომდევნო ნაბიჯი 2020 წლის შემდეგ დნესტრისპირეთის ადგილობრივ მოსახლეობაში მზარდი ინტერესითა და ნდობით გამოიხატა. დნესტრის მარცხენა სანაპიროს მაცხოვრებლები მოლდოვის ისტორიის ეროვნულ მუზეუმს უკავშირდებოდნენ და უზიარებდნენ პირად და ოჯახის იმ წევრების ისტორიებს, მოგონებებსა და არტეფაქტებს, რომელთაც 1930-იან წლებში საბჭოთა რეჟიმის ტერორი დაატყდათ თავს. ერთ-ერთი თვალსაჩინო შემთხვევა ტიხონ დრიგას ოჯახს ეხება, რომელსაც 1937 წლის 25 აგვისტოს მოლდავეთის ასსრ-ის სამეულმა დახვრეტა მიუსაჯა. მისი ძმისშვილის, შტეფან დრიგას მონათხრობი, ისევე როგორც 1930-1931 წლების მოლდავეთის ასსრ-ში მიმდინარე გადასახლებების შესახებ ოჯახში დაცული არტეფაქტები, 2023 წლის დასაწყისში მოლდოვის ისტორიის ეროვნულ მუზეუმს გადაეცა და მუდმივი გამოფენის ნაწილია. უნდა აღინიშნოს მასშედიის ღიაობაც ამ ინფორმაციის ფართო აუდიტორიისათვის გაზიარების ნაწილში.

მესამე ნაბიჯი ტირასპოლელ არქეოლოგებთან ჩვენი ინტერაქციის შედეგად გადაიდგა. ადგილობრივი უნივერსიტეტის არქეოლოგიის ლაბორატორიის გუნდთან თანამშრომლობამ ტირასპოლში დიდი ტერორის მასობრივი დახვრეტების ადგილების დოკუმენტირება გახადა შესაძლებელი. 2020-2022 წლებში ნმ. ვლადიმირის ბასტიონში ჩვენი ვიზიტის შედეგად შეიქმნა მოლდავეთის ასსრ-ში დიდი ტერორის პერიოდის მასობრივი სამარხებისა და პირადი ნივთების ფოტო-დოკუმენტაცია. ბასტიონის ტერიტორიაზე ამ დროისათვის აღმოჩენილია სამეულის განკარგულებით დახვრეტილი 4,600-ზე მეტი ადამიანი. ზოგ შემთხვევაში, არაერთ სამარხში ჩვენმა კოლეგა არქეოლოგებმა პირად ნივთებზე და საბუთებზე დაყრდნობით კონკრეტული სიების ამოცნობა შეძლეს. მათ შორის ამოიცნეს ის ადამიანებიც, რომელთა შთამომავლებთანაც იქამდე ვთანამშრომლობდით. მაგალითად, **ანდრეი ვაისის** შემთხვევაში, არქეოლოგიურ გამოკვლევებთან ერთად, კრიმინალური გამოძიებაც ჩატარდა. ამის შემდეგ, არტეფაქტები სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე დაკრძალეს. პროცესმა მოკრძალებულად ჩაიარა, როგორც ეს ტირასპოლის სეპარატისტული ადმინისტრაციის იდეოლოგიას შეესაბამებოდა.

შესაბამისად, ამ მომენტში მოლდოვის ისტორიის ეროვნულ მუზეუმს ვიზიტორთათვის მუზეოგრაფიული დისკურსის წარსადგენად, შეუძლია განსხვავებული წყაროები მოიხმოს: საარქივო დოკუმენტები, ზეპირი ინტერვიუები, არქეოლოგიური არტეფაქტები.



უნდა აღინიშნოს, რომ საკითხის კვლევასა და დოკუმენტაციას ძალიან ართულებს ტირასპოლის სეპარატისტული რეჟიმის წარმომადგენლების ნოსტალგიური დამოკიდებულება საბჭოთა კავშირის მიმართ. ამის გათვალისწინებით, გვსურს უღრმესი მადლობა გადავუხადოთ ტირასპოლელი არქეოლოგების ჯგუფს, იგორ ცეტვერიკოვის ხელმძღვანელობით, რომელმაც მოლდოვის ისტორიის ნაციონალურ მუზეუმში დიდ ტერორთან დაკავშირებული არაერთი არტეფაქტის გადმოტანა გახადა შესაძლებელი. კიშინიოველი და ტირასპოლელი სპეციალისტების კოოპერაცია ისტორიული ცოდნის გაღრმავებისათვის მომავალშიც გაგრძელდება. საზოგადოებას აქვს უფლება, იცნობდეს ისტორიულ ჭეშმარიტებას მოლდავეთის ასსრ-ში დიდი ტერორის მასობრივი რეპრესიების შესახებ.

## **პანელი 4:**

# **როგორ წავახალისოთ ცოდნა და როგორ გავიგოთ მეტი საბჭოთა რეპრესიების შესახებ**

## **Gulag.cz: ახალი ტექნოლოგიები, როგორც საბჭოთა რეპრესიების შესახებ ცოდნის ამაღლების ინსტრუმენტი**

**შგეფან ჩეხნოუშეკი**

ასოციაცია Gulag.cz, “საეხთაშოხისო მემოხიადი”, ჩეხეთი

დღეს მსურს წარმოგიდგინოთ საბჭოთა რეპრესიების ისტორია ჩეხთა, ჩეხოსლოვაკიის მცხოვრებთა წინააღმდეგ, მოგიყვებ ამ ისტორიის ხსოვნაზე ჩეხეთში და გაგაცნოთ ჩვენი ორგანიზაცია - თუ როგორ ვმუშაობთ ამ თემაზე.

მე წარმოვადგენ ჩეხურ არაკომერციულ ორგანიზაცია Gulag.cz-ს, რომლის საქმიანობაც აერთიანებს ყოფილი გულაგის ბანაკებზე არქეოლოგიური კვლევის ჩატარებას, ჩეხთა წინააღმდეგ საბჭოთა ისტორიის გამოკვლევას, ახალ ტექნოლოგიებთან მუშაობას, განათლებასა და აქტივიზმს. ჩვენი მთავარი მიზანი, ამ თემების მიმართ ჩეხეთსა და მის გარეთ საზოგადოებაში რაც შეიძლება დიდი ინტერესის გამოწვევაა.

ჩვენი ორგანიზაცია 2009 წელს შეიქმნა. მას შემდეგ ჩვენ არაერთი ექსპედიცია ჩავატარეთ მიტოვებულ გულაგებში ციმბირსა და ყაზახეთში, სადაც აღვწერდით მიტოვებულ ბანაკებს და ვიღებდით პანორამულ ფოტოებს, ვაკეთებდით სამგანზომილებიან მოდელებს, შემდეგ კი ყველაფერს ინტერნეტში ვტვირთავდით.

ჩვენ ყოველთვის აქტიურად ვთანამშრომლობდით საზოგადოება მემორიალთან. ჩეხეთში განვახორციელეთ მათი პროექტები „სახელების დაბრუნება“ და „უკანასკნელი მისამართი“. 2016 წელს მემორიალმა შემოგვთავაზა შეგვექმნა ჩეხეთის ფილიალი, რაც გავაკეთეთ კიდევ. მას შემდეგ არაერთ პროექტს ერთად ვახორციელებთ. გამოფენები, დებატები, ახლა კი მემორიალის მხარდამჭერი განსხვავებული აქციები, რადგან ორგანიზაცია ძალიან რთულ მდგომარეობაში ჩავარდა. მემორიალის გარეშე ჩვენ არ გვექნებოდა

ინფორმაციაზე წვდომა, ვერ ჩატარდებოდა ექსპედიციები, ამიტომ ვცდილობთ, როგორც შეგვიძლია დავეხმაროთ ჩვენს კოლეგებს და შევინარჩუნოთ მათი პროექტები და საქმიანობა, განსაკუთრებით უკანასკნელ 1.5 წელიწადში, როცა არაერთ თანამშრომელს მოუწია დაეტოვებინა რუსეთი და ჩეხეთში ჩამოსულიყო.



შგეფან ჩეხნოუშევი

გარდა ამისა, ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთ ნაწილს ჩეხეთში საბჭოთა რეპრესიების კვლევა წარმოადგენს. ეს თემა ჩეხეთში ნაკლებად პოპულარულია, რადგან აქ ყურადღება, ძირითადად, ჩეხოსლოვაკიის ადგილობრივ კომუნისტურ რეჟიმზე მახვილდება, რომელიც 1948-1989 წლებში არსებობდა.

ჩვენ გვაქვს ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტიც, რომელსაც ტოტალიტარული რეჟიმების კვლევის ინსტიტუტი ეწოდება. ასევე, შექმნილია უშიშროების სამსახურების არქივიც, სადაც ჩეხოსლოვაკიის კგბ-ის საქმეები ინახება. ეს თემა

კარგად არის დამუშავებული და შესწავლილი. ათობით ისტორიკოსი ასობით წიგნსა და სტატიას წერს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ რეჟიმზე და ფუნქციონირებს სხვადასხვა არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც საგანმანათლებლო პროექტებს ახორციელებს და აგროვებს ზეპირ ინფორმაციას. ვიტყვოდი, რომ ჩვენი კომუნისტური რეჟიმის კვალი, რომლის შექმნასაც სსრკ-მა შეუწყო ხელი, საკმაოდ მაღალ დონეზეა შესწავლილი.

თუმცა, ყურადღების მიღმა დარჩა საკუთრივ საბჭოთა კავშირში ჩეხთა რეპრესიების თემა. პირველ რიგში, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ჩეხთა საკმაოდ დიდი დიასპორა არსებობდა, რომელიც აქ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში, მეფის რუსეთის დროს მოვიდა. აღწერების მიხედვით, 1930-იან წლებში კავშირის ტერიტორიაზე, დაახლოებით, 30,000 ჩეხი ცხოვრობდა. ისინი, რა თქმა უნდა, რეპრესიის სხვადასხვანაირი მეთოდების მსხვერპლნი გახდნენ, ისევე როგორც სსრკ-ის ნებისმიერი ხალხი. იყო კიდევ ერთი ჯგუფი, ენთუზიასტები, კომუნისტები, მეშახტეები, რომლებმაც ჩეხოსლოვაკიაში დაკარგეს სამსახური და გადაწყვიტეს გადასულიყვნენ სსრკ-ში, რათა „დედამინაზე არსებული სამოთხის“ მშენებლობაში მიეღოთ მონაწილეობა.

ეს ადამიანები სსრკ-ში დიდ ჯგუფებად გადავიდნენ და იქ კოოპერატივები შექმნეს.

რამდენიმე წლის წინ ჩვენ 8-ნუთიანი ვიდეორგოლების სერია შევქმენით, რომელსაც „ჩეხები და დიდი ტერორი“ ეწოდება. ამაში ძალიან დაგვეხმარნენ რუსეთის საზოგადოება მემორიალი, სარატოველი მოხალისეები, რომლებმაც არქივებამდე მიაღწიეს. ასევე, ტომსკის მემორიალისგან მივიღეთ ძალიან საინტერესო [მოგონებები](#) იმ ჩეხების შთამომავლებისა, რომლებიც ციმბირში გადაასახლეს.

იყო კიდევ ერთი ჯგუფი, რომელიც 1939-1940 წლებში ჩეხოსლოვაკიიდან ნაციზმსა და უნგრულ ფაშიზმს გამოექცა. ძირითადად, ეს ადამიანები დღევანდელი ზაკარპატიის ოლქიდან იყვნენ, რომელიც მაშინ ომამდელი ჩეხოსლოვაკიის ნაწილი იყო. ვსაუბრობთ, დაახლოებით, 10,000 ადამიანზე, რომელიც საზღვრის უკანონო კვეთისთვის დააკავეს და გულაგებში გაგზავნეს. ომის შემდეგ, როცა წითელმა არმიამ ჩეხოსლოვაკიის ტერიტორია გაათავისუფლა, მხოლოდ დღევანდელი სლოვაკეთის ტერიტორიიდან 10,000 მოქალაქე გადაასახლეს, რომელთა შორისაც იყვნენ სლოვაკები, უნგრელები და გერმანელები. რაც შეეხება ჩეხეთის ტერიტორიას, აქედან რამდენიმე ასეული რუსი და უკრაინელი გადაასახლეს.

რეპრესიების ხსენებული მეთოდები ჩეხეთის ეროვნული მესხიერების ნაწილი დღემდე არ არის. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ეს რეპრესიები ისეთი მასობრივი არ ყოფილა, როგორც, მაგალითად, პოლონეთის შემთხვევაში.

ცოტა ხნის წინ, ჩვენ ჩავატარეთ ჩეხური სახელმძღვანელოების კვლევა და აღმოვაჩინეთ, რომ არცერთ სახელმძღვანელოში საბჭოთა რეპრესიებში ჩეხურ კვალზე ერთი სიტყვაც კი არ წერია. ამჟამად, გერმანულ, პოლონულ და სლოვაკ პარტნიორებთან ერთად, ვამზადებთ საგანმანათლებლო პროექტ „ევროპულ მესხიერებას გულაგზე“, რომელიც საბჭოთა რეპრესიებს შეეხება.

კვლევა ჩამოთვლილ ქვეყნებშიც ჩავატარეთ და აღმოჩნდა, რომ სლოვაკეთის შემთხვევაშიც სიტუაცია ანალოგიურია. რაც შეეხება პოლონეთს, აქ პირიქითაა, რადგან ეს მათი ისტორიის ნაწილია, ისინი გახდნენ როგორც კომუნისტური, ისე ნაციისტური რეჟიმის მსხვერპლები. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირში ასობით ათასი გერმანელი რეპრესირებული იყო, გერმანელთათვის მიუღებელია საკუთარი თავის რომელიმე რეჟიმის მსხვერპლებად მოხსენიება. პირიქით, ისინი ბოდიშს იხდიან იმის გამო, რასაც ჰოლოკოსტისა და მეორე მსოფლიო ომის პერიოდში აკეთებდნენ.

ასე რომ, ვეძებთ ჩვენი ქვეყნებისათვის საერთო თანამედროვე მიდგომებს და, როგორც ჩანს, საბჭოთა რეპრესიების ისტორია რაღაც კუთხით გვაერთიანებს. პროექტის [ბმული](#).

და კომუნისტურ იდეოლოგიასთან დაპირისპირებული ადამიანები, ძირითადად, „პერმის სამკუთხედის“ ბანაკებში იგზავნებოდნენ - Perm-35, Perm-36 და Perm-37. აქ იყო ბანაკები ადამიანის უფლებათა აქტივისტებისათვის, დისიდენტთათვის და ეროვნული რესპუბლიკების დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთათვის. ამ ადამიანებს ბრალი ედებოდათ ანტისაბჭოთა პროპაგანდაში, ლალატსა და სხვა განსაკუთრებით საშიშ ანტისახელმწიფოებრივ დანაშაულებში.

პატიმრობის სამარცხვინო პირობები, მუდმივი წამება შიმშილითა და სიცივით, მცველთა უსამართლობა და საჯარიმო საკანში ხანგრძლივი გამომწყვდევა - სისტემა ყველაფერს აკეთებდა პატიმრების გასატეხად. 80-იანი წლების პირველ ნახევარში Perm-36-ის 4 პატიმარი დაიღუპა. ყველა მათგანი უკრაინის ჰელსინკის ჯგუფის უფლებადამცველები იყვნენ: ოლეკსა ტიხნი, ვალერი მარჩენკო, ვასილ სტუსი და იური ლიტვინი. ბანაკის პატიმართა შორის იყო არაერთი ქართველიც: მერაბ კოსტავა, ვახტანგ ძაბირაძე, ვახტანგ შონია და სხვები - ჯამში 14 პიროვნება.



იუღია ბაღაბანოვა

პერმის პოლიტიკური ბანაკების პატიმართა უმრავლესობამ თავიანთი ბრძოლა ტყვეობაშიც განაგრძო. მიუხედავად იმისა, რომ იზოლირებულები იყვნენ, ხშირად კი ჯანმრთელობითა და სიცოცხლითაც კი რისკავდნენ, რათა მათი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია გარესამყაროსათვის მიეწვდინათ. სწორედ ამ ცნობებზე დაყრდნობით დაიწყო ბრძოლა მთელს მსოფლიოში, რათა სსრკ-ში ადამიანის უფლებები დაცული ყოფილიყო. სწორედ ამ ადამიანებმა აიძულეს გორბაჩოვი, რომ შეეწყვიტა პოლიტიკური რეპრესიები და პოლიტპატიმრები 90-იანი წლების დასაწყისში გაეთავისუფლებინა. ქვეყანაში თავისუფლების ახალი ხანა დაიწყო, ყოფილი პოლიტიკური ბანაკი Perm-36 კი დავიწყებას მიეცა.

1992 წელს, „პერმის მემორიალთან“ დაკავშირებულმა აქტივისტებმა ბანაკის ნანგრევები იპოვეს. მათ მოუვიდათ იდეა, რომ შენობები და ბანაკის კედლები აღედგინათ და აქ პოლიტიკური რეპრესიების ისტორიის მუზეუმი გაეხსნათ. 1995 წლის 5 სექტემბერს ყოფილ ბანაკ Perm-36-ის ტერიტორიაზე ამავე სახელობის მემორიალური მუზეუმი გაიხსნა.

## HISTORY OF THE PERM-36 MUSEUM

Barracks of the special regime section before and after restoration: in the early 90s and early 2000s



Excursions in the museum, 90s



GULAG-PERM36.ORG

პოლიტიკური რეპრესიების ისტორიის მუზეუმი Perm-36

## **მუზეუმ PERM-36-ის საგანმანათლებლო პრაქტიკები**

### **1. ჩართულობა. აუდიტორია: მოსწავლეები, მოხალისეები, დონორები**

მემორიალური მუზეუმი Perm-36 არ ყოფილა სახელმწიფო მუზეუმი, ის დიდი საზოგადოებრივი პროექტი იყო. ყოფილი ბანაკის შენობების აღდგენასა და მათ მუზეიფიცირებას 20 წელი დასჭირდა და დაფინანსება საკმარისი არასდროს ყოფილა. ძალიან ბევრი რამე გააკეთეს მოხალისეებმაც: მოხალისეთა ახალგაზრდულ ბანაკებში ათას ხუთასზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა! თითოეული მათგანი შეეხო ქვეყნის ისტორიას არა მხოლოდ სულითა და გონებით, არამედ ფიზიკურად, სხეულით. ასეულობით ადამიანმა, ათობით კომპანიამ და ორგანიზაციამ გაუნია ფინანსური დახმარება მუზეუმს, რადგან საზოგადოებას ეს სჭირდებოდა. ამის შემდეგ ორივემ, მოხალისეებმა და ფილანტროპებმა გადასცეს გამოცდილება საკუთარი ქვეყნის საშინელი ისტორიის შესახებ თავიანთი ახლობლებისა და მეგობრების წრეებს. ამდენი განსხვავებული ადამიანის ჩართულობა მუზეუმისათვის სამუზეუმო კომპლექსის შექმნაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო.

### **2. გავრცელება. აუდიტორია: სკოლის მოსწავლეები, ადგილობრივი საზოგადოებები**

20 წლის განმავლობაში მუზეუმის მობილურმა გამოფენამ პერმის რეგიონის თითქმის ყველა ქალაქი და სკოლა მოიარა, ესტუმრა სასოფლო ბიბლიოთეკებსა და კულტურულ ცენტრებს. სოფლებსა და შორეულ ქალაქებში ინტერნეტის არქონის პირობებში, მუზეუმის თანამშრომელთა შრომა და პროაქტიული მიდგომა ძალიან მნიშვნელოვანი იყო. დროთა განმავლობაში მუზეუმმა თავისი მეთოდოლოგიური ცენტრიც გახსნა. თანამშრომლები არ იყვნენ დაკავებული მხოლოდ თავიანთი გამოფენის ტურების მოწყობით. სკოლებში ისინი სპეციალიზებულ გაკვეთილებს ატარებდნენ სსრკ-ის რეპრესიული და პოლიტიკური ისტორიის შესახებ მაღალი კლასების მოსწავლეებისთვის. ქალაქებისა და სოფლების კლუბებში ისინი ატარებდნენ საჭარო ლექციებს, ესაუბრებოდნენ მაცხოვრებლებს, აჩვენებდნენ მათ დოკუმენტებს, აგროვებდნენ ექსპონატებსა და ვერბალურ ისტორიას მუზეუმის კოლექციისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ მუზეუმის განვითარებასთან ერთად გაძლიერდა მისი საერთაშორისო კავშირებიც. Perm-36-ის მობილური გამოფენები მოეწყო არამხოლოდ რუსეთში, არამედ უკრაინაში, ლიეტუვაში, იტალიაში, საფრანგეთსა და აშშ-ში.

### **3. პროფესიონალების მომზადება. აუდიტორია: განათლებისა და მუზეუმის პროფესიონალები**

Perm-36-ში სპეციალური პროგრამები პროფესიონალებით დაკომპლექტებული აუდიტორიისთვისაც შეიქმნა. ერთ-ერთი ასეთი აუდიტორია დაკომპლექტებული იყო ისტორიის, სამართლის, სოციოლოგიისა და ლიტერატურის მასწავლებლებისგან. მუზეუმი მათთვის მუდმივად ატარებდა სემინარებს, რომლებშიც „მემორიალის“ ლიდერები, ქვეყნის ცნობილი მეცნიერები და ადამიანის უფლებათა აქტივისტები მონაწილეობდნენ. ეს სკოლა ათასობით მასწავლებელმა გაიარა.

90-იანი წლების მეორე ნახევარში, მუზეუმმა პარტნიორობა გააფორმა პერმის რეგიონის განათლების განყოფილებასთან, განათლების მუშაკთა მოწინავე მომზადების ინსტიტუტთან და პერმის ორი უდიდესი უნივერსიტეტის ისტორიის განყოფილებებთან. მათი თანამონაწილეობით მუზეუმმა შეიმუშავა და გაავრცელა საგანმანათლებლო მასალები მასწავლებელთა შრის. ამრიგად, საშუალო სკოლების საგანმანათლებლო პროცესში სსრკ-ის ტოტალიტარული ისტორიის თემის ნახალისება დაიწყო.

აქვე იყო სპეციალიზებული ღონისძიებები მუზეუმის თანამშრომლებისთვისაც: მუზეოლოგიის საზაფხულო და ზამთრის სკოლები. ერთ-ერთი მათგანი იყო საერთაშორისოც და საკითხის ირგვლივ სპეციალისტები მთელი მსოფლიოდან შეკრიბნენ. ეს იყო გამოცდილების გაცვლა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა ვისაუბროთ სამუზეუმო გამოფენებითა და ღონისძიებებით რთულ წარსულზე. მეორე ტიპის სკოლა განკუთვნილი იყო ყველა, პერმის რეგიონის უმცირესი მუზეუმების თანამშრომლებისთვისაც კი. სკოლამ ამ ადამიანებისათვის სამუზეუმო სფეროში უახლესი ტექნოლოგიები და მიდგომები გახადა ხელმისაწვდომი.

### **4. ღონისძიებათა სიმრავლე. აუდიტორია: ინტელექტუალები, სამოქალაქო აქტივისტები, ღია ცის ქვეშ ფესტივალების მოყვარულები**

და, რა თქმა უნდა, ყველაზე მთავარი ღონისძიება, რომელიც Perm-36-მა მოაწყო, იყო ყოველწლიური საერთაშორისო საზოგადოებრივი ფორუმი „პილორამა“. ღონისძიების სახელი მოდის ფორუმის მთავარი სცენის სახელწოდებიდან. ეს მრავალფორმატიანი ფორუმი-ფესტივალი იყო, რომელმაც ათეულობით ხელოვანი, მუსიკოსი, მხატვარი, პოლიტიკოსი, ადამიანის უფლებათა აქტივისტი, ჟურნალისტი და მწერალი გააერთიანა პერმიდან, მოსკოვიდან, სანქტ-პეტერბურგიდან და უცხოეთიდან.



ფესტივალზე ათასობით სტუმარი მოვიდა! 3 დღის განმავლობაში, Perm-36 გახდა ნამდვილი კუნძული დემოკრატიული ღირებულებებისა და საზოგადოებრივი თავისუფლებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ახლა ეს ყველაფერი პუტინის რეჟიმმა გაანადგურა.

მუზეუმის გუნდისთვის, კრეატიული და სახელოვნებო პრაქტიკების ეს კომბინაცია ძალიან მნიშვნელოვანი იყო: კონცერტები, გამოფენები, პერფორმანსები, კინოჩვენებები და დრამატული სოციო-პოლიტიკური დისკუსიები. ერთი შეხედვით, ეს ყველაფერი ერთმანეთთან შეუთავსებელია. როგორც წესი, ან ფესტივალს მასპინძლობ, ან ფორუმს, თუმცა ტატიანა კურსინას თქმით, ფორუმ „პილორამაზე“ მუსიკამ, თეატრმა და ინსტალაციებმა მოამზადა ადამიანების სულები ყველაზე მნიშვნელოვანი რამის აღსაქმელად, იმისათვის, რომ ქვეყნის ბედზე ესაუბრაო.

ფორუმის სადისკუსიო კლუბი ქვეყნის ლიბერალური ოპოზიციისათვის მთავარ პლატფორმად იქცა. 2012 წლიდან მას მოიხსენიებდნენ, როგორც მომავალი რუსული მაიდანის კერას. რეალურად, ეს იყო სახელმწიფოს მიერ 2014 წელს მუზეუმის მითვისების, ხოლო მისი შემქმნელების უცხოური გავლენის აგენტებად გამოცხადების მიზეზი. დიახ, სამწუხაროდ, ჩვენ დავკარგეთ ნამდვილი მუზეუმი, მთელ კოლექციასთან და სახსრებთან ერთად. დღესდღეობით საჯარო მუზეუმის ადგილზე მდებარე დაწესებულებაში ვერ შევხვდებით იმის აღნიშვნას, რომ აქ საბჭოთა დისიდენტები იმყოფებოდნენ ტყვეობაში. მიუხედავად ამისა, 10 წელიწადზე ნაკლებ დროში, ასეულობით მზრუნველი ადამიანის დახმარებით, ჩვენ შევძელით ბევრი რამის აღდგენა და ახლა ამ ციფრულმა არქივებმა Perm-36-ის ვირტუალური მუზეუმის სახე უნდა მიიღოს.

## **Perm-36 დღეს და მომავალში**

„ვირტუალურ მუზეუმ Perm-36-ის“ პროექტს შეხვდებით ვებგვერდზე [gulag-perm36.org](http://gulag-perm36.org). International Coalition of Museums of Conscience-ის დახმარებით, ჩვენ ის 2023 წლის ივნისში გავხსენით. ვებგვერდზე სიახლეების გარდა არის სექციები, რომლებიც ბანაკის ისტორიის სამ პერიოდს ეძღვნება, ისევე როგორც მუზეუმის ისტორიასა და ჩემ მიერ უკვე ნახსენები სტალინისტური გულაგის კომპლექსის ისტორიულ და არქიტექტურულ უნიკალურობას. ეს არის ცოდნის ბაზა, რომელიც მოიცავს არაერთ პუბლიკაციას მუზეუმისა და მისი კოლექციისა და ცნობილი პატიმრების შესახებ.

ამ რესურსის მთავარი ღირებულება დღეს არის მონაცემთა ბაზა „პერმის პოლიტიკური ბანაკების პატიმრების“ შესახებ. ეს არის ანბანის მიხედვით

დალაგებული სია ბიოგრაფიული ინფორმაციებითა და საარქივო დოკუმენტებით, რომელიც ეხება Perm-35-ის, Perm-36-ისა და Perm-37-ის ყველა პატიმარს 1972 წლიდან 1990 წლამდე. ამჟამად, ეს მასალები ხელმისაწვდომია მხოლოდ რუსულად, თუმცა მოხალისეებმა ამ ყველაფრის ინგლისურად თარგმნა უკვე დაიწყეს.

ამ და სხვა წყაროებზე დაყრდნობით, ისტორიკოსებისა და ფილოლოგების ჩვენი მცირე ჯგუფი ავითარებს პოდკასტების სერიას ბანაკ Perm-36-ის ისტორიის შესახებ. ასევე, ამჟამად, ვსწავლობთ ციფრული გამოფენების შექმნის ტექნოლოგიას და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აქტიურად ვეძებთ შესაძლებლობებს, რათა შევქმნათ რეგულარული სადისკუსიო კლუბი „პილორამა“, რომელიც ამ ლეგენდარული ფორუმის სადისკუსიო პლატფორმის ტრადიციებს გააგრძელებს. კიდევ ერთი დიდი პროექტი მობილურის აპლიკაციაა, რომელიც საშუალებას მისცემს ამჟამად სახელმწიფო Perm-36-ის ვიზიტორებს, რომ მიიღონ ალტერნატიული და სრული ინფორმაცია ამ ადგილისა და მისი ისტორიის შესახებ.

დიახ, თავდაპირველად, ჩვენი მუზეუმი რუსეთის უნიკალური სამოქალაქო თავისუფლების ეპოქის ნაყოფი იყო. დღევანდელი ვირტუალური მუზეუმი კი არის ტოტალიტარიზმისა და საშინელი ომის ეპოქის შვილი. სკოლები არ არიან მზად, რომ უმასპინძლონ გამოფენებს პოლიტპატიმრების შესახებ. ისინი დაკავებულები არიან პროპაგანდითა და სამხედრო წრთვებით. მაგრამ ეს მიზეზი არ არის საკმარისი ფარ-ხმლის დასაყრელად. პირიქით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვიქნებით განსაკუთრებით საჭირო, როცა ჩვენი საზოგადოება კვლავ იქნება მზად იმისათვის, რომ წარსულში დაინახოს მეტი, ვიდრე ჰეროიკული მითებია. როცა საზოგადოება მზად იქნება, რომ დააფასოს ნამდვილი გმირობა მათი, ვინც ყველაზე საშინელ დროში დარჩა ადამიანად და მოქალაქედ. ჩვენ ვემზადებით ამ მომავლისთვის და ვაახლოებთ მას.

# **KARTA-ს მეთოდი - სოციალური მოძრაობა საბჭოთა დანაშაულების დოკუმენტირებისთვის**

**იუსტინა ავცი**  
ცენტრი KARTA, პოლონეთი

ცენტრი KARTA (Ośrodek KARTA) პოლონური დამოუკიდებელი, არასამთავრობო, არაკომერციული ორგანიზაციაა, რომლის მიზანია XX-XXI საუკუნეების პოლონეთის, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ისტორიის დოკუმენტაციისა და გავრცელების გზით დემოკრატიისა და ტოლერანტობის გაძლიერება.

იატაკვეშა გაზეთი „Karta“ 1982 წლის 4 იანვარს, პოლონეთში საომარი მდგომარეობის შემოღების საპასუხოდ დაარსდა. თავდაპირველად, ის პოლიტიკურ კომენტარებზე აკეთებდა აქცენტს და დიქტატურის მიმართ ადამიანების დამოკიდებულებას ასახავდა. მე-20 საუკუნის მეხსიერების წაშლისა და კომუნისტური პერიოდის ისტორიის გაყალბების პოლიტიკის გაცნობიერებამ KARTA-ს ყურადღება ისტორიის კვლევისკენ მიმართა.

KARTA-ს საქმიანობის არაერთ მიმართულებას შორის აუცილებლად უნდა გამოიყოს სამი, რომელმაც საბჭოთა დანაშაულების დოკუმენტირების საზოგადოებრივ მოძრაობაზე დიდი გავლენა იქონია: არქივები, სამეცნიერო ლიტერატურა და საგანმანათლებლო კონკურსები.



იუსტინა ავცი

“აღმოსავლეთის არქივი” არქივთა განსაკუთრებული ნაკრებია. ის 1987 წელს KARTA-ს რედაქციამ დააარსა, როცა გააცნობიერეს, რომ აუცილებელი იყო, მიეცათ გაჩუმებული საზოგადოებისათვის ხმის ამოღების საშუალება ჩანერის, დაარქივებისა და მე-20 საუკუნის ისტორიის თვითმხილველთა ბიოგრაფიული ცნობების ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით. ამის მიზანია იმის გარკვევა, თუ რა ბედი ეწია 1917-1956 წლებში საბჭოთა კავშირში და 1939 წლიდან საბჭოთა ოკუპაციის პირობებში არაერთ პოლონელს; ასევე, მეორე რესპუბლიკის აღმოსავლეთ საზღვრებისა და ომისშემდგომ პოლონეთში იატაკქვეშა შეიარაღებული ანტიკომუნისტური მოძრაობის ისტორიის კვლევა. ზეპირი ისტორიის გუნდი, თვითმხილველებთან ინტერვიუების ჩანერის პარალელურად, აგროვებდა წერილობით განცხადებებს, პირად დოკუმენტებსა და ფოტოებს, რომელთა რიცხვიც 43,000-ს აღწევს. აღმოსავლეთის არქივმა სოციალური მოძრაობის ფორმა მიიღო. ყოველწლიურად მას 200-მდე მოხალისე (ხშირად ანონიმური) უერთდებოდა.

დღესდღეობით, KARTA პოლონეთში უდიდესი საზოგადოებრივი არქივია 6,000 თვითმხილველის აუდიო-ვიზუალური ჩანაწერით, 500,000 ფოტოთი და 1500 მეტრის სიგრძის დოკუმენტებით, დღიურებითა და მოგონებებით.

1992 წელს KARTA-მ თანამშრომლობა დაიწყო მოსკოვში დაფუძნებულ საზოგადოება „მემორიალთან“. ამ თანამშრომლობის მიზანი 1939-1956 წლებში საბჭოთა კავშირში მცხოვრები პოლონელების რეპრესიების კვლევა იყო. ერთობლივად ორგანიზებული „სინდისის კვირეულის“ ფარგლებში ვარშავაში რუსეთიდან, უკრაინიდან და ყაზახეთიდან „მემორიალის“ 54 წევრი ჩამოვიდა, რომლებიც დაგვეხმარნენ რეპრესირებულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შესახებ ინფორმაციის მოძიებაში. შემდგომ წლებში „მემორიალის“ წევრი სხვა ქვეყნებიც დაგვეხმარნენ ინფორმაციის შეგროვებაში პოსტსაბჭოთა არქივებიდან - დოკუმენტთა შორის იყო მოსახლეობის აღწერები, სატრანსპორტო სიები, პირადი საქმეები ციხეებიდან და გულაგებიდან, კრიმინალური დოკუმენტები საიდუმლო არქივებიდან, მოხსენებები რეპრესიების კატეგორიებისა და მსხვერპლთა რაოდენობის შესახებ. ამავდროულად, KARTA-მ შეაგროვა 30,000 ანკეტა რეპრესირებულთა მონაცემებით, რომლებიც ამ ადამიანების ოჯახებმა შეავსეს. ადრეულ 2000-იან წლებამდე, ყოველწლიურად KARTA-ში ათასობით წერილი იგზავნებოდა დაკარგული ადამიანის ძიებაში დახმარების თხოვნით.

## Remembrance of victims of communism



1992 – beginning of research cooperation with Memorial Society in Moscow on repression of Polish citizens in the USSR in 1939-56



"Week of Conscience" in Warsaw, April 1992



Memory Wall

 **Karta**

### *KARTA-სა და “მემოჩიადის” თანამშრომლობა*

1995 წელს „რეპრესირებულთა ინდექსის“ პირველი ტომი გამოვიდა. მას შემდეგ, კიდევ 29 განახლება გამოქვეყნდა (ასევე, ციფრული მონაცემთა ბაზა), ჯამში 316,000 დადასტურებული ბიოგრაფიითა 1,200,000 ჩანაწერით სამუშაო მონაცემთა ბაზაში. 2013 წელს მონაცემთა ბაზა და ყველა მასალა გადაეცა პოლონეთის ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტს.

აქტივობის დაწყებიდან, KARTA წიგნისა და ჟურნალის გამომცემლობაა. თანამედროვე დიქტატურების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების ძიებისას, იატაკქვეშა “Karta“-ს შემქმნელებმა საფუძველი ჩაუყარეს ისტორიის კოლექტიური პერსპექტივიდან მოყოლის ნოვატორულ ცვლილებას. ისტორიულ თემებზე მუშაობამ მათ საშუალება მისცა ეს აზრები უნივერსალური განზომილებით განევითარებინათ. ამგვარად, KARTA-ს დამფუძნებლები მიხვდნენ, რომ ისტორიას თავისუფლებისაკენ მიმავალი გზის გამარტივება შეეძლო.

KARTA, ფაქტობრივად, ექსკლუზიურად პირველწყაროებს აქვეყნებს - დღიურებს, მემუარებს, მოგონებებს, წერილებს, მე-20 და 21-ე საუკუნის დოკუმენტებს, რომლებშიც ისტორიას უშუალოდ თვითმხილველები და თანამონაწილეები ჰყვებიან. ასეთი ჩანაწერების დამსახურებით, წარსული უფრო ახლო და გასაგები ხდება. ამ გზით ისტორია გვაჩვენებს თავის მრავალგანზომილებიანობასა და კომპლექსურობას, თუმცა, ამავედროულად, ადამიანურ სახეს.

KARTA მუდმივად ეხება მივიწყებულ, ყურადღების მიღმა დარჩენილ და რთულ თემებს. ის ამბავს განსხვავებული ეროვნული, სოციალური და პოლიტიკური პერსპექტივებიდან გვიყვება, აძლევს რა საუბრის საშუალებას ამ ამბის მონაწილეებს.

KARTA საზოგადოებრივი არქივის სფეროში პოლონეთში პირველი ორგანიზაცია იყო. ორგანიზაციის ინიციატივითა და ძალისხმევით, 2020 წელს საზოგადოებრივი არქივების ცენტრი (Centrum Archiwistyczny Społecznej) დაარსდა. ცენტრს კულტურისა და ეროვნული მემკვიდრეობის სამინისტრო და KARTA ერთობლივად მართავენ. მისი მიზანი ცოდნის გაზიარება, საზოგადოების ისტორიის ირგვლივ გააქტიურება და ამ საქმით დაინტერესებული პოლონელების ინიციატივების მხარდაჭერაა. ცენტრი მხარს უჭერს ახალი საზოგადოებრივი არქივების შექმნას, რათა საზოგადოების ცხოვრების შესახებ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია შეგროვდეს და შემოინახოს.

KARTA-ს გუნდმა შემოიღო კონკურსების სისტემაც დოკუმენტირებისა და ისტორიის კვლევის ნახალისების მიზნით. პირველი სამი საჯარო კონკურსი დოკუმენტურ ჩანაწერებს, დღიურებს, წერილებსა და მემუარებს ეხებოდა („პოლონეთის უახლესი ისტორიის აღმოსავლური სტიგმა“ 1989 წელს, „აღმოსავლეთ საზღვრები (კრესი) 1939-1945 წლების ოკუპაციის პერიოდში“ 1991 წელს და „დღიურები 1944-89“ 1994 წელს). 1996 წლის შემდეგ სკოლის მოსწავლეებისათვის, კლასგარეშე ისტორიული განათლების ნახალისების მიზნით, ყოველწლიური კონკურსი ტარდება. მეორე მნიშვნელოვანი მიზანი ახალგაზრდა ადამიანების ჩართვა ისტორიული წყაროების შეგროვების საქმეში თავიანთი ოჯახებიდან, რათა ამით საერთო წვდომა გაიზარდოს. კონკურს „History at Hand“-ში, რომელიც უკვე 20-ჯერ ჩატარდა, მონაწილეობა 15,000-მა ადამიანმა მიიღო და მიღებულმა 8,000-მა ნაშრომმა KARTA-ს არქივები გაზარდა.

1980-იან წლებში, აღმოსავლეთ ევროპაში კომუნიზმის მმართველობის პირობებში, დიქტატურასთან გამკლავების მეთოდების ძიებამ KARTA-ს შემქმნელები მიიყვანა დასკვნამდე, რომ ისტორიის შესწავლასა და ცარიელი სივრცეების შევსებას თავისუფლებისკენ მიმავალი გზის გამარტივება შეუძლია. KARTA აგრძელებს ამ იდეით საქმიანობას დღემდე და გვჯერა, რომ ეს ნებისმიერი თავისუფლებისათვის მებრძოლი საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი და უნივერსალური კომპონენტია.

# **დეკომუნიზაცია, დეკოლონიზაცია, დეიმპერიალიზაცია და დეიდოლოგიზაცია. 4D პოლიტიკა: ოკუპირებული ბელარუსის**

**ადინა კოუშიკი**

*ბელარუსის გაეხითიანებული გახდამავადი კაბინეტი, პოდონეთი*

2020 წლის შემდგომი პერიოდი ბელარუსში სამოქალაქო საზოგადოების, ეროვნული ენისა და კულტურის წინააღმდეგ მიმართული სახელმწიფო ძალადობით იყო გამორჩეული. ეს რეპრესიები, PEN-ის მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების თანახმად, ბელარუსის პოლიტიკური ლანდშაფტის გადაფასების აუცილებლობას უსვამს ხაზს.

მიუხედავად ქვეყნის ნომინალური დამოუკიდებლობისა, დიქტატორი ლუკაშენკო აგრძელებს ბელარუსი ხალხის წინააღმდეგ ოკუპაციის ტოლფასი პოლიტიკის გატარებას. ეს პოლიტიკა რუსულ და საბჭოთა იდეოლოგიაზე დგას, კოლონიურ გააზრებაზე, რომელიც ბელარუსებს „ახალგაზრდა ერის“ სტატუსს აკერებს.

ქვეყნის გათავისუფლებისათვის ყოვლისმომცველი 4D პოლიტიკური პროგრამაა აუცილებელი, რომელიც ბელარუსის დემოკრატიულმა ძალებმა, განსაკუთრებით კი ბელარუსის გაერთიანებულმა გარდამავალმა კაბინეტმა შექმნა: დეკომუნიზაცია, დეკოლონიზაცია, დეიმპერიალიზაცია და დეიდოლოგიზაცია.



ადინა კოუშიკი

დეკომუნიზაცია მოიცავს საბჭოთა და კომუნისტური მემკვიდრეობის, მათ შორის ტოპონიმიკის, პოლიტიკური და სოციალური პრაქტიკების, არაერთ ორგანიზაციაზე კონტროლის ეტაპობრივ განდევნას. ტოპონიმიკიდან (ქუჩებისა და ქალაქების სახელებიდან) უნდა გაქრეს საბჭოთა მემკვიდრეობა. ხალხმა უნდა დაივიწყოს პოლიტიკური და სოციალური პრაქტიკების ორგანიზების კომუნისტურ-ტოტალიტარული ფორმები, ასევე რელიგიური ორგანიზაციები და სავაჭრო კავშირები უნდა გათავისუფლდეს რეგულაციებისა და კონტროლისგან. ბელარუსის საკადასტრო სააგენტოს მონაცემებით, ქუჩები სახელწოდებით „სოვიეტსკაია“, „ლენინა“ და „კომუნისტსკაია“, ბელარუსულ ქალაქებსა და სოფლებში ჯამში 1520 კმ ტერიტორიას იკავებს, ხოლო ეროვნული ნიშნით სახელდებული ქუჩების ჯამური სიგრძე 120 კმ-ს არ აჭარბებს. მიუხედავად ამისა, ცალკეული ქალაქების, მაგალითად, მოლოდჩინკოს შემთხვევები გვაჩვენებს, რომ ხალხი, ძირითადად, ქუჩების სახელების დესოვიეტიზაციისა და მათთვის ისტორიული სახელების დაბრუნების წინააღმდეგი არ არის.

ბელარუსში დღესაც კი არსებობს კომუნისტური პრაქტიკის ისეთი გამოვლინებები, როგორებიცაა შაბათობები, პოლიტიკური ინფორმაციის საათები დაწესებულებებში, უნივერსიტეტების კურსდამთავრებულთა სავალდებულო განაწილება და სავაჭრო კავშირის მოძრაობის კონტროლი. მსგავსი გამოხატულებების აღკვეთის გარეშე, საბჭოთა ყოველდღიური პრაქტიკების ხალხის ცნობიერებაზე გავლენა არსებობას არ შეწყვეტს. ბელარუსი ნობელიანტი მწერლის, სვეტლანა ალექსიევიჩის სიტყვებით ეს „წითელი ადამიანის ტრიუმფია“.



ადინა კოუშიკი





რაც შეეხება დეკოლონიზაციას, ეს ღირსეული, დამამცირებელი კოლონიური დამოკიდებულებებისგან თავისუფალი ეროვნული იდენტობის დაბრუნებაა. ეს ითვალისწინებს ბელარუსის ევროპულ ტრადიციებთან დაბრუნებას და ერის, როგორც საერთაშორისო თანამეგობრობის ნაწილის, ისტორიის პატივისცემას.

დეკოლონიზაცია მათ შორის მოიცავს ერის თვითაღქმის ღირსეული და პოზიტიური სურათის აღდგენას, ისეთი დამამცირებელი ფრაზების დავიწყებას, როგორებიცაა „უმცროსი ძმა“, „პატარა ქვეყანა“, „არათვითმყოფადი კულტურა“ და „არასრულყოფილი ენა“. ეს ტერმინები კოლონიური პრაქტიკების მრავალწლიანი მუშაობის შედეგია. 2006 წელს ლუკაშენკომ განაცხადა, რომ „ადამიანებს, რომლებიც ბელარუსულად საუბრობენ, საუბრის გარდა არაფერი შეუძლიათ, რადგან რაიმე დიდებულის გამოხატვა ბელარუსულად შეუძლებელია. ბელარუსული ენა ღარიბია. მსოფლიოში მხოლოდ ორი დიდი ენაა - რუსული და ინგლისური“. ის ასევე ხშირად უწოდებს ბელარუსს, რომელიც შვეიცარიებზე 5-ჯერ, ხოლო საქართველოზე 3-ჯერ დიდია, „მინის მცირე ნაგლეჯს“. ეს შეხედულება ამცირებს ბელარუსის ისტორიისა და კულტურის მნიშვნელობას და ირეკლავს სამი აღმოსავლეთ სლავი ხალხის მითს, რომელშიც უკრაინელები და ბელარუსები „უმცროსი ძმები“ არიან. ამ კონტექსტში, დეკოლონიზაცია ბელარუსის ევროპული ტრადიციის მიღებას, მისი ისტორიის პატივისცემას ნიშნავს და მიმართულია ბელარუსი ხალხის ისტორიული ღირსებისა და თავმოყვარეობის დაბრუნებისკენ. დეიმპერიალიზაცია მნიშვნელოვანია რუსეთის უზენაესობისა და ბელარუსთან მისი ისტორიული კავშირის მითის გასაქარწყლებლად. ეს მოიცავს იმ მონუმენტებისა და სიმბოლოების ჩასწორებას, რომელიც ბელარუსის სახელმწიფოებრიობას უთხრის ძირს.

დეიმპერიალიზაცია პროცესია, რომელმაც აღმოსავლეთ სლავი ხალხის ერთიანობისა და ამ ერთიანობაში რუსეთის ლიდერობის მითი უნდა გააქარწყლოს. ამ პროცესში მნიშვნელოვანია იმ გმირებისა და ტრადიციების წინ წამოწევა, დაფასება, რომლებიც ბელარუსულ მემკვიდრეობას გამოხატავს. დამოუკიდებლობის წლებშიც კი, ბელარუსში არაერთი ძეგლი მიეძღვნათ იმპერიული წარსულის მქონე საბჭოთა და რუს ფიგურებს, რაც ბელარუსის დამოუკიდებლობას ჩრდილს აყენებს. იმპერიული ნარატივის მსგავსი გამოვლინებების აღკვეთა ბელარუსში ინფორმაციული უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

დეიდეოლოგიზაცია მოითხოვს თანასწორი გარემოს შექმნას, სადაც განსხვავებული აზრები თანაარსებობას შეძლებს. ამისათვის აუცილებელია ისეთი სახელმწიფო იდეოლოგიების გაქრობა, როგორიცაა „ლუკაშიზმი“. ნამდვილი დემოკრატია უნდა ახალისებდეს თავისუფალ აზრს ყოველგვარი სახელმწიფო ცენზურისა და ზენოლის გარეშე.

დღესდღეობით, ბელარუსში სახელმწიფო იდეოლოგიის თვითმხილველები ვართ, რომელიც ავტორიტარულ სოციალურ სტრუქტურებს, სახელმწიფოსა და ლიდერის ერთგულებას, პატრიოტიზმისა და ნაციონალიზმის ჩახშობას ახალისებს ხელისუფლების ერთგულებისა უაზრო სოციალური აქტივიზმის ხელშესაწყობად. კომუნისტური იდეოლოგიის ამ გადმონაშთს „ლუკაშიზმს“ ვუნოდებთ. ქვეყანაში ცვლილებების მისაღწევად საჭიროა უარყოფა ამ იდეოლოგიური სისტემის, რომელიც განსხვავებულ აზრს არ იღებს.

რომ შევაჯამოთ, ბელარუსს სასწრაფოდ სჭირდება საფუძვლიანი გარდაქმნა ხსენებული ოთხი მიმართულებით. მხოლოდ ასეთი მიდგომით შეიძლება მიაღწიოს ერმა ნამდვილ დამოუკიდებლობას, შეცვალოს პოლიტიკური სისტემა და ღირსება აღიდგინოს.


# **მსხვერპლთა გახსენების გზით საბჭოთა რეპრესიების შესახებ ცოდნის პოპულარიზაცია. გერმანულ პროექტ “უკანასკნელი მისამართის” მაგალითი**

**მედანი ჰუსინგეჩი**

*ჰედმუტ შმიდტის უნივერსიტეტი, ჰამბურგი, გერმანია*

უჟანგავი ფოლადისგან დამზადებული, „მეხსიერების მატარებელი“ (ასტრიდ ერლი) პატარა ნიშანი მოგზაურობს პოსტსოციალისტურ რუკაზე და ზედ კვალს ტოვებს. მსხვერპლთა სახელდებით, მათი ინდივიდუალობებით რეპრესიების შესახებ ცოდნა პოპულარიზდება. პოლიტიკური დევნის არაერთ ისტორიას, რომელიც ძალიან ბევრჯერ განმეორდა და მაინც ინდივიდუალურად რჩებოდა, „უკანასკნელი მისამართი“ მზის სინათლის ხილვის საშუალებას აძლევს.

ღია ბარათის ზომის დაფების საშუალებით, მემორიალური პროექტი პოლიტიკური დევნის მსხვერპლთა საცხოვრებელზე, მათ უკანასკნელ მისამართზე, ამ ადამიანების სახელებს აწერს. თითოეული დაფა 7-8 გრავირებული სტრიქონისგან შედგება: სახელი, პროფესია, დაბადების თარიღი, დაკავების თარიღი, დახვრეტის თარიღი, რეაბილიტაციის თარიღი. უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან რეაბილიტაცია მსგავსი აქტივობისათვის აუცილებელი წინაპირობაა. ტექსტის მარცხენა მხარეს კვადრატის ფორმის ცარიელი სივრცეა, სადაც ამ ადამიანის ფოტო უნდა ყოფილიყო. ნათელია, ასოციაცია სიცარიელესთან, რომელსაც პიროვნების სიცოცხლის დასრულება ტოვებს. „უკანასკნელმა მისამართმა“ აიღო რეპრესიების მსხვერპლთა გახსენების 1980-იანი წლებიდან მოყოლებული პრაქტიკა და მას უფრო თანამედროვე ფორმა მისცა. ამავდროულად, ამ ნიშნების სტანდარტულობა დეჰუმანიზაციისა და სტალინიზმის პირობებში მკვლევლობების რუტინულობის, სტატისტიკურობის მეტაფორაა. რუსულ ინიციატივას 2 წელიწადში უკრაინა და ჩეხეთი შეუერთდნენ. პირველი ასეთი მემორიალური დაფა საქართველოში 2018 წელს, შოთა რუსთაველის გამზირზე, კონსტანტინე ყანდარელის სახელზე განთავსდა. გერმანიაში კი პირველი დაფა 1 წლის შემდეგ გამოჩნდა.



Memorial sign dedicated to Konstantin Kandareli, who was shot in 1937. Shota Rustaveli Avenue 37, Tbilisi.



*კონსტანტინე ყანდახელის სახელობის მემორიალური დაფა, თბილისი*

საბჭოთა საიდუმლო სამსახურმა გერმანიაში მოქმედება წითელი არმიის მიერ ბერლინის აღებამდე ცოტა ხნით ადრე, 1945 წელს დაიწყო. 1950-1953 წლებში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საბჭოთა სამხედრო ტრიბუნალმა, დაახლოებით, 1,000 ადამიანს მიუსაჯა დახვრეტა, განაჩენი კი მოსკოვში აღასრულეს. „უკანასკნელი მისამართი“ სწორედ ამ პოლიტიკურად რეპრესირებული პიროვნებების გახსენებას ემსახურება. გასულ რამდენიმე ათწლეულში გდრ-ის წარსულთან და საბჭოთა ოკუპაციის პერიოდთან გამოსამშვიდობებლად არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი ნაბიჯი იყო საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე განხორციელებული ექსკლუზიური ლუსტრაცია. საჯარო მოხელეებს, რომლებსაც ყოფილ ავტორიტარულ რეჟიმში მაღალი თანამდებობები ეკავათ და აქტიური მოხელეები იყვნენ, საჯარო სამსახურში ჩადგომა აეკრძალათ. ასევე, 1998 წელს შეიქმნა „გერმანიის სოციალისტური ერთობის პარტიის (გსეპ/SED) დიქტატურის გადაფასების ფედერალური ფონდი“, რომელმაც მიზნად გდრ-ის ტერიტორიაზე, საბჭოთა ოკუპაციის ზონაში, დიქტატურის მიზეზების, ისტორიისა და შედეგების გადაფასების წახალისება დაისახა. მეხსიერების სახელმწიფო ინსტიტუციონალიზაციისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ყოფილ ციხეებსა და სპეციალურ ბანაკებში მემორიალების შექმნაც. მიუხედავად ამისა, საბჭოთა დევნისა და გსეპ-ის უსამართლობის ისტორია ხშირად მემორიალების მიღმა ბუნდოვნად რჩება.

„უკანასკნელმა მისამართმა“ ქალაქებში პოლიტიკურად დევნილთა სახელების დაბრუნება თავის თავზე აიღო. ერთ-ერთი ასეთი სახელი არტურ იუბელტია.

არტურ იუბელტი 1894 წელს ქალაქ ცაიციში, გამომცემლის ოჯახში დაიბადა. ის 1915 წელს გერმანიის არმიას შეუერთდა და პირველ მსოფლიო ომში მიიღო მონაწილეობა. 1920 წელს უარი თქვა ვაიმარის რესპუბლიკაში სამხედრო ფიცის დადებაზე და უფროსი ლეიტენანტის წოდებით არმია დატოვა. 1934 წელს გადაიბარა მამამისის გამომცემლობა. 1943 წლიდან გამომცემლობა ბეჭდავდა ნაციტურ პარტიასთან დაკავშირებულ გაზეთს. 1945 წლის 27 აპრილს იუბელტი ამერიკელებმა დროებით მერად დანიშნეს. ქალაქის საბჭოთა ჯარებისათვის გადაცემიდან 2 კვირაში ის გადააყენეს, ცოტა ხანში კი დააკავეს ნაციონალ-სოციალისტური იდეოლოგიის გავრცელებისთვის. ის 1947 წელს ბუხენვალდის №2 განსაკუთრებულ ბანაკში დაიღუპა. 1990-იან წლებში ცაიციში არტურ იუბელტის რეაბილიტაცია მოითხოვეს. 1999 წელს იუბელტი ცაიცის საპატიო მოქალაქედ აღიარეს და როგორც ქალაქის მესხიერების მნიშვნელოვან ნაწილს, 2023 წლის 26 მაისს მის სახელზე მემორიალური დაფაც გაიხსნა.



მედანი ჰუსინგეჩი



ბუხენვალდის ბანაკში იუბელტის პატიმრობა ამ პერიოდის არაერთ ბიოგრაფიაში დიქტატურის ორმაგ გამოცდილებას ასახავს. სპეციალური ბანაკი როგორც საბჭოთა დენაციფიკაციის, ისე ოკუპაციის პოლიტიკის ინსტრუმენტი იყო. გერმანულ საზოგადოებაში არ არსებობს კონსენსუსი მეხსიერების პოლიტიკასთან დაკავშირებით, კერძოდ, უნდა მოიხსენიებოდნენ თუ არა იუბელტის მსგავსი წინააღმდეგობრივი ბიოგრაფიის ადამიანები სტალინიზმის მსხვერპლებად. ბუხენვალდის მემორიალმა დაფის აღმართვა გააკრიტიკა. კერძოდ, კრიტიკაში ვკითხულობთ, რომ მემორიალური დაფა მიეძღვნა გამომცემელს, რომელმაც ჰიტლერის 1923 წლის პუტჩში მიიღო მონაწილეობა, მას ამართლებდა ადგილობრივ გაზეთში და შემდგომშიც მისი საგამომცემლო პოლიტიკა ანტისემიტური იყო. ადგილობრივი გაზეთის გამოცემით ის მხარს უჭერდა ნაცისტურ დიქტატურას.

საბჭოთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ხსოვნის საკითხი სხვაგანაც პრობლემურია. მაგალითად, საქართველოში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია 2019 წელს მემორიალური დაფის გახსნამ მიხეილ ლევანდოვსკისათვის, რომელიც ოკუპანტად ითვლება 1921 წლის ანექსიაში მონაწილეობის გამო. ლევანდოვსკი 1938 წელს დახვრიტეს.საჯარო სივრცეში „უკანასკნელი მისამართის“ აბრებმა, შესაძლოა, დისკუსიები და კონფლიქტები გამოიწვიოს. გერმანიის მაგალითი შეიძლება გავიგოთ, როგორც მეხსიერების ცოცხალი და დიალექტიკური კულტურის გამოვლინება, ასევე, როგორც ხსოვნის აგონისტური ფორმა. დაფების დამონტაჟებასთან დაკავშირებული დისკუსიები როგორც გერმანიაში, ისე სხვაგან ახალისებს ცოდნას რეპრესიის მექანიზმების შესახებ. ეს სოციალური და მეხსიერების მნიშვნელოვანი პოლიტიკის ჩამოყალიბების ნაწილია, რომელიც მოიცავს კითხვას იმის შესახებ, თუ ვისი დამახსოვრება უნდა საზოგადოებას და ვისი - არა.

**THESES**

# HOW TO TALK ABOUT SOVIET REPRESSIONS?

*Yan Rachinsky*

*Chairman of the International Memorial*

## **(1) If you answer in one word, it's difficult. Difficult for several reasons.**

Firstly, all this was a very long time ago. Stalin died 70 years ago - this is beyond the life experience of not only young people, but also of their parents. The Soviet Union collapsed more than 30 years ago - that is also a fair amount of time. Such long-standing events rarely become the focus of public attention. And surprisingly, Stalinists and anti-Stalinists say approximately the same thing - that you are all pointing at Stalin, so many years have passed, look closer for the guilty. Then, there is a discrepancy - some remember that there was order under Stalin, while others are indignant that they are being distracted from today's fight against the regime. Here is the first problem - how to explain that this past is relevant, how to involve people in discussion.

Secondly, 70 years of Soviet power is a very long time. The Baltic countries and Western Ukraine were lucky - this trouble lasted only 40 years. It was also a long time, but at the beginning of perestroika there was still an active generation that remembered other rules of life, a different social structure. Seventy years of violence and total ideological control have made it impossible in many parts of the former Soviet Union to transfer such social skills, the transfer of centuries-old experience of social interaction. The forms of social life imposed by the communist government are not yet recognized as imposed and requiring discussion.

They are not recognized largely because the communist utopia is attractive - and this is the third problem. Until now, many people believe that the whole problem is that Stalin (or even Lenin) distorted bright ideals, and millions of victims are a consequence of this distortion. And here it is important not to simplify the problem. Unlike Nazism, communist ideology - for its declared purposes - is not inherently criminal. The Bolshevik vulgar interpretation already had criminal aspects - apologetics of terror and contempt for the value of human life, but this always ended up in the shadow of higher goals. The fanatical Bolshevik attempts to make utopia a reality were criminal, taking no account of anything and choosing no means.

Declaring their desire for freedom, the Bolsheviks turned the country into a concentration camp.





*Yan Rachinsky*

In a collision with reality, the utopia turned out to be untenable, uncompetitive, and for its survival, to maintain power, it turned out to be necessary to eliminate all political opponents, deprive them of influence, and, over time, of life.

Actually, today in Russia, and not only in Russia, we see a similar picture - an ideologically bankrupt government introduces an ideological monopoly and total censorship. Maybe this is just what will make people think about the past - which is coming back. Terror did not begin for the sake of terror. Terror was a consequence of the fanaticism and self-confidence of those who came to power.

There are also practical difficulties in telling the story of the past, of which all those present are aware. Poor accessibility of the archives of the Soviet special services - from the Cheka to the KGB, a complex and confusing situation with the archives of the Ministry of Internal Affairs and the penitentiary system. In general, the situation with documents and material evidence is poor. There are very few diaries, few family archives. The remains of camp buildings are disappearing; only in rare cases are the places of mass graves of those executed and camp cemeteries known and somehow designated. Only in a few cases have these places been properly studied and described; there are many more examples of the barbaric attitude towards them.

What to do with such initial premises? How to tell, understanding that this information will not be in demand by society right away, maybe not soon?

